

ლიტერატურული გაზეთი

№2 (378) 31 იანვარი - 13 თებერვალი 2025

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

ვახტანგ ჯავახიძე

ისევ გალაკტიონი

„უცნობის“ — მომავალი — მერვე გამოცემისათვის

„ცოლი მყავს და არა მყავს“

1916 წელს გალაკტიონი და ოლია შეუღლდნენ და მოსკოვის მატარებელში ჩასხდნენ.

როგორც ნოდარ ტაბიძემ გვაუწყა:

— 2 სექტემბერი. ღამის 2 საათი. ძმები რიონის სადგურში ხვდებიან ერთ-მანეთს. აბესალომი გზას ულოცავს და წერილმანი ხარჯისათვის 5 მანეთს აძლევს.

უნდა ვივარაუდოთ: გალაკტიონი მატარებლიდან ჩამოვიდა და ისე შეხვდა ძმას და ასე განზრახ მოიქცა, ვინაიდან მან კუპეში დატოვა ოლია, რომლის შესახებაც პროკლემ არაფერი იცოდა.

მოსკოვიდან დედისა და ძმისადმი გამოგზავნილ საკმაოდ ხანგრძლივ წერილებში გალაკტიონი არასოდეს ახსენებს ოლიას, რომელთანაც ერთად ცხოვრობს.

არადა, 1957 წლის 10 დეკემბერს ოლიას რეაბილიტაციისათვის მიცემულ ოფიციალურ ჩვენებაში იხსენებს მოსკოვის პერიოდს და აღნიშნავს:

— მე ვამზადებდი წიგნს. ოლია მეხმარებოდა. დავასრულე წიგნი, მაგრამ ვერ მოვახერხე მოსკოვში გამოცემა, ვინაიდან არცერთ სტამბაში ქართული შრიფტი არ აღმოჩნდა.

საუბარია „არტისტულ ყვავილებზე“ — გალაკტიონისა და საერთოდ მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის ყველაზე წარმატებულ წიგნზე, რომლის შესახებაც მოსკოვურ წერილებში ხშირად ესაუბრება ძმას.

გავიდა ექვსი წელიწადი და 1922 წლის წერილში პროკლემ უსაყვედურა გალაკტიონს:

— ამბობენ, გალაკტიონმა ცოლი შეირთოო. კარგი, მაგრამ რატომ არ გვაცნობებ არაფერს, ასე იქნება? შეიძლება შეიღობა მამაც ხარ და ჩვენ კი არაფერს გვწერ. რა საჭიროა? — შეიძლება იფიქრო, მაგრამ იცოდეთ, რომ საჭიროა, რადგან ჩვენზე უფრო არავინ ფიქრობს შენზე, ჩვენზე უფრო არავის შესტიკია გული, ჩვენზე უფრო იმედი არავისა არ უნდა გქონდეს.

1961 წელს გრიგოლ რობაქიძემ შვეიცარიაში გაიხსენა:

— გალაკტიონი იყო თავისებური ყოველმხრივ: თავისებური უცნაურობამდე. იყო უცოლშვილო — მე დავტოვე საბჭოეთი 1931 წლის დამდეგს. ეგებ შემდეგ დაცოლშვილდა? არა მგონია: ცოლშვილიანი გალაკტიონი მე ვერ წარმომიდგენია.

1921-1925 წლებში გალაკტიონი მწერალთა ანუ ხელოვანთა სასახლეში ცხოვრობდა და ხელოვანთა კავშირის სახელით საჭირო ცნობის ასეთი ტექსტი მოამზადა:

— წარმომდგენელი ამისა, პოეტი გალაკტიონ ვასილის ძე ტაბიძე ცხოვრობს ხელოვანთა სასახლეში სერგიევის ქუჩაზე, №13 სახლში — **ХОЛОСТ**.

1922 წელს ოლიამ კომუნისტური პარტიის წევრთა აღრიცხვის ბარათი შეავსო და ოჯახური მდგომარეობის გრაფაში უპასუხა: **ДЕВИЦА**.

ხოლო როდესაც 1923 წელს კომპარტიის წევრთა აღრიცხვა ჩატარდა, შეკითხვაზე — იმყოფებოდა თუ არა სამოქალაქო ან საეკლესიო ქორწინებაში, კვლავ გაიმეორა — **девица**.

გალაკტიონის 1921 წლის 24 მაისის საკმაოდ ხანგრძლივი დღიური მოსკოვიდან ექვსი წლის შემდეგ დაბრუნებულ ოლიასთან პირველი შეხვედრის მოულოდნელ და დაძაბულ ეპიზოდს გვაზიარებს:

„ოლია დაბრუნდა მოსკოვიდან — ერთი კვირის წინად. დილით ტიცინამა შემატყობინა ეს ამბავი: დაენახა იგი ძმასთან ერთად ავტომობილში.

იგი აქ არის, მაშასადამე! პირველი გრძნობა, ამ ცნობის გამო, იყო ასეთი: მე არ მიგრძნვია არც დიდი სიხარული, არც რაიმე მსგავსი სინანულისა და მწუხარების. ვინ იცის, გავიფიქრე, შეიძლება ამ ქალმა კიდევ ითამაშოს რაიმე როლი ჩემს ცხოვრებაში? მაგრამ როგორი? როგორი არის ის ეხლა: გამოიცვალა თუ ისეთივეა? იგი იყო უცხოეთში სრულიად მარტო, მეც საქართველოში სრულიად მარტო, მე დავბეჭდე ერთ ჟურნალში ასეთი ლექსი:

*მზეო თიბათვისა, მზეო-ღვთისმშობელო,
ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები,
იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით,
ფრთებით დაიფარე — ამას გვევედრები.
ტანჯვა-განსაცდელებს თვალნი მიურიდენ,
სული მიავლინე ისევ შენმიერი —
დილა გაუთენე ისევ ციურიდან,
სული უმანკოთა მიეცე შევნიერი.
ხანმა საშინელმა, გზა რომ შეეღება,
უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები,
მძაფრი ქარტყილი მას ნუ შეეხება,
მზეო თიბათვისა, ამას გვევედრები!*

იგი აქ არის, ტფილისშია, მაშასადამე! ისმინა თუ არა ღვთისმშობელმა ჩემი ვედრება? აი, რა არის გამოსარკვევი. ეს ლექსი ხომ მას შეეხებოდა. „შეიძლება დღესვე შევხვდე“ — გავიფიქრე მე გონებაში — ვემზადებოდი მე ამ შეხვედრისთვის — ვფიქრობდი.

II-IV

ნიკა ჯორჯანელი

შემზადება

დამკვირვებელი ამორჩევით და თან სრულადაც მამის შექმნილი ქვიშნარების ერთფერ სურათთა, ცივ უდაბნოში დაუღლეად ვლიდა და ორმოც დღე-ღამეს მარხვას ასრულებდა. ბორცვიც და ორმოც მის მარხულობას ისრუტავდა.

იგი, შემკვრელი მის გარეშე ბნეულ, უმართავ კერძობათა და ყველაფრის, რაც მოჭრილ დროს ფლობს, ჰფენდა თვალებით ღამით ქვიშას შუქს, როგორც ფოსფორს, და ის თვალები ზღვებს უგავდა. ამორჩევით დამკვირვებელი

და თან სრულადაც ვაებათა, შიშთა, ურვათა, კუტთა, ვრდომილთა, სახიჩართა, ჭირისუფალთა, მიაღდა თავის გამოცდისთვის სიმაღლის მომსპობს და, ვიდრე სულელებს გამოსყიდვით იხსნიდა ბოლოს, მთელ მატერიას შემცველობა სულის უმატა. სრულად. თანაბრად. განურჩევლად.

VI-VII

დასაწყისი პირველ გვერდზე

სალამოთი ჩემთან შემოვიდა ოლიას პა-ტარა ძმა, საუცხოვო ბავში! „ოლია ჩამო-ვიდა“ — მითხრა მან. — „გთხოვთ ჩვენ-თან მოხვიდეთ“. — „ეხლავე, — ვუპასუხე მე, — ცოტახნის შემდეგ მოვალ!“.

რამდენიმე წამის შემდეგ მე მათ ბინაზე გავჩნდი: ოლიას დამ მისალებ ოთახში შემი-ყვანა: „ცოტა დაიცადეთ, — მითხრა, — ოლია ამ წამში გეახლებათ“.

მე პიანინოს ახლო ჩამოვჯექი და ვფი-ქრობდი: როგორია ოლია მას შემდეგ, რაც ერთად ვცხოვრობდით მოსკოვში?

კარები გაიღო და იგი შემოვიდა, პირზე ხელს იფარებდა (ეს ჩვეულება შერჩენია გიმნაზიის მორცხვობის ხანიდან). ეს ჟეს-ტი ყოველთვის მხიბლავდა: მე ვერ დაეძლ-იე ინსტიკტიურ სურვილს ოდესმე საყვა-რელი ქალის გულწრფელად მისალმებისას: მე მას ვაკოცე: იგი არ მოელოდა ამას და დაიბნა“.

ფრთხილ დაკითხვასა და მოულოდნელ პასუხებს შორის ოლიასმიერი პატარა აბ-ზაცი იკითხება:

— ჯვარს კი არ დავინერთ. მე ოდესმე გაწუხებდი ასეთი წინადადებით. ეხლა კი ვიცი, რომ ეს სისულელეა... ჩვენ ვიცხოვე-როთ ისე, როგორც ჩვეულებრივად ცხო-ვრობენ: მეტი არაფერი.

„ისე ცხოვრება“ მხოლოდ ხუთი თვე გა-გრძელდა: საქართველოს ეროვნული არ-ქივის თბილისის მმართველის ბიუროს მასალებ-ში აღირიცხება 1921 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული ქორწინების მოწმობა:

მოდით, ხელახლა გადავიკითხოთ ეს ერთი საუკუნის მაცნე: თუკი საქმროს ფაქ-სიმილეს გრაფიკას დავაკვირდებით, ოც-დაათი წლისა საკმაოდ ამაღლებულ ხასი-ათზე გამოიყურება, საცოლო — ალბათ — მითუმეტეს! ისიც გავიხსენოთ, რომ საქმ-რო ამა წლის დასაწყისში პოეტების მეფედ აირჩიეს.

პოეტს საკუთარი დაბადების დღე ეშ-ლებოდა და აქაც 1892 წელია დაფიქსირე-ბული. ოლია სამი წლის უფროსი იყო გა-ლაკტიონზე, მაგრამ რაკი სასურველია, სა-ცოლო უფრო ახალგაზრდა ბრძანდებო-დეს, მისი დაბადების წელიც შეცდომითაა აღნიშნული — 1893. ეტყობა, ახლად გასაბ-ჭოებულ რესპუბლიკაში საპასპორტო სი-სტემა ჯერ არ არსებობდა და ეს თარიღები ზეპირ ინფორმაციას ასახავს.

ამ დროს გალაკტიონი ხელოვანთა სა-სახლის მანსარდაში ცხოვრობდა დღევან-დელი მაჩაბლის 13 ნომერში და ეს მისამა-რთი ზუსტია — სერგიევის ქუჩა. ოლია ძმასთან ცხოვრობდა და მისი მისამართია რუსთაველის პროსპექტის 19. ამ შენობაში ამჟამად თეატრალური უნივერსიტეტია განთავსებული. მაშინ, როგორც ჩანს, აქ კერძო პირები ცხოვრობდნენ.

ოლიას სტუდენტობას რაც შეეხება, მან რამდენიმე წლის წინათ მოსკოვში გალაკ-ტიონთან ერთად შინაივსკის სარეჟისორო კურსები დაამთავრა, თბილისში კი ამჟამ-ად შეიძლება რაიმე პარტიული კურსები არსებობდა.

ამ ქორწინების მოწმობით დადასტურე-ბული ოჯახი, სამწუხაროდ, მყიდვ აღმოჩნ-და. გალაკტიონს 1929 წლამდე მუდმივი სა-ცხოვრისი არ ჰქონდა და ცოლ-ქმარი ეპი-ზოდურად ხვდებოდნენ ერთმანეთს. 1929 წელს შალვა ოკუჯავამ თავისი ერთოთახი-ანი ბინა კრილოვის 10 ნომერში თავის დასა და სიძეს დაუთმო და თვითონ უკეთეს ბინა-ში გადავიდა გრიბოედოვის ქუჩაზე. კიდევ სამწუხაროდ, ოლია ამ მისამართზე დასახ-ლების პირველსავე წელს დააპატიმრეს და მომავალ წელს დაბრუნდა. 1935 წელს ჟო-რესის, ამჟამად მარჯანიშვილის, 4 ნომერ-ში მწერლებს ახალი ბინა აუშენეს და ტაბი-ძეები მეორე სართულზე შესახლდნენ. მაგ-რამ კიდევ და კიდევ სამწუხაროდ, ერთი წლის შემდეგ, 1936 წლის 11 ნოემბერს, ოლია მეორედ დააპატიმრეს და 1941 წლის 11 სექტემბერს დახვრიტეს.

თუკი ოლიასთან შეხვედრა-განშორე-ბათა საძიებელს დაეუანგარიშებდით, გა-ლაკტიონი თავისი კერპის აკაკის სიტყვებს გაიმეორებდა:

— ცოლი მყავს და არა მყავს.

მოგვიანებით იხანა:

*უდაბნოში მიდის ზოლი
და იქ ვდგევარ შენი მწირი,
აღარც დედა, აღარც ცოლი,
აღარც შვილი, აღარც ძირი.*

ვახტანგ ჯავახიძე

ისევ გალაკტიონი

„უცნობის“ — მომავალი — მერვე გამოცემისათვის



„CARIS MERE“ — „ქარის მერე“

1992 წელს გიაცანჩელს ბერლინში ევან-გელისტური ეკლესიის მოძღვარმა საეკ-ლესიო დღესასწაულისათვის ფსალმუნებ-ის ტექსტზე მუსიკა შეუკვეთა. ყანჩელმა დაწერა ვოკალური ციკლი და გამოიყენა აგრეთვე გერმანელი პოეტების პაულ ცე-ლანის, ჰანს ზაალისა და ფრიდრიხ ჰოლდ-ერლნის ლექსები და მთელ ციკლს ზაა-ლის ლექსის სათაური მიუსადაგა — „Exill“. შემდეგ ლოცვებს შორის ინტერმედიასავ-ით მინილატრა ჩართო და დაარქვა „Caris Mere“ („ქარის მერე“). როდესაც ჰკითხეს, რას ნიშნავდა „Caris Mere“, უპასუხა:

— მეოწი, გალაკტიონ ტაბიძის ერთი ლექსის სათაურია.

— გალაკტიონ ტაბიძეს რა აკავშირებს ჰოლდერლინთან?

— არაფერი. როდესაც დისკი გამოსა-ცემად მზადდებოდა, მანფრედს რამდენი-მე სათაური შევთავაზე და მან გადაწყვი-ტა, რომ „Caris Mere“ ყველაზე კარგად ჟღ-ერს უცხო ყურისთვის. იმას კი, თუ როგორ ითარგმნება ის, მნიშვნელობა არა აქვს. ამ-იტომ ზოგ შემთხვევაში წერენ Mare-ს და ამგვარად, ქართულისა და იტალიური ენე-ბის აღრევით, ერთგვარ ფსევდოლათინ-ურს იღებენ. რა თქმა უნდა, მანფრედმა მკ-ითხა, თუ რას ნიშნავდა ეს სიტყვები და მე მას აეუხსენი.

ეს ეპიზოდი ამოვიკითხე და ამოვინერე უაღრესად შთაბეჭდავი წიგნიდან „დია-ლოგები გია ყანჩელთან“, რომლის ავტო-რიც გახლავთ ნატალია ზეიფასი.

გალაკტიონის ქარებმა ყანჩელის გან-საკუთრებული ყურადღება დაიმსახურეს და ეს არ გახლავთ მოულოდნელი. ოციან წლებში პოეტმა მთელი ციკლი დაწერა:

„ქარი აშწევი ფარდის“;

„ქარი მოგონებათა“;

„ქარებს ქარობა“;

„ქარი ქანაობს ქნარად“;

„ქარი ჰქრის“;

„გრიალებს ქარი“;

„ქარებმა კარი შემოაჯახეს“;

„ქარმა ბუდიდან ყვავის ბახალა“ და ასე

შემდეგ.

მაგრამ გალაკტიონის ლექსიკაში ასე-თი სინტაგმა — „ქარის მერე“ — არ აღირ-იცხება. ანალოგიები კი იკითხება:

ქარიშხლის შემდეგ სდუმს იგი მხარე.
და:

გრივალს,

ქარიშხალს ვსევამთ ამის შემდეგ.

ამიტომაც კომპოზიტორი სავარაუდ-ოდ პასუხობს თანამოსაუბრეს: მეოწიო.

ზოგადად კი ცალკეული სტრიქონები-სა და ფრაზების ეეფონია უფრო აინტერ-ესებდა, ვიდრე სემანტიკა და, გარდა გა-ლაკტიონისა, ასე წაიკითხა შექსპირი და გოეთე, ბაირონი და ტიუტჩევი, მანდელ-შტამი და პასტერნაკი, რილკე და დილან ტომასი, ოდენი და ბროდსკი. და ვინაიდან ამათი ანაბანა ლათინურისეულია, „ქარის მერე“-ც ფსევდოლათინურად გაახმოვანა, ქვეცნობიერად გააჰარმონიულა: ქარიშხ-ლის შემდეგ — ქარის მერე.

ყანჩელი გალაკტიონს აღმერთებდა და ერიდებოდა: მე არ შემიძლია გალაკტიონ-ის ლექსების მუსიკაზე მუსიკა დავწეროო. ფრაგმენტებს კი მოიხმობდა: „ქართი დატ-ირებული“, „ქარი ქრის... სადა ხარ, სადა ხარ“... მოგვიანებით გათამამდა და დაწე-რა „შემოდგომის ფრაგმენტები — ვოკა-ლისა და ფორტეპიანოსთვის — გალაკ-

ტიონ ტაბიძის მიხედვით“ — ოთხი ლექსი მთლიანად ააჟღერა, ოთხისა კი — ფრაგ-მენტები.

2018 წლის 15 ნოემბერს გალაკტიონმა გია ყანჩელი სახლში „მომიყვანა“. მოვიდა და პოეტის ტექსტებზე ახლახან შეთხზუ-ლი ნოტების კრებული მომიტანა. გული-სხმიერად ვისაუბრეთ გალაკტიონზე და საერთო მეგობრებზე.

2021 წელს წავიკითხე „დიალოგები გია ყანჩელთან“ და გული დამწყდა: მე რომ სამი წლის წინათ წაკითხული მქონოდა ეს „დიალოგები“, ჩვენი დიალოგიც უფრო საინტერესო და უფრო ხანგრძლივი აღ-მოჩნდებოდა.

ისევ „მიზინავ ლიზი-ლიჩადი“

1959 წლის 17 მარტს ხალათის ჯიბეში ყავისფერი უბის წიგნაკი ედო, რომელშიც ჩვეულებისამებრ სათადარიგო რითმებია ჩამოთახსმევანებული:

მოხალჩეთი.

მონარინჯეთი.

მირჩევდი.

ამოიჩენდი.

იშვებდი.

შემოიშენდი.

გადაგვიშენდი.

ძირითადი სიტყვა არ ჩანს — გასართი-მავი.

1958 წლის 9 ივლისს წყნეთში, საკუთარ აგარაკზე, აღმოჩენათა აღტაცების ბედნი-ერი დღე გაუთენდა: ნაპოვნია... ნაპოვნია... ნაპოვნია... და ასე შემდეგ — 24 ევრიკა.

ამჯერად მეცამეტე გამოგვეპასუხა:

— ნაპოვნია — **ШЕСТИДНЕВКА**. გასაო-

ცარია! იგი ხელახლა იწყება (1956 წლის ფურცლებიდან) 9 ივლისით. თავდება ასე: მიზინავ ლიზი-ლიჩედი: ბეჭედი, იჩენდი, მიჭედდი, მიჯენდი — განვაგრძოთ.

მაშასადამე, ძირითადი გახლავთ სვა-ნური მიზინავ ლიზი-ლიჩედი, რაც ქართუ-ლად ნიშნავს: დამიწყია სვლა-ნასვლა.

ეს თურმეობითი 1939 წელს გამოცემულ ორენოვან „სვანურ პოეზია-ში“ აღმოაჩინა, თუმცა რა იყო აღმოსაჩე-ნი: ეს რეფრენი სხვადასხვა გრამატიკულ დროში და პირში თითქმის ყოველ მეორე ლექსში მეორდება, ალაგ — ორჯერ, ალაგ — ხუთჯერ, ერთგან — რვაჯერ და სულ კი — ორმოცდათოთხმეტჯერ.

ეტყობა, ძალიან მოენონა სვანური და-ბალი შაირის ეს ალიტერაცია და საკმაოდ ხანგრძლივად, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ამზადებდა გასართიშავად.

თურმეობობის ეს სვანურ-ქართული ვარიაციები პროზაულ ტექსტებშიც ხშირ-ადაა რეფრენივით გახმოვანებული.

„24 მარტი. 1950“. — ასე დაასათაურა

დღიური, რომელიც ამ სიტყვებით იწყება: — დაგვიწყია სვლა-ნასვლა...

ჩელუსკინების ხიდისაკენ გაემართა და სადგურის ქუჩაზე გაისეირნა. ქუჩას აფარ-თოებენ, ახალ სახლებს აშენებენ. თურმე ეს ქუჩა მიხილ ჯავახიშვილის რომანშია აღწერილი და მოულოდნელად ადრინდე-ლი აქაური სასაცილო და სავალალო ამბა-ვიც ახსენდება: ბაზრისკენ მიმავალ სოფ-ლელ ქალს ქათამი ჩაკეტილ ეზოში გადა-უფრინდა და დაეკარგა.

— მიზინავ ლიზი-ლიჩედი. — ასე დაას-რულა ეს გახსენება.

1950 წლის 27 სექტემბერს სოხუმის სას-ტუმრო „რიცაში“ გაელვიძა და დაასათა-ურა — „მიზინავ ლიზი-ლიჩედი“. აფხაზე-

თში აგარაკის აშენება განიზრახა და ქალა-ქის მთავარ ინჟინერთან შესახვედრად გა-ემართა.

— დაგვიწყია სვლა-ნასვლა. გვიყიდნია დასტა-ქალღლი, გადაგვიხდია სამჯერ-თექვსმეტი... შემდეგ გვინახავს ჩანჩურ-ეკონომისტი. შემდეგ გაგვინაღდებია ბანკ-ში აკრედიტივი. შემდეგ გვისადილნია, და-ვბრუნებულვართ სასტუმროში. იქ კარგი პაპიროსი დაგვხვედრია და ლაზათიანად გაგვიბოლენია. გავგორებულვართ რა დი-ვნებში, ისევ პაპიროსები გაგვიბოლენია.

1958 წელს პოეტური მოღვაწეობის ორმოცდაათი წლის იუბილესათვის ემზა-დებოდა. საკუთარი მუზეუმისა და მუდმი-ვი გამოფენის იდეა კარგახანია აწუხებდა. აშენების უფლება ვერ მოიპოვა და დამენე-ბა გადაწყვიტა. სოლოლაკში რამდენიმე სახლი დაათვალიერა. არჩევანი ძერჟინს-კის ქუჩის ორსართულიანზე შეაჩერა. არ-ავითარი ოფიციალური ნებართვა არ გაა-ჩნდა და ისე განიზრახა, შეემონებინა ამ ორსართულიანის საძირკველი — აიტანდა თუ არა დაშენებას. ინჟინერს შეუთანხმდა, მუშები დაიქირავა, სათანადო იარაღებიც შეიძინა. სამი დღე ამ საქმით იყო შთაგო-ნებული. იუბილე წლის ბოლოს უნდა გადა-ეხადა. სამი თვედა იყო დარჩენილი და არ-ავითარი შანსი არ გააჩნდა ამ გულუბრყვი-ლო მეოცნებეს.

10-11-12 სექტემბერს იღვანა და იმუშა-კა. თავისი რჩეული სვანური გაახსენდა და სამი დღის ქრონიკა ისევ ისე დაასათაურა — „დაგვიწყია სვლა-ნასვლა“:

— ღამით გვიძინავდა თუ არა? მაგრამ გათენებულია თუ არა, გამოვსულვართ სახ-ლიდან, გვითქვამს: ეს რა თქეშია, რა „წვი-მილია“, გუშინ იწოდა თბილისი ავგისტოს ალმურში...

თითქმის ყოველი აბზაცი იწყება „დაგ-ვიწყია სვლა-ნასვლაით“, ოთხი კი — „მიზი-ნავ ლიზი-ლიჩედით“.

— აქ ერთი თანამშრომელთაგანი ჰყვე-ბა თავის მოგზაურობის ამბავს სვანეთში. მაგონდება: „მიზინავ ლიზი-ლიჩედი“ (და-გვიწყია სვლა-ნასვლა).

მესამე დღეს დარწმუნდა თუ დაარწ-მუნეს და ენთუზიაზმი უმაღ ჩაქრა, მაგრამ დაგვიტოვა თურმეობითის უაღრესად წა-რმატებული ნოველა-ქრონიკა, რომელიც დიდი სიამოვნებით გამოვაქვეყნე „უცნობ-ის“ პირველსავე პუბლიკაციაში 1987 წელს.

გალაკტიონის ბიბლიოთეკაში მოვბრუ-ნდეთ. პოეტი „სვანური პოეზიის“ არა მარ-ტო ალიტერაციულმა რეფრენმა გამოიწ-ვია. სვანური „ბილებას“ ტრავესტიმოენო-ნა და ყირამალა მეტაფორები გადმოა-ქართულა 1950 წელს. რემინისცენციას „მესტიის ხიდი“ დაარქვა — შიდა რითმე-ბით განწყობილი ათმარცვლოვანი შემოგე-თავაზა, რომელსაც სხვა დროსაც წარმა-ტებით გააწყობდა ხოლმე:

მესტიის ხიდი, ო, ჩელტის ხიდი!

ცის მშვიდი რიდი ედება უშპას.

ცეკვის ალურსით, უუკედავესით,

ხენი თავისით აბამენ შუშპარს.

მესტიის მთები, მესტიის მთები!

ჭიანჭველები აგებენ ციხეს,

თევზნი ადრიან, ვით ინატრიან,

მინდვრად დადიან, სტოვებენ რიყეს.

და ასე შემდეგ.

ეს ტაეპები დავით წერედიანმა ასე თა-გრმნა:

ამბავი არის გასაკვირველი,

დიდი ხეები უვლიან ფერხულს.

ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,

ჭიანჭველები აგებენ ციხეს.

ამაზე უფრო საკვირველს ვხედავ,

დასივრობენ თევზები მინდვრად.

და ასე შემდეგ.

სვანური რითმას არ იცნობს. გალაკტი-ონმა „მირანგულა“ გართიმა და შეამოკლა:

ო, საბრალო მირანგულა,

მირანგულა, დედის ერთა!

მთელი ღამე ფრთხილად იჯექქ — შორის კლდეთა ქუდიერთა.

და ასე შემდეგ.

„თავბექლა“ ორას ტაეპს აღემატება.

მხოლოდ პირველი თექვსმეტი გართიმა:

ო, საბრალო თავბექლა,

ნადირობო შეგიყვარდა,

სამ წელს ჩიტიც არ მოგიკლავს,

ერთი კოჭლი ქათმის გარდა.

და ასე შემდეგ.

კრებულში სვანეთში გავრცელებული „ქართული სიმღერების“ ვარიაციებიცაა შეტანილი. გალაკტიონმა წაიკითხა „ანდუ-ყაფარ“ და დედამისის ჩონგური გაახსენ-

და. გვერდით მიუწერა სიყმანგილისას მო-სმენილი ვერსია და კომენტარიც მიადევ-ნა:

*„ანდუყაფარ სანადიროდ
საქართველო შეჰყარა,
შველიც მოკლა, ირემიცა,
კურდღელმა კი დაცარა.
ჩამომეხსენ, მაჩაბელო,
არ ვარ შენი მასხარა,
წამოვიდა მაჩაბელი,
ცხენი ცხენსა ახალა,
გადმოვიდა ანდუყაფარ,
თავი ქვასა ახალა.
ეს ვარიანტი აქვს*

დედაჩემს ქალიშვილობისას “.

ამ სიმღერამ მშობლიური ჭყვიში და მეფის ჭალა გაახსენა და იქვე ჩამოწმორა:

„მეჟის ჭალა

- საერთო ხედი.
- მდინარე რიონი მეფის ჭალაში.
- ბილიკები მეფის ჭალის.
- ხედი მეფის ჭალიდან (ხომლის მთა, მთის ძირი).
- ჭყვიში მეფის ჭალიდან.
- ბუჩქნარები მეფის ჭალაში.
- საინტერესო ხეები მეფის ჭალაში.
- ყანები მეფის ჭალაში.
- ხაბოები.
- კუნძულები“.

ეს მეფის ნაბოძები ჭალა ერთხელაც გაგვაცნო:

— კუნძული „მეფის ჭალა“, რომელიც ჩვენს სახლს ეკვროდა, იყო ჩემი საყვარე-ლი ადგილი (ეს ჭალა იმერეთის მეფის სო-ლომონ II-ს მიერ განსაკუთრებული სიგე-ლით მიეცა ჩემს წინაპარს, ჩემზე გადმოვი-და შთამომავლობით). კუნძულს გარს უე-ლიდა რიონის ორი ტოტი, ერთი ჩქარზე უჩქარესი, მეორე დინჯი, აუჩქარებელი. ორივე რიონი ძალიან მიყვარდა, განსაკუ-თრებით ზაფხულობით (მორს სჩანდა ხვამ-ლის მთები).

„სვანური პოეზიის“ ბოლო ფურცელზე კი, სადაც საგამომცემლო მონაცემებია დაბეჭდილი, ხუთი ნაცნობი რითმა ჩამონ-ერა:

ვირჩევდი.

მიჩერდი.

ლილეთი.

ჩიტედი.

„შინ შედი“

და იქვე გართობა:

*მიზინავ ლიზი-ლიჩედი,
ვიცოდი, ცეცხლს გამიჩენდი,
კოშკები შემზღვნენ ლილეთი
და ვერც ერთს ვერ ავირჩევდი,
მცოდნოდა, გადაგიორჩენდი
გალავნით და კარიბჭეთი.
სმენით ხევის ხმას ვიჭერდი,
წინ წადი, რას გამიჩერდი,
ჩანგის ხმა ისმის „შინ შედი“
და ერთადერთი იმედი.*

წლოვით აღჭურვილი

2021 წლის 6 სექტემბერს ნოდარ ტაბი-ძის დღიური წავიკითხე (ნოდარი ხუთი წლის წინათ გარდაიცვალა):

„26/VII — 1958.

დღეს დილით ვახტანგ ჯავახაძემ და-მირეკა. სამი დღეა, სანთლით დაგეძებ და ძლივს გიპოვნეო. ვახტანგს მიანდევს გა-ლაკტიონის წიგნის შედგენა. იგი გულმო-დგინედ მუშაობს. მთხოვა, გადავიდე მას-თან გამომცემლობაში და დავეხმარო გა-ლაკტიონის ზოგიერთი ლექსის დათარი-ლებაში.

წვერი გავიპარსე და ბიძასთან შევედი. ვუთხარი, რომ ჯავახაძემ დამირეკა.

— აბა, შენ იცი, თუ დაეხმარები. უთხა-რი, ჩქარა გააკეთოს, კაცო. იქ არაფერი არ არის სასწორებელი. ან თუ უნდა გაას-წოროს, როგორც უნდა, ოღონდ ჩქარა გა-აკეთოს.

— თარიღების შესახებ მელაპარაკა, ქრონოლოგიურად აპირებს ლექსების და-ლაგებას.

— როგორც უნდა, ისე გააკეთოს, რო-მელი წელიც უნდა, ის მიუწეროს ლექსებს. საკვირველია, რომ ბიძია აბსოლუტუ-რად არ ზრუნავს ქრონოლოგიის სიზუს-ტისათვის, აინტერესებს მხოლოდ სტრ-იქონთა რაოდენობა, რაზეც უშუალოდ არის დამოკიდებული ფული, ჰონორარი.

2 საათიდან 5 საათამდე ვმუშაობდით მე და ვახტანგი. ჩემი აზრია, რომ ქრონო-ლოგიურ დალაგებას შეეშვას, რადგან ამის

გაკეთება ამჟამად წარმოუდგენელია. გა-ლაკტიონის მიერ გამოცემულ ვერცერთ კრებულს ვერ დაეყრდნობა ადამიანი, რადგან, როგორც მოეპრიანება, ისე სვამს თარიღებს მექანიკურად. ამიტომაა, რომ ერთსადიამავე ლექსს სხვადასხვა კრე-ბულში სხვადასხვა თარიღი უზის. ქრონო-ლოგიის დადგენა მომავლის საქმეა, როცა შეისწავლება პოეტის არქივი და ლექსთა სრული ბიბლიოგრაფია შედგება.

ვახტანგი სრულიად მეთანხმება. საბო-ლოოდ იგი რწმუნდება, რომ თემატური დალაგება უმჯობესია. ვარჩევთ 6-7 თემა-ტურ რკალს“.

ცხადია, გალაკტიონთან ამ გასაუბრე-ბის შესახებ ნოდარს სამოცდასამი წლის წინათ ჩემთვის არაფერი უთქვამს და ვერც მეტყოდა. ამიტომაც აღმოვჩნდი სრული-ად მოუშზადებელი და ძალიან, ძალიან მე-უცნაურა გალაკტიონის რეაქცია ჩემს შე-კითხვებზე.

და ვინაიდან 1958 წლის 26 ივლისს გა-ლაკტიონმა შემომითვალა — როგორც უნდა, ისე გააკეთოს. რომელი წელიც უნ-და, ის მიუწეროს ლექსებსო, ხოლო როდე-საც პირადად ავტორს წარუვდგინე ცხრა ტომი მასალისაგან ჩემს მიერ შედგენილი ერთტომეული, რომლის შერჩევასაც ექვსი თვე მოვანდომე, და გალაკტიონმა არც კი ჩაიხედა კრებულში, პირიქით, ექვსჯერ მო-მილოცა და ექვსჯერ ჩამომართვა ხელი, ეს უდიდესი ნდობის გამოცხადების აშკარა შემთხვევა გახლავთ. ამიტომ გავთამამდი და ვაცხადებ: ამიერიდან მე გახლავართ გალაკტიონ ტაბიძის ნდობით აღჭურვილი პირი, არა თვითმარქვია, არამედ — სრუ-ლიად უფლებამოსილი.

ხანდახან ასე მგონია:

*გურამიშვილმა დამასწრო,
ბარათაშვილმა დამასწრო,
რაზიკაშვილმაც დამასწრო,
და ახლა დაუსწრებელზე
გალაკტიონთან დავდივარ.*

•

ოთხმოცდაათს რომ გადავაბიჯე, ახა-ლგაზრდა კოლეგამ — რატი ამაღლობელ-მა — სიტყვა შემანია:

— ვახტანგ ჯავახაძე მიყვარს, როგო-რც პოეტი და როგორც მკვლევარი, რო-მელმაც მრავალმხრივ გააცხადა დაფა-რული გალაკტიონი. როდესაც ხელს ვართ-მევ მას, ყოველთვის უცნაური განცდა მეუფლება, რომ ახლა ამ დროს გალაკტი-ონთან მხოლოდ ერთი ხელის ჩამორთმევა მაშორებს, რომ ჯავახაძის უკან გალაკტი-ონი დგას. ვფიქრობ, თანამედროვეობის-თვისაც ზუსტად ასეა, ვახტანგ ჯავახაძე ერთგვარი ბიღია გალაკტიონსა და ჩვენს შორის.

•

წარმოგიდგენთ დაინტერესებულ პი-როვნებათა ჩამონათვალს, რომლებიც გა-ლაკტიონმა გამაცნო:

თენგიზ აბულაძე
თენგიზ არჩვაძე
აკაკი ბაქრაძე
ლევან ბერძენიშვილი
არიადნა ბესტავაშვილი
იაკობ ბობოხიძე
რეზო გაბრიაძე
ედუარდ გიგილაშვილი
ლადო გრიგოლია
თეიმურაზ დოიაშვილი
რეზო ესაძე
თეა თვალავაძე
ნოდარ კაკაბაძე
გელა კანდელაკი
ჯანრი კაშია
მიხეილ კვესელავა
რეზო კვესელავა
ვახუშტი კოტეტიშვილი
ნანა მგალობლიშვილი
თენგიზ მირზაშვილი
ჯუნა მიქაბაძე
სანდრო მრეველიშვილი
ფატი ნიშნიანიძე
ნათია სიხარულიძე
დევი სტურუა
ზურაბ სტურუა
გია ყანჩელი
მარინე ყიფიანი
ხუტა ყუფარაძე
გიორგი შხვაცაბაია
ნანა ჩაჩუა
ლონდა ჩუდეცკაია
ზაზა ხალვაში

გოგი ხარაბაძე

აკაკი ხინთიბიძე

მურმან ჯინორია

ერთიც თვითონ გამაცნო პირადად 1958 წლის 23 ივლისს: საკუთარი მეუღლე — ნინა კვირიკაძე.

2000 წლის გაზაფხულზე მე და ჩემი მე-გობარი ხუტა ყუფარაძე პატრიარქის რეზ-იდენციაში მიგვიყვანა და 25 ივნისს უწ-მინდესმა და უნეტარესმა სიონის ტაძარ-ში პანაშვიდი გადაუხადა გალაკტიონს.

2018 წელს ბუენოს-აირესიდან მესტუმ-რა ქართველი მხატვარი გოჩა გაიოზი (შა-თირიშვილი), რომელმაც მომიტანა დიდი ფორმატის ორ ოთხგვერდთან გოფირიე-ბულ მუყაოზე ფერადი ილუსტრაციები გალაკტიონის ორი ლექსისა — „სიშორით შენით“ და „ქარით დატირებული“.

ჩემი მისამართია: საქართველოს რეს-პუბლიკა, თბილისი, ყაზბეგის 29, კორპუ-სი ბ, პირველი სადარბაზო, მეექვსე სართუ-ლი, ბინა 18. ტელეფონი 2-39-09-29. მობი-ლური არა მაქვს.

•

სამწუხაროდ, გალაკტიონთან — გარ-და იმერლობისა — არაფერი აღმომაჩნდა საზიარო. ძალიან კი მოვიწდომე და: მე და-ვიბადე და გავიზარდე ქუთაისში — სარა-ჯიშვილის ქუჩაზე. ჩემი სახლი რიონის პი-რად იდგა — ამ სიტყვის პირდაპირი მნიშ-ვნელობით. მთელი ღამე მესმოდა რიონის შრიალი. ხოლო როცა რაჭაში თოვლი დად-ნებოდა და რიონი გაბრაზებოდა, ჩვენი სახლის ნახევარსარდაფის ფანჯრებში ტა-ლლა შემოაღწევდა. გათამამებული მდინა-რე დასავლეთისაკენ აგრძელებდა გზას და ზუსტად გალაკტიონის ეზოს ჩაუვლიდა. გალაკტიონსა და მე ბავშვობისა და სიყმა-წვილის წლები რიონის ტალღებში გვაქვს გატარებული. მოკლედ, რიონი ჩვენი სა-ზიარო სიყვარული აღმოჩნდა.

ვედრება

ტაბიძიანთა ტაბიძე,

ეფემერიდებს გაფიცებ:

შენს ჩრდილში ვიდგედამინე

და, როცა მოვალ, დამიცევი!

ისევ ინტერმედიები

მოსაწყენი საომთხა

1941 წლის 26 ივნისს, დიდი სამამულო ომის დაწყებიდან მეხუთე დღეს, მფრინავი — კაპიტანი ნიკოლაი გასტელო, როდეს-აც მის თვითმფრინავს, რომელშიც ეკიპაჟ-ის კიდევ სამი წევრი იმყოფებოდა, ცეცხლი წაეკიდა, აღმოდებულ საჰაერო ხომალდ-ით თავს დაესხა გერმანელთა ტანკების კოლონას და ააფეთქა იგი. ნიკოლაი გას-ტელოს საბჭოთა კავშირის გმირის წოდე-ბა მიანიჭეს და გალაკტიონ ტაბიძემ დაწე-რა ლექსი „მფრინავი“.

აღრიცხულია ამ ლექსის ორი ვარიან-ტი. ერთ ვარიანტში ვკითხულობთ:

სამშობლოვ, თვით უკვდავებაც

უშენოდ მოსაწყენია.

გალაკტიონმა ჩაასწორა:

სამშობლოვ, თუნდაც სამოთხე,

უშენოდ მოსაწყენია.

გამახსენდა:

*ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა
არ გავიარე — რაა მამული!*

შეგვიძლია ნებისმიერ რჩეულში შევი-ტანოთ გალაკტიონის ჰაიკუ:

სამშობლოვ,

თუნდაც სამოთხე,

უშენოდ მოსაწყენია.

აღმოჩენილია მეორე ჰაიკუც:

როგორ შემეძლო,

არ დამეთვალა,

რამდენჯერ სცემდა ტყემი ნაჯახი.

ვარიანტებში ჩაკარგულების ძიება უნ-და გავაგრძელოთ.

P. S. ნაცნობი სინტაგმა მიხეილ ჯავახი-შვილის ჩანაწერებშიც ამოვიკითხე:

— სამოთხეც მოსაწყენია ერთფეროვ-ნებით. ვიყავი იქ. ყველაფერი ვნახე, გამ-ოცვადე. ვინატრე მარადიული ახალგაზრ-

დობა სიყვარულში. მივიღე და ქოხში გა-დავსახლდი. აი სამოთხე.

აგზავი ერთი რითმისა

1964 წლის 28 ივნისს ჭყვიშში ტიციანის ძმამ სიმონმა ნოდარ ტაბიძეს უამბო:

— ტიციანთან პოეტები იყვნენ. გალაკ-ტიონიც იქ იყო, რობაქიძეც და სხვებიც. იყო სიტყვების გატყორცნა და სადღეგრ-ძელოში შეჯიბრი. ამ საღამოს გრიგოლ რობაქიძემ პირველად ახსენა და გამოიყე-ნა რითმა: სააკაძე — საკაცე. ეს იმდენად მოულოდნელი, იმდენად ძლიერი რითმა იყო, რომ ყველა ერთდროულად წამოდგა ფეხზე და ტაში დაუკრეს გრიგოლს.

1920 წლის 7 იანვარს ჟურნალ „ბარიკა-დის“ მესამე ნომერში დაიბეჭდა გრიგოლ რობაქიძის ლექსი „საკუთარი ტოსტი“:

მოდიან ჩემკენ შხამიან თასით

ბერი იოვან და სააკაძე

და იმერეთი ნიადავ თარსი

წინ მეეცეება როგორც საკაცე.

1950 წელს გალაკტიონი მაგიდის კალე-ნდარზე აგრძელებდა ჩანაწერებს. მაისის თვეში დაასათაურა და ჩამოწერა:

„გიორგი სააკაძე.

- ანტონოვსკაია — „გიორგი სააკაძე“.
- სიმონ ქვარიანი — „დიდი მოურავი“.
- იოსებ თბილელი — „დიდმოურავი-ანი“.

4. ჯავახიშვილი ივ. — „ქართველი ერის ისტორია“.

5. „საქართველოს გეოგრაფია“ — ჯავ-ახიშვილი, კლიმიაშვილი.

6. „საქართველოს ისტორია“ — (ბერძე-ნიშვილი, ჯავახიშვილი, ჯანაშია).

7. სცენარი გიორგი სააკაძეზე (ვისია?).

8. უშანგი ჩხეიძე — „სააკაძე“ (პიესა).

9. იონა ვაკელი... (?).

10. აკაკის ლექსი (რომელი?).

11. ვ. ბარნოვი — „დიდი მოურავი“.

12. სააკაძე — საკაცე (გ. რ.)“.

ოცდაათი წლის შემდეგ გაიხსენა გა-ლაკტიონმა რობაქიძის წარმატებული რი-თმა და აკრძალული ავტორის ვინაობა ინ-იციალებით მიაწინშა.

პოეტის საიდუმლო

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში რუ-სეთში ძალიან პოპულარული იყო ევგენი ევტუშენკო, რომელიც არ მოსწონდა ანა ახმატოვას. როდესაც მიზეზი ჰკითხეს, უპ-ასუხა: ეს არისო პოეტი საიდუმლოს გა-რეშე.

სწორედ ეს საიდუმლო ანუ ქვეტექსტი გახლავთ მთავარი მახასიათებელი, რომე-ლიც გალაკტიონ ტაბიძის 1915-1926 წლებ-ის ლირიკას გამოარჩევს არა მარტო მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში.

1963 წლის თებერვალში გალაკტიონის ხსოვნის აღსანიშნავ საღამოზე გიორგი ლეონიძემ აღიარა:

— გალაკტიონს ჰქონდა ისეთი თრთო-ლვა, ისეთი მომზიბლავი მუსიკალური ცახ-ცახი და პოეტური ჟრუანტელი, რაც არ ჰქონია დღემდის არცერთ ქართველ პოე-ტს.

დიახ, სწორედ ეს თრთოლვა, ცახცახი და ჟრუანტელი გახლავთ გალაკტიონის საიდუმლო.

წავიკითხოთ 1939 წლის 22 იანვრის დღ-იური ელენე დარიანისა, რომელიც პირა-დად იცნობდა და კარგად იცნობდა გალა-კტიონს:

— მთელს ქართულ ლირიკაში ერთად-ერთი შეიცნობს ფერთა საოცარ მონაცე-ლეობას. მხოლოდ მას ესმის, ყოველთვის ესმის ყინვათა და მზურვალე მზეთა შორი-სი განსხვავების იდუმალი ჰარმონია. მაგ-რამ ჩაკეტილია ცხრაკლიტულში, რომელ-საც ვერავინ მოარგებს გასაღებს. საკუთა-რი არსება საკუთარი პოეზიის (ცისფერი ელვარებით გაასაიდუმლა და მიუწვდომ-ელ სამყაროში დაიმალა. ვინ არის იგი? რა უნდა მას? — უფალმა უწყის! გასცემს და არაფერს მოითხოვს.

1988 წლის 6 მაისს ჯემალ ქარჩხაძემ ჟურნალისტის შეკითხვას უპასუხა:

— პროზა თუ პოეზია? გალაკტიონის დონის რომანისტი, ჩვენ კი არა, ბარეორ ჩვენზე გაცილებით მაღალი ლიტერატუ-რის ქვეყანას არა ჰყავს. გალაკტიონი უმა-ღლეს ელიტას განეკუთვნება, იქამდე კი შორია. ჩვენი პროზა, თუ გლობალურად ვილაპარაკებთ, ჩამორჩება ჩვენს პოეზიას (თუმცა, უნდა ითქვას, უკანასკნელი 150 წლის განმავლობაში ეს განსხვავება თან-დათან მცირდებოდა და, რომ არა იმავე გალაკტიონის ფენომენი, რომელიც ჩვენი პოეზიის შედარებით მაღალ შკალაზეც კი ვერ ეტევა, თანაფარდობა დამყარებული იქნებოდა).



პირაპილი

1926 წელს ტიპების მაძიებელმა მიხეილ ჯაფახიშვილმა შერეკილი აღმოაჩინა და დაგვანტერესა:

— პავლე აკობია ხეზე სცხოვრობს. ზედ ძარი აქვს გაკეთებული. ქვეყნის ხსნით არ-ის გატაცებული, სალამურს უკრავს მუდამ. მხოლოდ დახალულ ხორბალს სჭამს.

1935 წლის 17 აპრილს გალაკტიონ ტა-ბიძემ ვრცელი კომენტარი დაურთო და დაგვაკვალიანა:

— ალექსანდროვის ბალის ერთ კუთხე-ში მიმჯდარიყო ჩუმად, თავისთვის პავლე აკობია და ხმელი შავი პურის კანს ღორღ-ნიდა. რომ დამინახა, შერცხვა, ღიმილით წამოდგა (მეგრელი ხომ ყოველთვის ზრდი-ლობიანია), მაგრამ მე ვუთხარი, რომ საქ-მეზე მეჩქარება და ამ წამშივე გამოვივლი-თქო. ვიყავი შემდეგ ბანკში და ვნახე გეგე-შიძე, ძლივს კარგად მიმიღო.

რომ გამოვბრუნდი, პავლე აკობია გზ-აში შემომხვდა. მე ვკითხე, გამოვკითხე:

— მოხუცებული კაცი ხარ-მეთქი, — ვუთხარი, — პენსიას უნდა იღებდე-მეთქი.

— ჰეუიიო! — იკივლა, — პენსიას ხუთი წელიწადია, რაც მეხვეწებიან, აიღეო, მაგ-რამ არ ავიღებ არსაგზითო. მე ხომ ძველი პოლიტკატორღელი ვარ, მაგრამ რად მიწ-და პენსია, ჯერ შრომის უნარი არ დამიკა-რგავს. მიწური გავიკეთე ჩემთვის და იქ ვც-ხოვრობ.

სანყალი მეგრელი!

ცაიერადი — წამიერადი

1919 წელს გალაკტიონმა „არტისტულ ყვავილებში“ გამოაქვეყნა „შიში“. მეოთხე სტროფი ასე იკითხება:

*და როგორც მხედრები,
როგორც ცა-იერად,
მეწყერად, სამუშად
გვედება ეს ჭირი.*

1940 წელს მესამე ტომში გამოაქვეყნა „იერი“, რომელიც ასე იწყება:

*იყო დილა მშვენიერი,
დილა ფერადი,
მაგრამ უცებ წამოვიდა
ცაიერადი...*

და ასე შემდეგ და ასე შემდეგ — კიდევ ხუთჯერ „ცაიერადი“.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსი-კონის“ მერვე ტომში ვკითხულობთ:

— ცაიერადი (ცაიერადისა) — პოეტ. კოკისპირული წვიმა, თავსხმა. „რომ იჭექა, გზა დაყრუვდა სერით სერამდი და მაისის წამოვიდა ცაიერადი“ (გ. ტაბ.).

„ცაიერადის“ სხვა დეფინიცია არ მოგ-ვეპოვება და, უნდა ვივარაუდოთ, გალაკ-ტიონმა ნეოლოგიზმი შემოგვთავაზა.

სხვათაშორის, ალექსანდრე ღლონტის „ქართულ კილო-კავთა კონაში“ იკითხება გურიაში ჩანერილი ბრწყინვალე ვარია-ცია:

— ცაი ფეხათ მუა — (გურ.) თავსხმა წვიმა (წითელმთა, ი. შილაკაძე).


ბაჩანა ბრეგვაძის ვრცელ ნარკვევში „პლატონი და რუსთაველი“ წარმოდგენი-ლია პარმენიდესა და არისტოტელეს დია-ლოგი, რომლის ავტორიც გახლავთ პლა-ტონი.

პარმენიდე პასუხობს არისტოტელეს: — ეს „წამიერადი“, როგორც ჩანს, რა-ღაც ისეთს ნიშნავს, საიდანაც მოყოლებუ-ლი იწყება მოძრაობა ამა თუ იმ მიმართუ-ლებით. და მართლაც, ცვალებადობა უძრ-აობით როდი იწყება, ვიდრე ის უძრაობაა, და არც მოძრაობით, ვიდრე ის გრძელდე-ბა, არამედ — თავისი ბუნებით ამ ყოვლად უცნაური „წამიერადი“-თ.

ბაჩანა სქოლიოში განმარტავს: — „წამიერადი“ — პლატონი სუბსტან-ცირებს ზმნის ზედას — „წამიერად“. ეს ახალ ტერმინთა წარმოების მისთვის ჩვეუ-ლი ხერხია.

მიუხედავად იმისა, რომ ეს „უცნაური“ „ცაიერადი“ და „წამიერადი“ სრულიად გა-ნსხვავებული მნიშვნელობის ტერმინებია, თუმცა კარგად კი ერთმეტიან ერთმანეთს, — გალაკტიონსა და პლატონს და — შესა-ბამისად ბაჩანას — „ტერმინთა წარმოებ-ის ჩვეული ხერხი“ აღმოაჩნდათ.

P. S. ერთხელ კიდევ სიამოვნებით გა-ვიხსენებ ბაჩანას კომპლიმენტს: გალაკ-ტიონს რომ შენი „უცნობი“ წაეკითხა, თავს არ მოიკლავდაო. სხვათაშორის, როდესაც ეს ფრაზა მოგვიანებით შევახსენე, ბაჩანას მოეწონა: ბიჭოს, ეს რა კარგად მითქვამსო.



**ვახტანგ
ჯავახაძე**

ისევ გალაკტიონი

**„უცნობის“
— მომავალი —
მერვე გამოცემისათვის**

რომანი — გალაკტიონის თანხლებით

2022 წელს „სულაკაურის გამომცემლო-ბამ“ დაბეჭდა ზაზა ბურჭულაძის რომანი „ვარდის სურნელი“, რომელსაც შეგვიძლ-ია მივანეროთ ქვესათაური „რომანი გალა-კტიონის თანხლებით“. 289 გვერდიან წიგნ-ში 70-ჯერ, ანუ ყოველ მეოთხე გვერდზე, პოეტის ლირიკაში განსწავლული მკითხ-ველი ამოიცნობს გალაკტიონს: სტრიქონი, სტრიქონები, ფრაზები, სიტყვები. ეს ერთე-ულები ალავ ზუსტად იმეორებენ ორიგინა-ლებს, ალავ კი, რომანის ტექსტის შესაბამ-ისად გარდასახულები, ავტორის მიუთითე-ბლად, ბრჭყალების გარეშეა ჩართული: — ან მაისის, ან ივნისს, ან ივლისს ჩაგძი-რავს მიწისძვრის ტალღები, სანაგვის გა-ზები გაივლის, ამ სახლის ჩაქრება ჭალები. — ან შარშანდელი სად არის თოვლი? ან სად არის სადარი თოვლის დოვინდოვ-ენდოვლი?

— როგორც ბედის ტრიალი, სწრაფი გრგვინვა-გრიალით ქრიან ჯუჯა ცხენები.

— მე უმანკო ჩასახების მამათა სავანი-დან მოვდივარ.

— კიდევ შეგრჩა თუ არა ცრემლიანი თვალები, თუ დრომ გადაუარა მკაცრი სა-მართებელით?

— მაღუღარაშიც თვლემს, როგორც ლავა, წამოდუღდება ხუთ წუთში ყავა.

— ქუჩაში, მტვერში წაიქცე, თვალები კი გახელილი დაგრჩეს.

პროზაულებიც გამოერევა:

— მე ხომ სრულიად ლაპარაკი არ ვიცი.

— ერთხელ დავინახე, როგორც კოცნი-და მზის სხივს.

გალაკტიონი მხოლოდ ერთხელ გამოგ-ვეცხადა:

— გალაკტიონი, ერთ ბენო ქნარს რომ იღებს მკერდზე. თითქოს სიცხიანი ამოლ-ლიავებბას ცდილობს თერმომეტრივით.

ერთხელაც იგულისხმება:

— ან ქებათა ქება ისე დაგინეროს რომე-ლიმე ნიკორწმინდისა, თვალით არ ჰქონდ-ეს იგი ნანახი.

კონკურსი ჩავატაროთ: ვინ მეტ გალაკ-ტიონს ამოიცნობს.

ნიორწმინდა და რინა

1991 წელს, „უცნობი“ რომ მეორედ და-იბეჭდა, ჩემს მკითხველებს ვაუწყე, რომ გალაკტიონს ნიკორწმინდა არ უხილავს. ბევრმა გაიკვირვა. ზოგიერთს დღესაც არ სჯერა.

1980 წელს ხორავას სახელობის მსახიო-ბის სახლის სცენაზე ანდრია ბალანჩივაძემ და დიმიტრი ალექსიძემ წარმოადგინეს კრისტოფ გლუკის ოპერა „ორფეოსი და ევრიდიკე“ გერმანულ ენაზე. ოთხივე მოქ-მედებას წინ უძღოდა ქართული ლირიკუ-ლი ინტერმედია, რომლებიც კომპოზიტო-რის თხოვნით ანა კალანდაძემ თარგმნა.

1980 წლის 21 მაისს კომპოზიტორი პოე-ტს ესტუმრა. სუფრაზე მასპინძელმა სტუ-მარს სხვათაშორის განუცხადა:

— ბევრჯერ აღუნიშნავთ და მეც მიფი-ქრია, რომ თქვენი სიმფონიური სურათი „რინის ტბა“ მხოლოდ და მხოლოდ რინის ტბას მოგვაგონებს და არა სხვა რამესო.

სტუმარმა უპასუხა:

— თქვენ წარმოიდგინეთ, რომ მაშინ რინის ტბა არ მქონდა ნანახი, ყველას კი ეგონა, იქ ვცხოვრობდი... და, რომ მენახა, ალბათ ვერ დავწერდი ამ მუსიკას: აი, რამ-დენად მაღლა დგას წარმოსახვა თვით რე-ალობაზე... მოიგონეთ მითი აპოლონისა და მდინარის ღმერთის, პნევსის ასულის, ნიმ-ფა დაფნას შესახებ — როგორ ქარივით მი-სდევს აპოლონი თავისი ტრფიალები სა-განს და... როცა უკვე დაენია და ხელი მოხვ-ია, ხე შერჩა ხელში: მიღწეული უკვე სხვაა!

რაც შეეხება გალაკტიონის როცას: *აფხაზეთს არის ერთი ტბა რიცა და იქ ხომ გვახსოვს შენცა და მეცა: ზეცა, ვით ზეცა და არა მინა, მინა, ვით მინა და არა ზეცა.*

„ფილიპა მახარაპის მეუოპალი“

ქუთაისის ვაჟთა პირველ სკოლაში ხა-ტვას გვასწავლიდა, მაგრამ ვერ გვასწავლა ცნობილმა მოქანდაკემ ვალერიან მიზან-დარმა, რომელიც თვითონ იყო მონაფე დი-დი ქართველი მოქანდაკის იაკობ ნიკოლა-ძისა. განსწავლის წლებში სამხატვრო აკა-დემიის სტუდენტი ვალერიანი იაკობ ნიკო-ლაძესთან ცხოვრობდა და მოგვიანებით დაწერა საინტერესო „მოთხრობები იაკობ ნიკოლაძეზე“, რომელსაც დაარქვა „ვე-რონეზეს ცა“.

„ხშირი სტუმარი და გალაკტიონი“ — ასეა დასათაურებული პატარა ესკიზი ამ კრებულისა.

1929 წელს გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსი ანდრია რაზმა-ძე და უნივერსიტეტმა იაკობ ნიკოლაძეს პროფესორის ბიუსტი შეუკვეთა. ბიუსტის გამოქანდაკებისას მოქანდაკის სახელოს-ნოს ხშირად სტუმრობდა მეცნიერის და, რომელიც აქტიურ შენიშვნებს კარნახობ-და და თავს აბეზრებდა ხელოვანს.

ამავე დროს ამ ქალბატონს უცნაური ჩვეულება ჰქონდა: გააცნობდნენ თუ არა რომელიმე შემოსწრებულ სტუმარს, ხელის ჩამორთმევისას ამაყად განაცხადებდა:

— *Сестра профессора Размадзе!*

ერთხელ სახელოსნოში შეზარხოშებუ-ლმა გალაკტიონმა შემოიარა. ანდრია რა-ზმაძის დამჩვეული რევერანსით წარუდგი-ნა საკუთარი პერსონა:

— *Сестра профессора Размадзе!*

გალაკტიონმა დაუყოვნებლივ უპასუხა: — *Сосед Филиппа Махарадзе!*

ამაყმა დაიკომ რაღაც მოიმიზეზა და სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას.

ამ დროს გალაკტიონი კრილოვის 10 ნომერში ცხოვრობდა და არ ვიცი, რამდე-ნად ემეზობლებოდა საქართველოს რეს-პუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს, მაგრამ ფილიპე მახარაძე აქტიური ლიტე-რატორიც გახლდათ და 1916 წელს რომ გალაკტიონმა „ცისფერ ყანწებში“ ორი ლექსი გამოაქვეყნა, მან გალაკტიონს არ-ჩევანი დაუწუნა და, როგორც გამოირკვა, სამართლიანად ივარაუდა:

— სამწუხარო გარემოებაა: გალ. ტაბი-ძის ორი ლექსი რაღაც მანქანებით გრ. რობაქიძისა და ელენე დარიანის ლექსების შუაშია მოთავსებული. როგორ მოხდა ეს, ჩვენ არ ვიცით. ერთი რამ აშკარაა: ტაბიძ-ის „მთანწინდის მთვარე“ და „ლურჯა ცხე-ნები“ პირდაპირ დისონანსი ანუ აშკარა წი-ნალმდევობაა. არა გვეგონია, რომ კარგად გრძნობდეს თავს გალ. ტაბიძე ელენე დარ-იანების და გრ. რობაქიძეების კომპანიაში. გამგები გაიგებს.

სხვათაშორის, იაკობ ნიკოლაძემ ათი წლის შემდეგ, 1939 წელს, გალაკტიონის ბიუსტი გამოაქანდაკა და მე მინახავს ეს ბიუსტი პოეტის სანერ მაგიდაზე. ამჟამად ლიტერატურის მუზეუმში ინახება.

ნიკოლაძე როდენის მონაფე იყო, ხო-ლო მიზანდარი — ნიკოლაძის მონაფე, მე კი — მიზანდარის მონაფე ანუ როდენის მონაფის მონაფის მონაფე და ამიტომაც ვერ ვისწავლე ხატვა.

P. S. როდენის მონაფის მონაფის მონა-ფე გახლდათ აგრეთვე რეზო გაბრიაძე, რომელმაც სახვითი ხელოვნების ყველა საიდუმლო ისწავლა და მერე როგორ ის-წავლა!

მოპარული სავარცხელი

არსებობს ცრუმორწმუნეთა რჩევა: მი-ცვალებულს სავარცხელი ჩაატანეთო.

გალაკტიონი არ იყო სავარცხლის კაცი. მხოლოდ ერთხელ წამოცდა:

*პირსახოცით მხარზე
და ხელში სავარცხელით
წყაროსკენ მიიმღეროდა
ფეოდალობა.*

ერთხელ გიგლა ხუხაშვილი რეზო ჭეიშ-ვილს გაენდო: პოეტები განსვენებულ გა-ლაკტიონს ვუთევდით ღამეს. როცა ყველ-ამ ჩათვლიმა, კოხტად დაეუვარცხნე თმა და წვერი მიცვალებულს და ჩემი სავარცხ-ელი გულისჯიბეში ფრთხილად ჩავუცუ-რეო.

— ახლა გალაკტიონი ხუხაშვილის სა-ვარცხლით განისვენებს მთაწმინდაზე. კა-ცი-მატერია აღარაა. ძვალი და ალუმინის პროქრისტიანის ნახშიარი სავარცხელია დარჩენილი. კარგია ეს თუ ძალიან კარგი, ვერაფერს ვიტყვი. საკვირველი კია, მე და ჩემმა ღმერთმა. — გაიოცა რეზო ჭეიშვი-ლმა.

ამაოდ გიკვირს, ჩემო რეზო:

ერთხელაც ჯანსუფ ჩარკვიანმა გაიხ-სენა: გალაკტიონი მწერალთა კავშირის დარბაზში ასვენია. ღამეს ვუთევთ. უცებ შევამჩნიე, რომ პიჯაკის ზედა ჯიბეში სავა-რცხელი უდევს, თითქმის ისეთი, როგორ-იც მე მაქვს. უცებ გალაკტიონის სავარცხ-ელი ჯიბიდან დავაძრე და მის ნაცვლად ჩემი ჩავუდე. დღემდე ვინახავ გალაკტიო-ნის სავარცხელს.

ცხადია, ჯანსულმა გიგლას სავარცხე-ლი მოიპარა და შეინახა.

მაგრამ არსებობს მესამე შანსიც: არაა გამორიცხული, ჯანსულის სავარცხელი მესამე მოხალისემ ჩაანაცვლა, მაგრამ არ გაამხილა.

გალაკტიონი კი ალბათ ასე გააპრო-ტესტებდა:

*არ მინდა, ბატონო,
თქვენი სავარცხელი,
სავარცხელს მირჩევნია
მეფის სავარძელი.*

დღეს რადიოში შუადღის მორიგე ვიყავი. დიდი და შრომატევადი საქმე არ მაქვს — დიჯეი ვარ, მსმენელი რეკავს და სიმღერას ვუშვებ.

შუა გადაცემის დროს შუქი გამოირთო. რადიო გენერატორებზე გადავიდა. უცებ ჩამოცხა. რედაქტორს ყურსასმენში ვეკითხები, რა ხდება-მეთქი და თელასიდან შეტყობინება მოვიდა, ავარიია, შუალამედე შუქი არ გვექნებაო. ანუ კონდიციონერები ფაფუ... სტუდიაში უკვე ისე ცხელა, ბიტლზების სიმღერა, „Please Mr. Postmen“ რომ მთხოვეს, კინალამ უარი ვუთხარი. ხო მახსოვს, ამ სიმღერის ვიდეოკლიპში ოთხეული კოსტიუმებით და ჰალსტუხებითაა, იმათი ან ფოსტალიონის აქ მოწვევა ამ დახუთულ სტუდიაში იქნებოდა? გავუშვი მაინც სიმღერა, მღეროდნენ ლივერპულელი ბიჭები და ვხვდებოდი, როგორ ასკდებოდათ სანყლებს ოფლი შუბლზე.

დამთავრდა სიმღერა, გავარდნენ ჯონ ლენონი და მისი ძმაცაცები სტუდიიდან დასიცხულები და ვილაცა რეკავს, ალექსანდრე ბასილაიას „ანგელოზად მოხვალ“ გაუშვითო... ის ვიცი, რომ ნემსის წვერზე ცხრა ანგელოზი ეტევა. ალბათ სიცხესაც გაუძლებ, ერთად მაპატიეთ, ყველა ანგელოზო!

საბედნიეროდ, ეს ბოლო სიმღერა იყო, ხვალამდე თავისუფალი ვიყავი. რედაქტორს რალაც შეხვედრა ჰქონდა ჩანიშნული, მაგრამ ამ შეხვედრების ამბავს ხვალ გავიგებ, სასწრაფო საქმე მაქვს, აბა, კარგად-მეთქი, ყურსასმენში ვუთხარი და სანამ რამეს მეტყოდა, რადიოს შენობიდან გავვარდი და დავანექი სახლისკენ მეტროთი — კარგია მეტრო, გრილა. აკაკის რომ უწერია — „ზამთარ თბილი, ზაფხულ გრილი“ — მეტროა სწორედ. იცინა, რომ მობილური არ მაქვს, ანუ სრულად თავისუფალი ვარ. მქონდა და ლეპტოპზე მიბმული თავი მეგონა თავი. ადრე ხომ რადიოდან უფროსები ლამის ყოველ ერთ საათში ინსტრუქციებს მკარნახობდნენ, თან ეს მევალებიცი ყველგან მაგნებდნენ და როცა ტელეფონს პლატა დაენვა, თქვენ წარმოიდგინეთ, გამიხარდა კიდევ. თავიდან ერთი ხმამალა ქართულად დავიძახე — ჰა, გეტყვითა ყოფა! აგულის მივბაძე, ერისთავს, ფილმი ხო იცით, „არაჩვეულებრივი გამოფენა?“ — იქ ამბობს ამ ფრაზას, ფაშისტებთან გამარჯვების ამბავს რომ გაიგებს, მერე კი ინგლისურადაც დავამატე — იესს.

ნაძალადევის მეტროდან მართლაც რომ ნაძალადევად ამოვედი. ქუჩაში ისე აჭერს თბილისური ივლისის პაპანაქება, ასფალტი დულს ლამის და მეშინია, ბოტასები ადულებულ გუდრონში არ ჩამრჩეს. თავი გავარვარებულ ლუმელში მგონია და ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ნელ-ნელა ვინვები.

ზღვა მენატრება და ერთი სული მაქვს, როდის მიიღევა ივლისის უსაშველოდ გრძელი, დასიცხული დღეები და მოკლე, გულმხურვალე ღამეები, რათა მერე ავიღო ივლისის კუთვნილი ხელფასი, აგვისტოს კუთვნილი შვებულება, ბათუმში წავიდე, ზღვასთან მივიდე ერთ წლის წინ დაპირებულ პაემანზე, თან დილით ადრე, როცა არავინ არის ირგვლივ და ვინ იცის, მერამდე-ნეჯერ ავუხსნა სიყვარული. მერე დიდხანს ვილოცოვო მის ტალღებში, ნაპირზე ამოსულმა და მხურვალე ქვებზე გულალმა განოლილმა თვალები ისე მოვჭუტო, რომ მზის მწვანე შუქი გამოვატარო მხოლოდ და მწვანე მზეს ვუყურო.

ამ ფიქრებში გართული შევუყევი ჩემი სახლისკენ მიმავალ აღმართს, რომელიც ახლა რალაც ძალიან დაგრძელდა. საათზე დახედვაც კი მეზარება, დრო გავიგო, ყოველი ზედმეტი მოძრაობა ოფლს მასხამს. სამი საათი ხდება ალბათ — მზე დასავლისაკენ გადაიხარა, მაგრამ იმის მაგივრად, ცოტა აგრილდეს, სიცხე, მგონი, მატულობს. მივალ თუ არა სახლში, ცივი შხაბი უნდა მივიღო. არა, ჯერ მაცივარში ერთი ბოთლი ლუდი მაქვს და იმას გამოვიღებ, ნახევარს მალღ ჭიქაში დავასხამ, გემრიელად დავლევ... მანამდე ლუდით ნახევრად საესე ბოთლს ისევ მაცივარში დავაბრუნებ... მერე შხაბი... შხაბის შემდეგ ბოთლს ისევ გამოვიღებ მაცივირიდან და იმასაც იმ მალღ ჭიქაში ჩამოვასხამ და ტელევიზორში პულტით მოვნახავ კადრებს, სადაც ზღვა იქნება, დივანში ჩაჯვდება, ლუდს სვენებს სვენებით დავლევ და თან ვიოცნებებ...

...ფანჯრიდან სიმღერის ხმა გამოდის: „ანგელოზად, მოხვალ როცა ღამდება...“



ისევ ეს ანგელოზი... სტუდენტობის ამბავი გამახსენდა, მხატვრული ოლიმპიადისთვის ვემზადებოდით და ეს სიმღერა უნდა გვემღერა. ხომ არის ტექსტში: „გეფიცები, დღეს პირველად ვმღერეივარ...“ იმ ადგილას ვართ და გაგვაჩერა ხელმძღვანელმა, არ გინდათ დაფიცება, მჯერაო...

დამთავრდა სიმღერა. ამასობაში თითქმის სახლთან ვარ მისული და უცებ ვხედავ, მოსახვევიდან კაცი გამოდის. არაფერი განსაკუთრებული, ჩვეულებრივ აცვია, ზოლებიანი მაისური, ჯინსის შარვალი და შავი ფეხსაცმელი, მაგრამ ტირის. დიახ, თუმცა ძალიან ცხელა, არავითარი ჰალუცინაცია — მოდის და ტირის... თავიდან მართლა ვიფიქრე, მომეჩვენა-მეთქი, ისე ცხელა, არც ეს არის გასაკვირი, მირაჟი და რამე... მაგრამ არა, აშკარად ვხედავ, რომ ტირის... ღვარ-ღვარად მოსდის ცრემლები... სიმღერის არ იყოს „იმ კაცს რა ვუთხრა, რომელიც, ერთხელ არ ატირებულაო“. მაგრამ ეს ნამეტანი იყო — შუა ქუჩაში ასე გულამოსკვნილი მტირალი, ერთი ის ვიცი, სულიკოს რომ ეძებდა და მეორე ეს კაცი...

აუტანელი სიცხის მიუხედავად, ჩემში ადამიანმა და ადამიანურმა გრძნობებმა გაიღვიძა, იქნებ უჭირს რამე და დავეხმარო-მეთქი. ამასობაში კაცმა იქვე მდებარე კორპუსის წინ პატარა ფანჯატურში სიცხეს თუ დაღლილობას შეაფარა თავი და ჩამოჯდა. თან ტირილს აგრძელებს. იქნება ჩვენი დროის ტარიელია და ნესტან-დარეჯანი მოსტაცეს ქაჯებმა?! მივუახლოვდი.

— მეგობარო, მოხდა რამე?!

ატირებულმა გამომხედა. რა შენი საქმეა, ახლა შენ გაბარო ანგარიშებით, ცრემლიან თვალებში წავუკითხე, თქმით არაფერი უთქვამს. იქვე გვერდით ჩამოვჯექი და ვეუბნები.

— იქნებ დაგეხმაროთ რაიმეთი?!

— კარგით რა, თქვენ რითი უნდა დამეხმაროთ? — თქვა და ხელი მოწყვეტით ჩაიქნია და „ეჰო“, ერთი ისეთი ამოიკვნესა, ლამის სულ თვლი ამოაყოლა.

— იქნებ და შევძლო! ვხვდები, რომ რალაც დიდი უბედურება დაგატყდათ!

— ხო, ეს კი მართალია, დიდი უბედურება დამატყდა!

— რა მოხდა, ეს მაინც მითხარით!

ეს რომ ვთხოვე, უცებ ნდობა გაუჩნდა, ამრებით აღარ მიყურებდა, ანუ მენდო.

— მე მფარველი ანგელოზი დავკარგე...

— თქვა უცებ კაცმა და ისევ ღვარ-ღვარად წამოუვიდა ცრემლები.

— როგორ თუ მფარველი ანგელოზი?

— ხო... ზუსტად...

დავიხედი. ძალიან გამიჭირდა მის გულწრფელობაში ეჭვის შეტანა, მაგრამ მაინც ვერ დავიჯერე. ალბათ ეს აშკარად შემეტყუ.

— ვიცი, არ გჯერათ! — თითქოს ფიქრს მიმიხვდაო.

— არა, როგორ არა...

— მე მფარველი ანგელოზი მყავდა! — დაიწყო კაცმა. უცებ დღეს ამოჩემებული სიმღერა ამოტივტივდა გონებაში, ანგელოზის მოსვლაზე, თუმცა ის არაფერ შუაში იყო. მივხვდი, რომ ეს კაცი აღსარებას ამბობდა ახლა და მართლა მე ვეგულებოდი მშველელად.

— ხო, მფარველი ანგელოზი მყავდა. აი, დაახლოებით ათი დღის წინ გზაჯვარედინზე მანქანა უნდა დამჯახებოდა და იმან გააჩერა, უფრო სწორად მუხრუჭს მან დააჭირა ფეხი. მძღოლს საერთოდ არ შეეუწინივარ, მოძილურზე ლაპარაკობდა

და თვითონაც გაკვირვებული იყო, რატომ გავჩერდიო...

ცოტა ხანს გაჩერდა. მეც ჩუმად ვიყავი, ველოდი, როდის გააგრძელებდა საუბარს.

— ერთი კვირის წინ ბიჭებთან ვსაუბრობდი მშენებარე ობიექტთან. რალაც ძალამ თითქოს ხელი მკრა და ნაბიჯი გადამადგმევინა წინ. იმ წამსვე ათი სართულის სიმალიდან ჩამოვარდნილი აგური რო დაიფშვნა ჩემს უკან, ახლა ვხვდები, ის ძალაც ჩემი მფარველი ანგელოზი იყო. ბიჭებმა ცხვარი უნდა დაკლათ. მე თუ გადავრჩი, ცხვარმა რა დაამავა... შემეცოდა ცხვარი...

ისევ შეისვენა, თან რალაცას იხსენებდა თითქოს. მერე გააგრძელა:

— ერთი კვირის წინ ფული დამჭირდა სასწრაფოდ, ორმოცი ლარი. ავტობუსის გაჩერებაზე ორი ოცლარიანი დავინახე ჩემს ფეხებთან დაყრილი. უფრო სწორად თავიდან ერთი ოცლარიანი — დაკეცილი, მეორე კი ისე იყო პირველში ჩადებული და მიწებებული, თავიდან ვერც შეამჩნევდი, თუ ორი იყო. აღება შემრცხვა... იქნებ ვის დაუვარდა და იმას როგორ სჭირდებოდა ეს თანხა-მეთქი... თუმცა, რომ მივიხედმო-ვიხედე და ვერავინ შევამჩნიე ირგვლივ, მივხვდი, ის ფულიც ჩემმა მფარველმა ანგელოზმა გამომიგზავნა.

— საინტერესოა! — ვთქვი მე, უფრო იმ მიზნით, ყურადღებით გისმენ-მეთქი, თუმცა ამის თქმა ნამდვილად არ სჭირდებოდა.

— სოფელში, შარშან შემოდგომაზე, უზარმაზარ თხემლაზე ვიყავი ასული — ადე-სას ვკერეფდი. უცებ ტოტი მომიტყდა, მაგრამ ისე წარწარად ჩამოვფრინდი (ჩამოვარდნას ვერ დავარქმევ იმას) ძირს, თითქოს ხელებით ვეჭირე ვილაცას... ის კი არა, გოდელიც თან მომქონდა და ვადაგზა ყურძენსაც ვკერეფდი, აბა, ცარიელი გიდე-ლით ხო არ ჩამოვიდოდი იმხელა ხიდან. ახლა ვხვდები, მაშინაც ჩემმა მფარველმა ანგელოზმა გადამარჩინა... ორი წლის წინ ზღვაზე ტალღამ ჩამითრია, ფსკერზე დამავინდა და ლამის გამგელდა. უცებ წყალი შემომეცალა. წარმოიდგინე, მე ფსკერზე ვდგავარ და ჩემს ირგვლივ ტალღებია, ისე, რომ წყალი არც კი მეხება და თავისუფლად ვსუნთქავ. ჰაერი ღრმად ჩავისუნთქე, ძალა მოვიკრიბე, ტალღებში შევედი და ნაპირისკენ ისე გამოვცურე, თითქოს მაშინაც ხელით ვეჭირე ვინმეს და მეხმარებოდა. გამიკვირდა, ალბათ ეს ყველაფერი მეჩვენება-მეთქი... მაშინაც ჩემმა ანგელოზმა მიხსნა... რომ მიხვდი, ვინც იყო, დამენახე-მეთქი... არაო, არ გჭირდება ჩემი დანახვაო, არ არის საჭირო, ინსტრუქციებში არ გვინერიაო და ათას რამეს იმიზეზებდა... მე კი პატარა ჭირვეული ბავშვივით ვირზე შევჯექი და ტლინკები ვყარე — დამენახე, თორემ არც შენი ოცლარიანები მიწა და არც ზღვაში წყლის შეკავება მეთქი... ნეტა მე არ მეთქვა ან მას არ დაეჯერებინა... დამენახა... ისე ლამაზი იყო, ისე ლამაზი იყო, თავიდან თვალები დავხუჭე, მეჩვენება-მეთქი...

— ქალი იყო?

— ქალი იყო, აბა, კაცი ლამაზი სად გგონილა!

— არ ვიცი, ანგელოზი არასდროს მინახავს — ეკლესიებში ფრესკებს თუ არ ჩავთვლი!

— არა, ფრესკა არა, ის ხორცშესხმული ადამიანი-ანგელოზი იყო და მიღიმოდა. ჰოდა, არც ვიცი, საიდან მომაფიქრდა, ყურში რალაც უნდა გითხრა-მეთქი. გაუკვირდა. ისეთი რა უნდა მითხრა, თუ მაინც და

მაინც და ხმადაბლა თქვიო. არა ყურში მიწა, გითხრა, ბალახმაც კი არ მინდა, გაიგოს, რას ვამბობ-მეთქი. გაიცინა და... მენდო... მე კი... მე კი... არ ვიცი, როგორ ვთქვა, მაგრამ უნდა ვთქვა... ხო... ტუჩები ყურებთან მივუტანე... თითქოს ბალახებმაც ნია-ვს აყოლილი სიმღერა შეაჩერეს და ჩიტებმა ჭიჭიკი წამიერად, ნეტა რა უნდა უთხრა-სო! ასე მეგონა, მთელი სამყარო ჩვენ გვიგდებდა ყურს. მე კი... მე კი... ვაკოცე... ასე მოტყუებით და მიბარვით ვაკოცე, ყურთან ვაკოცე. სახე შეეცვალა, ღიმილი გაუქრა და დასევდიანდა. უმშვენიერესი იყო მაინც, სევდაც უხდებოდა... და წავიდა. კარგად იყავიო და გაფრინდა... ლაჟვარდებს შეერია... ეჰ... ადვილი სათქმელია, კარგად იყავი. როგორ ვიქნები კარგად, როცა ის გავაბრაზე? როგორ ვიქნები კარგად, როცა მან დამტოვა? დიახ, მე მფარველი ანგელოზი მყავდა... — თქვა კაცმა ბოლოს, ამოიოხრა და თითქოს სულ ამოაყოლა ამ ოხვრას სული და გული...

მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც ამ ამბავს ჰყვებოდა, დროდადრო, ცრემლებსაც გადმოყრიდა. ლამის მეც ცრემლი მომერია და ბარემ ორ ხმაში ხო არ ავტირდეთ-მეთქი, ისიც კი გავიფიქრე. როგორ ვანუგეშო?!

— თქვენ რა იცით, იქნებ და დაბრუნდეს? — რა უნდა მეთქვა, არ ვიციოდი და ესლა ვთქვი, სხვა უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე.

— თქვენ ასე ფიქრობთ?! დაბრუნდება?! — დამიბრუნა კითხვა.

ახლა ვარ ცოდო, რა ვუთხრა... ანგელოზების კი არა ჩემი თავის ვერ გამიგია, როდის წავალ და როდის დავბრუნდები. ტელეფონი ხომ არ მაქვს, ერთი მევალე რადიოში რეკავდა და მე სადღაც გაპარული ვიყავი და სად არისო, თანამშრომლისთვის უკითხავს. იმან თვითონ არ იცის, სად არისო, ასე მიპასუხესო, მევალე მეუბნებოდა მერე. ეს ამბავი რა გასახსენებელი იყო, რალაც კარგი უნდა ვუთხრა ამ კაცს.

— რა თქმა უნდა, აუცილებლად დაბრუნდება. თან ხო გითხრათ, კარგად იყავითო... ესე იგი, ძალიანაც არ გაბრაზებულა. ასე რომ არ იყოს, მაშინ გეტყოდა, რომ ცუდად იყავიო!

— თქვენ რომ მისი სევდიანი თვალები გენახათ!

— სადღაც წავიკითხე სევდა ალამაზებს ადამიანსო!

— და ამ სევდის მიზეზი მე ვიყავი!

— ხო, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ დაბრუნდება!

— მართლა?! მართლა დაბრუნდება? — მკითხა ხმამალა და ცრემლიან თვალებში სიხარულის ნაპერწკალი გაუქროდა...

— კი დაბრუნდება... აუცილებლად დაბრუნდება! — ვუთხარი მე დარწმუნებით. ამ წუთში მართლა მჯეროდა, რასაც ვამბობდი.

— არა მგონია... — ისევ მოიწყინა კაცმა, სიხარულის სხივი ჩაუქრა თვალებში, ცრემლების ახალ ნაკადს გადმოსაშვებად მოემზადა და თავი ჩაქინდრა.

— მაინც რატო?

— რა რატო?

— რატომ ფიქრობთ, რომ არ დაბრუნდება?

— როგორ თუ რატო? აი, წელან მალაზიაში ერთი ბოთლი ცივი ლუდი მინდოდა და ნისიაზეც კი უარი მითხრეს!

უცებ გამახსენდა ჩემი ერთი ბოთლი ლუდი, არა, კი არა გამახსენდა — არც დამეინყებია, თითქოს ვილაცა მკარნახობდა, რა მექნა.

— დამელოდეთ!

ცოტა ხნის შემდეგ სახლიდან ცივი ლუდი გამოვუტანე. ჯერ უარობდა. მადლობა, არ არის საჭიროო. მე რატომ მეუბნებით მადლობას, ეს თქვენმა მფარველმა ანგელოზმა გამოგიგზავნათ-მეთქი. უნდა გენახათ, როგორ შეეცვალა სახე... გაღიქროვნდა თითქოს... მართლა? მკითხა. კი-მეთქი... ესე იგი, არ მიუტოვებია? არა, არ მიუტოვებია-მეთქი. მხრებში გაიმართა, ადგა... კინალამ ცეკვა დაიწყო. მერე ლუდი გამომართვა, გახსნა და გემრიელად მოსვა... დავემშვიდობე... სახლისკენ წავიდე... თან ვფიქრობდი, რა ბედნიერია ეს კაცი, მფარველი ანგელოზი ჰყავს და უნახავს კიდევ. საერთოდ ვიცი, რომ ყველას ჰყავს მფარველი ანგელოზი. პირველად ცხოვრებაში ჩემს მფარველ ანგელოზზეც დავფიქრდი, ნეტავ სად არის-მეთქი?...

სიცხე ისე აღარ აჭერდა თითქოს...



პეტერ პარპანო

ზოგს კი ოდნავაც არ გამოსდის ცხოვრების დაკვრა. მოკვდომითაც უცნაურად მოკვდება ხოლმე. დასაფლავებას კარგ შემთხვევაში ოთხიოდე პოლიციელი ესწრება მხოლოდ, ერთმანეთისთვის უხერხულად თვალის რიდეებით ხმის არგალებას რომ ცდილობენ, ვინაიდან მიცვალებულიც და გულებზე შემოწოლილი სევდაც — ორივე უცნობია.

2009 წლის ზაფხულში ჩრდილო-დასავლეთ ირლანდიის ერთ-ერთი სოფლის მყუდრო პლაჟზე, როდესაც ყურე ისე დუმდა, თითქოს სიღრმით ფუტს არ სჭარბობდა და განაბულებს მიეყურებინათ ნაპირისთვის მწვანე მედუზებს, იმ ერთ-ერთი გამთენიისას, ღამის მოქცევას რომ მოჰყვება, ასეთს წააწყდნენ მიცვალებულს, მწოლიარეს ზედ წყლის კიდეზე.

ვერავინ თქვა მთელ მხარეში, მსგავსი რამ ბოლოს როდის მოხდა. პროვინციის უხნიერესმა მცხოვრებმაც კი ვერ გაიხსენა, რომელსაც თურმე, ბიჭობაში მიმტანად მორბედს, ბედნიერება ერგო თავად უილიამ იეიტსისთვის მიერთმია მიხაკმოყრილი ყავა და ყველი. „სერ ვილის ჰქონდა პირისგემო“, — ამოლექა მან, სანამ თვლელმა გააგრძელა.

დილის ნიავი სულ ცდაშია ეპიტაფიის გამოსახვის იმ შუახანს გადასული უცხოქვეყნელი კაცის საფლავზე, ის ცხედარი რომ ეკუთვნოდა და სიკვდილამდე სამი დღით ადრე საგრაფოს ცენტრში ნაქირავები სასტუმროდან ამ დღეების განმავლობაში როდოდენდრონის ფურცლებივით იისფერი პარკით რაღაცა სადღაც წაეღო რამდენჯერმე, უკურნებლად დაავადებულს, და წერილებიც დაეგზავნა დაუდგენელ ადრესატთათვის. დილის ნიავი იმ გამხდარი ჭაღარა კაცის ვინაობის გამჟღავნების წკიპზე უბერავს, ვისი ყრუ-მუნჯი წარსულიდან მომავალ კვალსაც ძეხორციელმა ვერ მიაგნო და ვინც მძინარე ფერგუსივით იწვა ნაპირზე, თითქოს უნდოდა დაეჭირა ლეპრეკონები, რომ ერთადერთი აეხდინათ მისთვის სურვილი: თითო-ოროლა მართებული ნოტი აედო დარჩენილი ცხოვრების სტვირზე.

თავდავინწყების მწარე ნდომით, და სულაც არა ბუნდოვანი წარსულის გამო, პეტერ ბერგმანად ვინც გაეცნო სასტუმროს მიმნდობ მოსამსახურეს და სიცოცხლე მაშინ დალია,

ბნელ წყალში თავის დასახრჩობად რომ შედიოდა, იმ ნატანჯი კაცის ნამდვილი ღამისაა დაუბეროს სახელი გრილმა დილის ნიავმა, ბულვარებში, გზებზე, ვაგზლებზე იის სუნივით გაავრცელოს და თავის მოკვლის დამპირებლებს მარცვალ-მარცვალ ჩაუჩურჩულოს წუნდაუდებელ მიხვედრებად, რომ ქვეყანაზე არც ერთი რამე ბუნებრივად მოკვდომას არ სჯობს, ჩაჰბეროს ხმოვან ცისარტყელად, თვითნებურად სულის განთხევის უგუნურობის შემხსენებლად.

მერე ნაპირზე ქვიშიანზე კიდეც დიდხანს ამოდიოდნენ წვრილი ტალღები უფრო მაღლა, ვიდრე ოდესმე, და, როცა ისევ ვერ აგნებდნენ ცხედარს ვერც ერთგან, მიწას გართხმული თავშებივით შრიალით უკან ინეოდნენ, სავსენი თითქოს სინანულით, რომ ვერ მოასწრეს დაეცვათ იგი ხმელეთისგან, გამოეცაცათ დამტირებლის უყოლობიდან, იმ სიჩუმიდან,

რომელიც ხშირად რა უშნოა და უკუღმართი, რა შესაზარად ულმობელი, თითქოს არავის არ უნდოდი და არ უყვარდი, თითქოს არავინ არ ყოფილა შენი მშობელი,

რა სულ მთლადაა ქვეყნის ჭირის ბუდესავით ამოსანვავი, ცეცხლი რომ იყოს სათანადო, ისე რომ დანვა, არ დატოვო მისგან ნაცარი, და, სანამ დანვავ, გაანათო.

რა ძირიანად ამონვავდი ასეთ სინყნარეს, რა სიხარულით იქნებოდი მის ტკაცუნთან ჰანგის შემწყობი, კიდეც რაღაცა რომ რჩებოდეს თუნდაც მისხალი, კიდეც რაღაცა რომ რჩებოდეს, გარდა შედრკომის,

გარდა მოკრუნჩხვით მის წინაშე ჩუმად ღრიალის მსგავსად გამკივან სიცივეთა პირისპირ სადმე კლდოვან წვეროზე ღამეში მდგარი ადრეული ადამიანის, ჯერ უცეცხლოსი, ჯერ სრულიად უნაპერწკლოსი.

ამ ქუჩაზე სულ თერთმეტი სახლია. მისი იყო მეთერთმეტე, ბოლო. დღემდე მდგომელს, დღეს სიმდგრადე აკლია. გეგონება საძირკველი დაღლია ან ხელთ იგდო ავაზაკთა ბრბომო.

ვერ ივინყებს ქუჩა სადარბაზოდან მისი ფეხის გამოდგმების წყებას, დახსომებულს თავის მთავარ საზომად და წარსულის უღვთო ოინბაზობად, და უმთვარო ღამეებში ცხრება.

მაშინ როცა სხვა ყველაზე იმატა, ამ ქუჩაზე ხმაურობამ იკლო. გეგონება ასე იყო წინათაც და სექტაო ვილაც მსხვერპლშემწირავთა წლობით ელის გადამრჩენელ ციკლონს.

აქაობა, სიმკრთალეში ჩაცმული, დაიუფლა ჯადოსნურმა დენმა. ის, გამლები ზოგჯერ მცირე ტკაცუნის, აქ მოხვედრილს ყრუ დასუსხვით აცბუნებს. როგორც ჰაერს უხსოვარი ენა.

ასაა საჰმეაზი

ახლანდელი ცივილიზაცია მინის დამარხვით დაიწყო, მისი ასფალტში ჩაზეპვით, იმის დავინწყების მცდელობით, თუ როგორ გამოიყურება მიწა სინამდვილეში. ახლანდელი ცივილიზაცია დაიწყო სიკვდილის უგულუბელყოფით. ასფალტს რომ უყურებ, თანატოსზე, რკინისგულიან ღმერთზე, აღარ უნდა გეფიქრებოდეს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი იყო ახლანდელი ცივილიზაციის მამების ჩანაფიქრი.

და მიაბიჯებ შენთვის ასფალტზე, რომელზედაც ოთხმოცდაცხრამეტი მთელი და ოთხმოცდაცხრამეტი მეასედი პროცენტით ნაირ-ნაირი ხდება საძაგლობები.

— ინსპექტორი. მკვლელობების განყოფილება. შენი სახელი შემახსენე. არ მიყვარს, ვილაცას არასწორ სახელს რომ ვეძახი. — სახელს შეგახსენებ, მაგრამ არ ვაპირებ კიდეც რამე გითხრა, კეთილო. ჯობია ეს დედააფეთქებული ხელბორკილი მომიშვა, თუ ჩემი სახელი გინდა გაიგო. — ჩვენ აქ ეროტიკული თამაშებით არ ვერთობით, მეგობარო. ხელბორკილი ისეა მოჭიმული, როგორც ამას რეგლამენტი მოითხოვს. — შემეშვი მაშინ, კარგი?

— რა ჯვარი გიკიდია, ოქროსია? — ოქროსად მომასაღეს. — სინჯი არ ნახე, სანამ იყიდდი? — ვერ ვერკვევი სინჯებში. — რაში ერკვევი? — სინჯებში ვერ ვერკვევი. — რატომ ატარებ მაშინ, ოქრო თუ არაა?

ოქროსი არ გინდოდა? — ვიცი, რომ ამ ოთახში სხვა თემაზე სალაპარაკოდ ვიმყოფები. — ოქრომჭედლის და მისი ცოლის მკვლელობაში ხარ ექვმიტანილი. სახრახნისით აგიკეპავს. და გისმენ, აბა. — საინფორმაციოები ამას არ ამბობენ. ერთხელაც არ უთქვამთ, სახრახნისითო. — სახრახნისით. მწვანე ექვსნახნაგა სახრახნისით. აგერაა უჯრაში. ჩანადენის კვალიც აქვს ზედ. ყველაფერს უნდა მომიყვე. — სხვა იარაღს ასახელებენ ახალ ამბებში. ჩამოყალიბდით, სანამ ბრალდებას წამომიყენებდე. — დაივინყე ახალი ამბები. — ახალ ამბებში სხვას ამბობენ. — დაივინყე-მეთქი. — ჯობია შენ დამივინყო. — დაივინყე ახალი ამბები. მე ვარ შენი ახალი ამბები. — შენმა კოლეგებმა მაგრად მბეგვეს.

ფეხებით შემდგნენ.

ექიმის დახმარებას ვსაჭიროებ. — დავაძახებინებ ექიმისთვის. ცოტა ხანს მოითმინე. — გამაბრტყელეს, ძალღიშვილებმა. თვალებს ვერ ვახელ. — პირი უნდა გააღო. თვალის გახელა არ გჭირდება. — ახალ ამბებში სხვას ამბობენ. რაზე მეტყველებს ეს სიჭრელე, რაზე? რომ მონაჩმახია ყველაფერი და შეთითხნილი. — შეგიჭამია კიდეც ოქრომჭედელი. ღვეზელივით. თითქმის მთლიანად. ამისთანა რამ ისე რომ არ ჩაივლიდა, უნდა გცოდნოდა. — ოქრომჭედლებს არ ვჭამ, კეთილო.

მიეხეტები შენთვის საითლაც გარემოს მყარი ნარჩენების უბოლოო პოლიგონის გაყოლებაზე. მზე ვარდება მთების უკან, როგორც ბურთულა ბილიარდის ლუზაში.

ადრე ნიშნავდა პოეტობა ფეხქვეშ მიწის შეუგრძნობლობას. ახლანდელ დროში იყო პოეტი — ნიშნავს გრძნობდე ასფალტქვეშ მიწას.

ყოველგვარი ჯურის ბეციც ეძებს ხედვის მწვერვალს და როდისმე გზავნის ზეცის სიმაღლეში მზერას.

სადაც თავი, აქ რომ უჯერ ნაქსოვ-ნაკერს იფენს, გადაუდის წითელს ლურჯში, თეთრ-ცისფერში — ცისფერს.

სადაც ცეცხლი ხდება უქმი და ვერ აღწევს დრონი და ძვალტყავა ხელებს უკვე ვერ გავლებენ დრონი.

სადაც ნება არც ერთ ფრინველს არ ეძლევა ასვლის, ნებაც არა — ერთი მცირე, უმცირესი შანსი.

ყველას უნდა სადაც მისვლა, აქედან რომ წავა, — უპირველეს სათნოს ღვთისას, უკანასკნელ მტარვალს.

ბალნარია სადაც მართლა და განცხრომით მბოდავ სულს იქ რამე თუ აქვს ნატვრა — ხორცი ესხას ოდნავ.

შენ უჩემოდ ჰგავხარ ზეცას. თითქოს ზეცა ღვენთავს. თითქოს ის რატომღაც ერთ წამს მიატოვა ღმერთმა.

რაც ათოგით საუკუნე იწერაჰოდა

საქმე, ალბათ, სიმორეშია. განუჭვრეტლის გარეგნობაში. განუზომლობის ფიზიკაში. სიმორემ ათვლა რომ დაიწყო, ამის ნიშანი ნივთთა რიცხვის მზარდი კლებაა.

ხეები, ფოთოლს რომ იძრობენ ჟანგმოკიდებულ ოქროსავით,

საყოველთაო ცვლილებების საჭიროებას ავლენენ უფრო, ვიდრე უბრალოდ თავიანთი ფერისცვალების.

ნათევზავებზე მოუბარი და ზღვის მხარეს ხელგაშვერილი მეთევზეების ჟესტი ხელის გაცილებით შორს გადაჭიმულ განვდას მოიცავს — ამ ზღვას მიღმა და სხვა ზღვებს მიღმაც, იქით, მეტია სადაც თევზი, მეტია, ვიდრე თვითონ ზღვებშიაც, ან კიდევ იქით, აღარაა სადაც ის სულაც, რადგან იქ უკვე არ სჭირდებათ.

სიშორის ერთი განშტოება მის ყველა შტოთა განუყოფელ კრებულს შეადგენს.

და ზუსტად ასე ყოველივეს,

რაც ეს ბოლო ხუთ-ნახევარი ათასი წელი — ლურსმულის სუსხით თუ ბგერითი წერის სითბოთი — ინერება და ინერება, შეიცავს შენი გამოხედვა, თვალს რომ ახელ გაღვიძებისას და სულ პირველი, რასაც ხედავ, ჩემი სახეა, ჩნეული, როგორც ძველ მონეტაზე, შენი უშრეტი მახსოვრობის სილურჯეზე გაუსაძლისზე.

და ნურავინ სიტყვასაც ნუ ძრავს, რომ იმ ყველაფრის, რაც ათობით საუკუნე ინერებოდა, მოქცევით შენს ერთ გამოხედვაში მე ვაზვიადებ, რათა ცოტა გავაფართოო ჩემს მსმენელთა მწირი რიგები. ნუ მწამებენ გაზვიადებას, ვინაიდან, პირიქით, ვამცრობ, საგანგებოდ ვამცრობ იმისთვის, რომ სტრიქონები საკუთარი სავსეობით არ გაიგუდონ, არ გადაინვას შინაარსი, როგორც ჭალი ეკლესიაში, ჟანრი მთლიანად არ ემსხვერპლოს თავის ბევრად, ბევრად, ბევრად უკიდევანო, ვიდრე ცალკეულ გამოვლენას.


მცენარედ ყოფნის მთელი სევდით, მთელი სიტკბოთი მჟღერად შრიალებს დაწვიმული გვიმრა და შრება. გვიმრის სიმწვანე, მისი რხევის ძნელად მიმყოლი, დროგამოშვებით ფრაგმენტულად ჰაერში რჩება. ბერიკაცობა იჭყიტება სატუსალოდან. შთაბეჭდილების ერთიორად ნაკლებად მომხდენ სამყაროს მაინც არ ელევა დაუზარლობა ზოგჯერ კვლავ დამბნედ სიახლეთა მორთმევის. მოკვდე — ესეც ისეთი ნიშნავს გახდე უცბე საჭირო, როგორც აქამდე არ ყოფილხარ. მოკვდე — ეს ნიშნავს უეცრად ღმერთის ნამდვილობა აღმოაჩინო და კრინტის დაძვრის ვერშეძლებაშ კბილებში გთხლიშოს.

ზვირთი მცემს და ქარი გემსართავით მბანრავს. სველი აფრით შესუდრული, აკრული ვარ ანძას.

გადაეცა ჰაერს წყლის მორევთა ბრუნვა. გააჯერა ამღვრეული წყალქვეშეთის სუნმა. თვალითაც კი ერთსაც ვეღარ ვაგნებ ნიჩაბს. შელენილი გულმკერდიდან გულის კიდე მიჩანს. აღარ არის ძალა უძლურების ზიდვის. თვლა არა აქვს კობრებივით წამოზიდულ ზვირთებს, ყოველივე ნიშნის, მანიშნებლის წამმლელს, გამქრობს მთელი ნაცოცხლების. ზღვა სხვადასხვა წამში ხან მდულარე ცხიმს ჰგავს, ხან ალანძულ ეტრატს, ხან ტალღები მოჭიმული ენეწება თეთრად, ატყავებდეს თითქოს სისხლგამოცლილ ბატკნებს. ამისთანა ქარიშხალი რანაირად ჩადგვს.

ერთ ნისლოვან წყვდიადს მეორე აქვს ფონად. ერთი ბენო კუნძულისაც არ ხერხდება პოვნა. რაგინდარა პოვნის, გამოცნობის ვადა მიილია, დაიშრიტა. ეჭდობიან ზღვა და ცა ერთმანეთს კვნესით, ეჭდობიან მძლავრად, თითქოს ვნებას მისცემიან, მძვინვარს. მაგრამ არა: ერთმანეთის ჯავრი, დაშავება, წყევლა. ზღვა ურჩხულს შობს სადაცაა. და გაბმული ელვა თითქოს შენი, ღმერთო, უკვდავების დამლევს ხდიდეს ფარდას ჰორიზონტზე. და გრიგალმა ლამის ჩამოხიოს სივრცე, ცის გუმბათი დაძრას.

სადაც ცოცხალს გამომრიყავ, იქ აგიგებ ტაძარს.



დეკემბრის დილა

ნეკნებს დეკემბრის სიცივე ატანს, ქარები გამხმარ ოცნებებს ხვეტენ, მწიფე სიფხიზლის ხავსიან კალთას ცა ბუმბერაზი ვერ გაიმეტებს.

ღრუბლებს ვალად აქვთ დრო სააშპიკო და წუთისოფლის თეთრი ჭარმაგი, რომ რიჟრაჟებმა მოსვლა გარისკონ, ან ცადაწვდენილ ცაცხვებს ჩაბარდნენ.

შელებავს წვიმა მიწის კაბადონს, ან ჩალის ფასად გაყიდის სხვაზე, ქრიან ფიქრები უმისამართოდ დამფრთხალ ფრინველთა უცნაურ ხმაზე.

შენს თავს გამახსენებს, ისევ აღელდება უცხო მღუმარებით ღამე მელნისფერი, როცა მოგენატრო, ზეცას ახედე და იგრძნობ, როგორ ვბორგავ, როგორ ვერ ვისვენებ.

წვიმით დანამულა სულის ფიქალები, თვლემენ იალქნები შემკრთალ საფეთქლებზე, თითქოს ვარდობისთვის აღარ იკარებენ, მხოლოდ მოძალებულ ფიქრებს აფეთქებენ.

წერა მინდა და ვერ ვწერ, ანდა რა გითხრა მეტი, მზე დაემსგავსა ფერმწერს, ჩრდილში დაესხა რეტი.

წერა მინდა და ვერ ვწერ, ვგავარ მდინარის ნაპირს, ცა ხორბალივით ვლენე და შევეგებე აპრილს.

ღრუბლებს გაფანტავს მწუხრი, შენ შემოგრივლებ ვიდრე, უშენოდ ისე ვწუხდი, რომ პეშვით ვრწყავდი მინდვრებს.

წერა მინდა და ვერ ვწერ, ანდა რა გითხრა მეტი, მზე დაემსგავსა ფერმწერს, ჩრდილში დაესხა რეტი.

ტყემლის ტოტიდან ბჟუტავს სინათლე, ვიფენ ძარღვებზე თეთრ ავგაროზებს, ღამით მოტანილ სიზმრებს მივათრევ „მტვრით შეთეთრებულ ზედა თაროზე“.

გზა მონატრების უშვებს ოხშივარს, მე ისევ ქარში სველ თმას ვივარცხნი, თითქოს მდინარის გაღმა ქოხში ვარ, რომ შენს სხეულში ფიქრებს მივაცხრე.

ნიკო სამადაშვილის პოეზიაში აღბეჭდილია არამხოლოდ ოფიციალისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, არამხოლოდ მისგან განდგომა, არამედ დასავლური მოდერნისტული ლიტერატურისა და ხელოვნების თანამდევნი იმ აზრის გაზიარება, რომ XX საუკუნეში ევროპული ეპოქალური იდეალი ანტიიდეალად შემობრუნდა და სულიერი, მსოფლმხედველობრივი ფასეულობები გაუფასურდა.

ნიკო სამადაშვილის შემოქმედების უპირველესი ნიშანი არის სრული გაუცხოება მისი თანადროული სინამდვილისადმი. ამ გაუცხოების საფუძველი საბჭოთა ბოლშევიკური დიქტატის მტრულ ძალად აღქმაა. ნიკო სამადაშვილი საბჭოურ პერიოდს ტოტალურ უბედურებად აღიქვამს, ის ამ უბედურებას ისტორიის სარბიელზე სამყაროში განვითარებული მოვლენების ბრმა ნებად მიიჩნევს და დროსა და სივრცეში უკიდურესობამდე განაზოგადებს მას. პოეტი იმთავითვე უგულვებელყოფს ყოფით სივრცეს და ლირიკული გმირის მოქმედება აბსტრაქტულ, კოსმიურ სივრცეში გადააქვს. მისი ამგვარი „კოსმიზმი“ საქართველოს წარსულში „გაჭრის“ ნიშნითაც არის გამოხატული. ნიკოს ლირიკული სუბიექტი წარსულში (და ზოგჯერ მარადისობაში) მოგზაურობს, ეს საქართველოს წარსულია, ოღონდ იქაც არ არის მონიშნული ეპოქები და თარიღები. ეს წარსული მარადისობის ფონზეა გაშლილი. ნიკოს პოეზია დროში ადგილმონაცვლე ვიზიონების ნამსხვრევებია. პოეტის დღევანდლობა წარსულის გარეშე არ არსებობს.

* * *

ნიკოს გროტესკული აზროვნება კარნავალური მსოფლმეგრძნების (მიხაილ ბახტინი) ნიშნებით არის აღბეჭდილი. ეს მეტნილად ბავშვობის მოგონებებს ეხება. ვთქვათ, ასეთია ლექსი „ჩემი სოფელი“. უპირატესად კი მისივე გროტესკი მოდერნისტული პოეზიის, კერძოდ, ექსპრესიონიზმის მსგავსია. უფრო კონკრეტულად: ნიკო სამადაშვილი XX საუკუნის პოეტია. მართალია, მისი ვიზიონები დროსა და სივრცეში ადგილმონაცვლეობს, მაგრამ ხედვის ნერტილი, საიდანაც იშლება ვრცელი პანორამა, XX საუკუნის საქართველოა. ნიკოს ლირიკული სუბიექტის მოქმედების არეალი მარადისობაა („და ჩემი ბინა არის მუნჯი მარადისობა“ ანდა „მარადისობავ, საუკუნოდ გაგიხმეს ქედი“). ეს მარადისობაც ისეთივეა, როგორიცაა მისი გაგება XX საუკუნეში. მარადისობისაკენ ანუ მეტაფიზიკური სამყაროსკენ მაცქერალმა შუასაუკუნეებისა და აღორძინების ხანის ევროპელმა ადამიანმა ახალ დროში „უმაღლესი ყოფიერების“ ნაცვლად სიცარიელე შენიშნა და ზეაპყრობილი მზერა ქვემოთ, ანუ ზეციდან მიწისკენ გადმოიტანა. აქ არის სწორედ ახალი დროის დასაწყისი, ესე იგი, ძველი იდეალის კრიზისი და უღმერთობის ნიშნების გაჩენა. ეს ვითარება XIX საუკუნის ბოლოს ფრიდრიხ ნიცშემ „ღმერთის სიკვდილად“ მონათლა. ნიკოს პოეზია სწორედ ამ უღმერთობის ხანის პოეზიაა, მხოლოდ ამ უღმერთობის ძირებს ეს ღვთისმადიებელი პოეტი საქართველოს წარსულში ეძებს. ნიკო ფერმწერი-პეიზაჟისტი და ქართლის „ტრაგიკული ტონალობით“ შეფერილ ლანდშაფტებს ხატავს. ეს ლანდშაფტები სადღესოდ თითქოს წარსულის უმწეო ნაშთია. შეიძლება მიხილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებიდან“ თეიმურაზის სიტყვები გაგვასხენდეს: „ქართლის ისტორია საქართველოს ისტორიის ნახევარს მაინც უდრის. ქართლი იყო საქართველოს გული. ახლა იგი მომაგონებს დაბერებულ და დაყრუებულ ნაკაცარს“. ნიკოს შემოქმედებაშიც დაახლოებით მსგავსი სურათია.

* * *

კარნავალური კულტურის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი ოფიციალისაგან განდგომაა. ნიკო სამადაშვილიც ოფიციალის მიღმა მდგომი პოეტია. კარნავალს, როგორც სახალხო დღესასწაულს, არ შეიმეცნებენ, მის შიგნით ცხოვრობენ. ასევეა ნიკოს პოეზია, ის ძნელად შესამეცნებელია, ვინაიდან არალიტერატურულია, თითქოს გარკვეულ ლიტერატურულ ტრადიციაზე კი არ აღმოცენდა, არამედ ხალხური ძირებიდანა ამოზრდილი. ეს პოეზია სიტყვიერი ხელოვნების და თვითონ ცხოვრების ზღვარზეა გაშლილი.

ოფიციალის მიღმა მდგომი პოეტიაო, რომ ვთქვი, ეს აზრი მრავალი ნიშნით არის გამოხატული ნიკოს პოეზიაში. ეს ნიშნები შეიძლება ახალ-ახალ თემებად გაიშალოს; ვთქვათ, ერთ-ერთი თემატური ოპოზიციური წყვილია სიკვდილი და სიცოცხლე, რომელიც ბავშვობის შთაბეჭდილებებით აღბეჭდილ ლექსში „ჩემი სოფელი“ სწორედ კარნავალურ მსოფლმეგრძნებას გამოხატავს. პოეტი გვეუბნება, რომ სიკვდილით არ მთავრდება ყველაფერი, რადგან განუყრელია მისგან კვლავმალორძინებული სანყისი — სიცოცხლე. ფაქტობრივად, ამ აზრის მეტაფორული მანიფესტაციაა მთელი ლექსი, რომელშიც პოეტი იმეორებს მთავარ სიტყვებს:



როგორ მიყვარდა ჩემი სოფელი, როგორ მიწოდდა იქ მოვმკვდარიყავ.

ეს აზრი პარადოქსულია, მაგრამ კარნავალური მსოფლმეგრძნების გათვალისწინებით სრულიად გასაგები ხდება; მიყვარდა ჩემი სოფელი და მიწოდდა იქ კი არ მეცოცხლა, არამედ მოვმკვდარიყავ, რადგან სიკვდილი თავის თავში ინახავს ამაღლორძინებელ სანყისს — სიცოცხლეს. ლექსის ლაიტმოტივის შემცველი სიტყვები სიცოცხლის ნაპირებგადამალახველი აპოლოგის ფონზე წარმოითქმის.

სიკვდილის და სიცოცხლის ოპოზიციური წყვილი სხვაგანაც გამოსჭვივს:

როგორ მიწოდდა იქ მოვმკვდარიყავ, ღურდლო სიცოცხლე კი ქარს წაეღო, ქვებივით დამრჩა გულის საყარზე: ჭადრების ბინდი, კაკლების წნეგო.

ადამიანის სიცოცხლე მყიფეა, „ღურდლოა“, მსწრაფლწარმავალია, „გულის საყარზე“ აღბეჭდილი „ჭადრების ბინდი, კაკლების წნეგო“ კი მარადიული სიცოცხლის ნიშნებია. წარმავლობას თან ახლავს მარადიულობა. ამავე ლექსში, როგორც ეს კარნავალური მსოფლმეგრძნებისთვის არის ნიშნული, გაიღვებს ოპოზიციური წყვილი „წარმართობა — ქრისტიანობა“. ხალხური დღესასწაულები ბავშვობის დღესასწაულებს უკავშირდება. ბავშვობის მოგონებები პატრიარქალურ გარემოსთან, სრულ თავისუფლებასთან, ბუნების ნიადაში აღძრულ ხმებთან და შთაბეჭდილებებთან არის ნილნაყარი. ჯერ ქრისტიანული დღესასწაული იჩენს თავს, მერე წარმართული სახალხო ზეიმებია ნახსენები.

უძრავი ტახტი, წაღო, ზანდუკი, ფერიცვალობა, საფლავზე ხილი, ამბრიათი ოჩას დუქნის დუღუკი და გაღავანთან ჭრაქებით ღვინი, მერე:

აქ ბარბარუკა, იქ ნიშხანიშხა, კვერნაქის ვაკე, რუხი მიწდორი, მთებზე ზოზინი სოფლის ნახირის მდინარის გაღმა ვეება ქორი.

* * *

ნიკო სამადაშვილი გროტესკულ-მეტაფორული ენით წარმოსახავს მარადიულობის ფონზე უკიდევანოდ გაშლილ სურათებს. ეს არის ზომიერებას და წესრიგს მოკლებული სტიქიური, ბოჰემური, ბალა-

განური სამყარო. აქ გარემოც დესტრუქციულია. აქ არის გატეხილი სარკე, დამსხვრეული საათი, დრო, რომელიც მაინც ჯიუტად მიედინება. აქვეა დაღუპული ადამიანი და მწარედ გარეცხილი სინდისი და უეცრად ამოიზიდება კოსმიური სურათი: *შენი თვალები ლაყვარლებს ნთქავდა, საღლაც მისდევდი*

სივრცეთა მზვარეს, ხან მთის კონცხიდან ოდნავ ხედავდი სამყაროს იქით მიმავალ მგ ზავრებს.

ეს კოსმიური სურათები თითქოს მარადისობის განზომილებაში აქცევს პოეტის ლირიკულ სუბიექტს. ის თითქოს დროის და სივრცის მიღმა მიაბიჯებს, არც მიწაზეა და არც ცაში.

* * *

ნიკო სამადაშვილის სამყარო ღმერთს მოკლებული სამყაროა. ამ შემზარავ სიცარიელებაში პოეტი ღვთისმადიებელია. ის ეძებს ღმერთის „ნაკვალევს“, ღმერთისეულ ანაბეჭდებს ყველგან: მთის თხემზე, გამოქვაბულებში, ცაში („მარტოკამ ქეშად უმზერა ზეცას“), სიცარიელებაში („წინ ფერს იცვლიდა სიცარიელე“), ქვესკნელში („უსაფარობას სწუხდა, დარდობდა“) ამ ძიებას მის წარმოსახვაში ნათელი და ბნელი ენაცვლება ერთმანეთს („სოფლის ნათელი და ბარბაცებდა, გაუთენარი გზების ბოლომდე“), ატენის სიონთან უფლის ხმაც ჩაესმის („მოხუცი ღმერთის აქ ნათქვამ ლოცვებს სამრეკლო ღამე იმეორებდა“).

ნიკო სამადაშვილის მეტაფორა გროტესკულია, ხალხურ ძირებზე ამოზრდილი, ზოგჯერ (ბავშვობის მოგონებები — წარმართულ-ქრისტიანული დღესასწაულები) კარნავალურია (მიხაილ ბახტინი), მეტნილად კი მოკლებულია ზომიერებას და სტიქიურია, უსაზღვროა, უსამანოა, დესტრუქციული სანყისის მქონე. ბავშვობის მოგონებებში („იქ ბარბარუკა, აქ ნიშხანიშხა“) ნიკოსეული გროტესკი, როგორც უკვე ვთქვი, ინარჩუნებს ამაღლორძინებელ, სიცოცხლის განმახლებელ ძალას და სინათლეს, უმეტესწილად კი გროტესკი ნიკოსთან („დაუკრავ ჩონგურს და ეს ოხერი“ / დიდხანს იცეკვებს შემლილი ღმერთი“) მოდერნისტულია, თანადროულია, ყველაზე მეტად ალბათ ექსპრესიონიზმს ენათესავება.

როგორც ვიცით, გროტესკმა ჯერ კიდევ რომანტიზმის ხანაში შეიძინა შემზარავი სამყაროს ელფერი. რომანტიკული გროტესკის სამყარო ადამიანისთვის უცხო და საშიშროი სამყაროა. აქ უკვე რედუცირებულია კარნავალური სიცილი, სახეცვლილია, გარდაქმნილი. XX საუკუნეში რედუცირების ხარისხი მატულობს. ამ პერიოდის მოდერნისტული, ექსისტენციური გროტესკისთვის არ არის ნიშნული სიცილი. ამ სიცილს ახშობს რადიკალური ტრანსფორმაცია. წარმოიქმნება არამხოლოდ იუმორი, პაროდია და სარკაზმი, არამედ ტრაგიკომედია. ნიკო სამადაშვილის გროტესკი ტრაგიკული მსოფლგანცდისკენ არის გადახრილი. ვთქვათ, ტრაგიკული ელფერი ახლავს ერეკლე ტატიშვილისადმი მიძღვნილ გროტესკულ ლექსს. ეს ლექსი

ფაქტობრივად პოეტის მოძღვრის და მეგობრის პორტრეტია. მხოლოდ აქ არ არის ყოფითი სიბრტყე, არ არის ცხოვრებისეული დეტალები, არ არის პიეტეტი, რაც ჩვეულებრივ მიძღვნილ ლექსებშია ხოლმე გამჟღავნებული. ნიკომ თითქოს თავის წარმოსახვით სამყაროში გადატყორცნა ერეკლე ტატიშვილი და ამ სამყაროს ფონზე კი არ დახატა, არამედ თვითონ ეს კაცი აქცია ვიზიონის განუყრელ ნაწილად. პოეტმა ერეკლე ტატიშვილისგან ჩვეულებრივი სახასიათო სახე კი არ შექმნა, არამედ მეტაფორულ-გროტესკული ვიზიონი წარმოსახა.

აქაც არის ოპოზიციური წყვილი „წარმართობა — ქრისტიანობა“ („წარმართ თვალებზე ქრისტეს წყევლა გქონდა აკრული“), მეორდება პოეტისთვის თანამდევნი სიტყვა-ცნებები: „გეთსიმანია“, „გოლგოთა“, „მარადისობა“, „ჯვარცმა“, „არმაზის კერპი“ და ასე შემდეგ. და ისევ თავს იჩენს მუდმივი ოპოზიციური წყვილი — „სიცოცხლე“ და „სიკვდილი“. აქვეა უმძაფრესი გროტესკის პრიზმაში გადატეხილი ერეკლე ტატიშვილის სიცოცხლეც („დრო საუკუნის ჯახაჯუხში ჩაისრისება და ეგ ცხოვრებაც მოთავდება, როგორც ბალადა“) და სიკვდილიც („ცოტა ხანს კიდევ... იმის მერე, რომ დაბერდები, ეგ თავის ქალა კლდეს ექნება პირში გაჩრილი“).

ბოლოს კი წარმოჩნდება განსაცვიფრებელი დამაგვირგვინებელი მეტაფორულ-გროტესკული სტროფი. ეს ბრეიგელია ან ბოსხი:

*და შენს ხერხემალს
სალამურად გამოიყენებს
არმაზის კერპი
ან ქარების ტიალი დოლი,
სანამ გრიგალებს შენს ძელებს
კვერთხით დააყრვევინებს,
გოლგოთის მთიდან მორეკილი
ღმერთების ჯოგი.*

* * *

ნიკო სამადაშვილი ისტორიას მასალად არ იყენებს, ის ისტორიაში ცხოვრობს. მას თითქოს დღევანდლობაში უდგას ფეხი, წარმოსახვით კი ისტორიას ეკუთვნის. ნიკო „მარადისობის მგზავრია“, მარადისობიდან როცა გარბის, ისტორიას აფარებს თავს.

*მარადისობავ,
საუკუნოდ გაგიხმეს ქედი,
რომ ასე უღვთოდ დამაბნე
ტიალი მგ ზავრი.*

ყველაზე უცხო მისთვის მისივე თანადროულობაა:

*გინახათ კაცი,
საუკუნეს ხმითაც არ ჰგავდეს
და ყოველ დილით
სისხლის ჭოჭი ღვაროს სახლიდან.*

პერმენევტიკოს ვილჰელმ დილთაის თვალსაზრისი ადამიანზე ამკარად ემთხვევა იმ მსოფლმხედველობას, რომელიც შეიძლება ნიკო სამადაშვილის შემოქმედებაში ამოვიკითხოთ. დილთაის აზრით, ადამიანი ისტორიული არსებაა. ადამიანის და ვრცელი ისტორიული პროცესის კავშირი დაკვირვებას და განჭვრეტას საჭიროებს.

ადამიანის ბუნება ისტორიულ პროცესში ყალიბდება და არა მის გარეთ. ადამიანი კულტურის შემოქმედია. ამ კულტურას ის ქმნის ისტორიის ყოველ ეტაპზე. ასე რომ, თვითონ ადამიანი რეალიზებულია ისტორიაში. ისტორია აღიბეჭდება ადამიანში და ადამიანი — ისტორიაში. რაკი ადამიანი ქმნის ისტორიას, მას შესწევს კიდევ ისტორიის შემოცნების ძალა. ადამიანი თავის თავში ყოველწამიერად აღარებს ისტორიას. ამიტომაც, როგორც ცოცხალ არსებას, ძალუძს, ჩასწვდეს ამ ისტორიას, როგორც ცალკეულ ორგანიზმს.

აი, რას წერს დილთაის ნააზრევის შესახებ ფილოსოფოსი ზურაბ კაკაბაძე: „მე უბრალოდ კი არ მაქვს ისტორია, როგორც ჩემთვის გარეგანი რამ, არამედ მე ვარ ისტორია. მე ჩემი არსების გულში განსაზღვრული ვარ ამ ისტორიად ყოფნით. ამიტომაც, თუ მინდა გავიგო, ვინა ვარ მე, რა არის ადამიანი, უნდა მივმართო ისტორიას. საკუთარ ინდივიდუალურ „მე“-ზე დაკვირვება არასოდეს არაა საკმარისი, ადამიანი შეიცნობს თავის თავს მხოლოდ ისტორიაში და არა ინტროსპექციის საშუალებით“.

ზემოთ ვთქვი, რომ ნიკო სამადაშვილის ლირიკული სუბიექტი ისტორიაში მოგზაურობს. მას არ ჰყოფნის თავის თავის შესამეცნებლად ინტროსპექცია და ის შეიძე-

ცნებს ისტორიას. პოეტი აცოცხლებს ისტორიას და აქცევს პოეზიად. ამ ისტორიის გაცოცხლებისას ნიკო ხელოვნების ნიმუშებსაც ჩასწვდება. ამავე ნიმუშებში ისტორიაა განფენილი და ობიექტივირებული. ამიტომ ხშირად პოეტი ქართულ ეკლესიებს ეხება (ბეთანია, ატენის სიონი). ეს ძეგლები მისთვის თვითმშენებების სიმბოლური ნიშნებია.

ლექსში „უკანასკნელი ქრისტიანები“ პოლიგრიმების ისტორიული წიაღისკენ სვლა, სვლა ბეთანიის ტაძრისკენ სიმბოლურია. ამ ლექსში სამყაროს თანამედროვე ხედვა და კარნავალური მსოფლმეგრძნება ერთმანეთს გამსჭვალავს. წარსულში დაბრუნება ნიკო სამადაშვილისეულია და მისეულია აგრეთვე ისტორიის წიაღიდანვე ამოტყორცნილი ჩვენებები, ხილვები, ვიზიონები. პოეტის ცნობილი ფრაზა „ავადმყოფობა ეგონათ, ბიჭო, ლექსები ტანზე გამონაყარი“ მრავლისმთქმელია. ნიკოს პოეზია მართლაც სწეულებაა, ამოტრიალებული სამყაროა, მადლმოსილი სიმშაგეა, რაღაც სიღრმისეულად შინაგანის ეგზოტიკური გარეგამოსახულებაა. ეს არის ფანტასტიკური ვიზიონების განუწყვეტელი ბრუნვა, რომელიც გროტესკული მეტაფორულობითაა აღბეჭდილი. ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, რომ ეს შეპყრობილი კაცი ლექსების ნამსხვრევებს, პირველქმნილი ნათებით აღბეჭდილ მეტაფორებს აფრქევს თავის გარშემო, მერე კი კრეფს და ამთლიანებს.

„უკანასკნელ ქრისტიანებთან“ ერთად ბეთანიისკენ მავალი ნიკო ისტორიას შეიმცნებს, მხოლოდ ეს შემეცნების პროცესი თავისებურია: გზადგზა პლასტიკური ხატები იბადება ანუ ისტორიის სურათები იძერწება.

„უკანასკნელი ქრისტიანი“ ნიცშესეული „ზარატუსტრადან“ არის ნასესხები. აქ ნიცშე აღნიშნავს იმ ადამიანს, იმ განდეგილს, რომელიც მთებში ცხოვრობს, მას ღმერთის სიკვდილის შესახებ არაფერი სმენია. ეს ნიცშესეული ირონიაა. ნიკოს პოეზიაში „უკანასკნელი ქრისტიანი“ სხვა რაკურსით წარმოდგება; ეს ის ტრაგიკული სუბიექტია, ღმერთის სიკვდილი რომ შეიტყო და მაინც განაგრძობს მის ძებნას. ბეთანიის ტაძრისკენ სვლა სწორედ ამ ღვთისმადიებლობის მაუწყებელია. ნიკო თავდაპირველად აწმყოს სურათებს ხატავს:

მინა გაირღვა, თითქოს ქვესკელმა ამოისროლა ტაძრის გუმბათი.


ხეში მდინარე შემოგვეფეთა, შეწირულ ბავშვთა ცრემლები იყო, ჩვენ მივდიოდით აღმართზე ერთად, რატომღაც ჩუმად, რაღაც უიღბლოდ... ამ სურათშია ჩახატული ისტორიული პეიზაჟი, საიდანაც თავიდანვე წარმოდგება ოპოზიციური წყვილი — ქვესკნელი და ზესკნელისკენ გუმბათით აწვდილი ბეთანია. ბეთანია წარსულის განსულიერებული ხატია, ის თითქოს ადგილმონაცვლეობს პოლიგრიმების წარმოდგენაში: ჯერ მინას ამოარღვევს და ქვესკნელის ძალისხმევით ამოიტყორცნება, მერე კი ტყეს შეეფარება. შემდეგ სტროფში ისევ ოპოზიციური წყვილია ერთ მეტაფორაში აღბეჭდილი: აწმყო ანუ რეალობა და წარსული ანუ ხილვა. ეს არის მდინარე, რომელიც წარმართობის ჟამს შეწირულ ბავშვთა ცრემლებად აღიქმება პოეტის მსოფლალქმაში. პოლიგრიმების ღვთისმადიებლური მსვლელობა ბეთანიისკენ ტრაგიზმით არის აღბეჭდილი, ამიტომაც ადიან აღმართზე მოგზაურები უხმოდ, უიღბლოდ.

სრულიადაც არ არის გასაკვირი ის, რომ ნიკო სამადაშვილი XX საუკუნის ოფიციალური ქართული კულტურისაგან განდგომილი შემოქმედი იყო. ის „ოფიცოზს“ მოკლებული არ ყოფილა მხოლოდ ლექსების გამოუქვეყნებლობის გამო. ნიკო თავისივე პიროვნებით, ხელწერითა და აზროვნებით იყო ყველასგან და, მითუმეტეს, „ოფიცოზისაგან“ განსხვავებული. სწორედ „ოფიცოზისაგან“ განდგომა ამჟღავნებდა მის კარნავალურობასაც. კარნავალური მსოფლმეგრძნების გამომხატველია წყვილები, ზემოთ რომ მოვნიშნე ლექსში „უკანასკნელი ქრისტიანები“. ამავე ლექსში ოპოზიციური წყვილის გამომხატველია ბეთანიის, წმინდა ადგილის, ქრისტიანული შემოგარენის „გვირგვინით შემკობა“, კერძოდ, იმის ჩვენება, როგორ ამოიტყორ-

ცნა მშვენიერი ტაძარი ქვესკნელიდან და მერე მისივე „გვირგვინისაგან განძარცვა“ ასეთი სიტყვებით:

მათხოვარი ზის, როგორც ობოზა, მყრალ ჯოჯოხეთის მოხდილი პკეა, არც ზღაპარია, აღარც მოთხრობა, ის თითქოს ჩიტებს აუკენკიათ.

მაშასადამე, ნიკო სამადაშვილის პოეზია მეტწილად უახლოვდება ექსპრესიონიზმის ესთეტიკას და მისი გროტესკი მოდერნისტულია. ეს მოდერნიზმი გამოვლენილია თავისებურად. პოეტი, ზოგადად, სი-



ნამდვილესა და გარემომცველ საგნებს ჩეეული სახით კი არ წარმოგიდგენს, არამედ მათ დეფორმირებას ახდენს. რა თქმა უნდა, ეს დეფორმაცია ღრმა შინაარსობრივი მიზეზით არის გამოწვეული. პოეტი ამბობს:

ვერ გიპატრონე მე ლა ზღანდარამ, შენ სხვა მხევალი უნდა გყოლოდა, ზეცა სივრცეებს აზანზარებდა და მზე ყვიროდა ქვეყნის ბოლოდან.

პირველი ორი სტრიქონი უშუალოდ უკავშირდება ამ სტროფის მეორე ნაწილს, რომელიც მძაფრი მეტაფორული გროტესკით არის აღბეჭდილი. საქმე ისაა, რომ ამ ლექსს პოეტი თავის პოეტურ „მე“-ს უძღვნის. მისი ეს ინსპირაციულ-იმანენტური არსი ლექსში, როგორც პერსონიფიცირებული არსება, ისეა გამჟღავნებული. ეს „ალტერ-ეგო“ ნიკოს შინაგანი სტიქიონია, რომელიც გაჩენის დღიდან („სულ კარგად მახსოვს, შენ რომ გამიჩნდი, გარეთ ძალღივით ყმუოდა ქარი“) დაუოკებელია და დაუმორჩილებელი. ის იმდენად მძვინვარეა, თავნება, მოძრავი და მოუთოკავი, რომ არავითარ გარეძალას არ ემორჩილება, არამარტო შიგნიდან ხრავს და ანგრევს პოეტს, არამედ უხილავი მადლით მოსავს და ზნეობრივ სიმაღლეს ანიჭებს მას („შენ ძუძუს სწოვდი გამწვდი ალუჩებს და ღვთისმშობელი გირწვდა აკვანს“). ერთი სიტყვით, ეს არის პოეტში ჩაბუდებული ინსპირაციული არსება, რომელიც არამარტო აზრს ანიჭებს ნიკოს ცხოვრებას, არამედ ეჭვიც შემოაქვს მის არსებობაში:

ლექსების ჯღაბნა წამებად გექცა, სჯობდა ვენახის კვალი გებარა, ვის რად უნდოდა

ეს თვალთმაქცობა, ნეტავი ქარში გადავყვარა.

აქაც ოპოზიციური წყვილია, ეს ძალა ზეამზიდავიც არის და ქვედამზიდავიც. ისევ გროტესკი და ზუსტი მეტაფორა:

ვერ გაოკებდი, დაგდედი კეტიო, ხან მელიოდა მუხლებში ძალა, ზარივით გასკდა ამდენი რეკით, ზედ რომ მამზია ეს თავის ქალა.

თვითონ პოეტის დამოკიდებულებაც მის შიგნით გაღვიძებული ამ ინსპირაციული არსებისადმი ორანზროვანია: ხან ამბობს, რომ ვერ მოუარა და ვერ მიუზღო თავისი, ხან კი განდევნის, რადგან მან „ლექსების ჯღაბნა“ აიძულა, რაც „თვალთმაქცობად“ ეჩვენება. არც შეიძლება სხვაგვარად იყოს, ვინაიდან ეს ყოვლისწამლეკავი ეჭვი მთელ მის პოეზიაშია განფენილი.

მარტო უზიხარ საწერ მაგიდას, გული არ გერჩის რამე დაწერო, გარეთ ბინდია ქარის მაგივრად და ზარი კივის საბედისწეროდ. ეს შემზარავი ზარის კივილი ყოველთვის გაისმის.

ადამიანს, მითუმეტეს შემოქმედ ადამიანს, მუდამ აქვს იმის სურვილი, თავის ბიოლოგიურ არსებობას აღემატოს და დროსა და სივრცეში განავრცოს თავისი თავი. ადამიანი ვერ ეტევა თავის თავში, თავის ბიოლოგიურ-ვიტალურ არსებობაში, მას სუ-

კიპარისები მისტიროდნენ დაკარგულ პოეტს, დაუცხრომელი სამრეკლო კი რეკდა და რეკდა.

ანდა ასეთი სურათი: *შუალამეა, მნათე ტაძარს კეტავს ჩიფჩიფით, სამრეკლოს მხარზე მთვარის შუქი აუტაცნია...*

აქაც სამრეკლოა: *სამრეკლო იდგა*

მუდამ პირქუშად, თუ დარეკავდი, გაყრიდა ნავავს.

ნიკოს სამყაროში ამ სამრეკლოების ზარებს შემოლილი მნათეები რეკენ, გათხრილ საფლავეში საყდრის გველები ძვრებიან, ზევით ქარი ასისინებს ცის ნანგრევებში ღრუბლების ჩალას, ქანდაკებები ნაძვებიდან ყვირიან და კრუხებივით ფრთხებიან ციდან მზეები და ასე შემდეგ. ამ გროტესკული მეტაფორების პრიზმაში გადატყდება უცნაური და უჩვეულო, დროსა და სივრცეში განფენილი სამყარო, სადაც ალაგ-ალაგ ღვთის ნათელი გამოსჭვივის:

ქრისტემ ბავშვობა აქ გაატარა და ღვთისმშობელი უგვიდა ეზოს. ან კიდევ: *ძირს წმინდა ნინოს ნაფეხურები ჭგავდა სისხამზე მოკრეფილ იებს.*

ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია „ვა-რსკვლავების“ მეტაფორა. ნიკოს „მარად-ისობა“ მუწჯია. („და ჩემი ბნაა არის მუწჯი მარადისობა“). მუწჯ მარადისობაში ვარსკვლავები ჭუჭრუტანებად მოიაზრება.

და კიაფობდნენ შორს ვარსკვლავები — მარადისობის ჭუჭრუტანები!

ეს არ არის რომანტიკოსების ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, სადაც „ვარსკვლავი ვარსკვლავს ესაუბრება“ (მიხაილ ლერმონტოვი), ანდა ნეორომანტიზმის ხანის ცის თალი, სადაც მიდამოს „ეფინება ვარსკვლავების კრთომა მზიარული“ (გალაკტიონი), აქ ვარსკვლავთა ჭუჭრუტანებში მუწჯი და ცარიელი მარადისობა ჩანს! აქ ცის თალი მატერიალიზებულია და დამინებული, რაც სამადაშვილის სხვა მეტაფორაშიც მკაფიოდ გამოსჭვივის:

ვარსკვლავნი ისე მოჩანდნენ ღამე თითქოს ზეცა ჩრჩილს ამოეჭამა.

ეს უსანაგოროება, ეს უღმერთო მეტაფიზიკური სამყარო არამარტო მუწჯია, არამედ ყრუც არის:

ტალღები ისე ნკავწკავებდნენ, როგორც ძაღლები

და მალონებდა ყრუ და მღორე უსა ზღვროება. ვარსკვლავიანი ცის თალით განხილულია მანდელშტამიც, სადაც მისი აზრთა წყობაც ჩანს:

Я ненавижу свет Однообразных звезд.

„წუთისოფელს“ და „წარმავალობას“ ნიკოს პოეზიაში უშუალოდ ემიჯნება „უსაზღვროება“ და „მარადისობა“. ერთ-ერთი გამჭოლი თემა ამ ლექსებში საკუთარი სიკვდილის წარმოსახვაა.

ლექსში „უცნაური ხელობა“ თითქოსდა ირიბად ეხება პოეტი თავის სიკვდილს. ნიკო საუბრობს მესაფლავეზე, ფაქტობრივად მესაფლავის პორტრეტს ხატავს. ეს მესაფლავე პოეტის გათხრილ საფლავთან გაისეირნებს. მისი ნამდვილი სახე წარმოჩნდება ასეთი შტრიხებით: „ბელუზრუწველი, მუხანათი, წირბულების რული“. ყველა ეს ნიშანი თუ თვისება ამ გროტესკული არსების „უცნაურ ხელობას“ ახასიათებს — მან უნდა მიაბაროს ქვესკნელს ადამიანი, რომელიც მთელი ცხოვრება ზესკნელს ელტვოდა. ამ კონკრეტული ადამიანისადმი მესაფლავე სრულიად განუკითხავი და განურჩეველია. მან არ უნდა იცოდეს, ვის ასაფლავებს და, რომ იცოდეს კიდევ, ამით არაფერი არ შეიცვლება, ის ყველა გარდაცვლილს ერთნაირ საზღაურს მიაგებს — გულგრილობას. არადა, პოეტის თვითხილვით, ბუნებაც კი იცვლის ნირს, დასაფლავების დღესაც გროტესკი იჩენს თავს:

ქანდაკებები ნაძვებიდან დაიყვირებენ და კრუხებივით დაფრთხებიან ციდან მზეები.

ასეთია ნიკო სამადაშვილის აღსასრული.



„ცი რა“

სიცოცხლის წყურვილს ვერ მიკლავენ
სამყაროს წყლები,
ვერც სახურავზე ეს თავხედი შხაპუნა წვიმა,
ღრუბლის ფთილაზე ემბრიონის პოზაში ვწვები,
ვუცქერ ღრუბლების უხემ ცეკვას და პანტომიმას.
სიცოცხლის წყურვილს სულ ვერ მიკლავს
მცხუნვარე მზე და
ვერც სავსე მთვარე, ვარსკვლავები, დილის ცვარ-ნამი,
როცა ვერ გისმენ, ვერ გეხები, ვერ გგრძნობ და გხედავ,
ვუმეგობრდები შავ აჩრდილებს, კომმარებს ღამის.
სიცოცხლის წყურვილს ვერ მომიკლავს უდაბნოს მიწა,
პირამიდების საიდუმლო ჩურჩული, ჩქამი,
შენს ველურ ვარდებს, მზისფერ თმაში რომ ისევ გინწავ,
სიცოცხლის წყურვილს და მძიერ სულს ვინაყრებ ამით...
სიცოცხლის წყურვილს ვერ მომიკლავს ჰაერი, ცეცხლი,
ამ სტიქიათა სტიქიონო, ამავე დროს, ციდავ,
შენს მიმართ ტრფიალს, სულის ცალო,
ვერაფრით შეეცვლი,
რადგან შენა ხარ ჩემს ტაძარში წმინდათანმინდა.
სიცოცხლის წყურვილს ვერ მოიკებს სამყაროს წყლები,
ვერც სახურავზე ეს თავხედი შხაპუნა წვიმა,
ღრუბლის ფთილაზე ემბრიონის პოზაში ვწვები,
ვუცქერ ღრუბლების უხემ ცეკვას და პანტომიმას...

„ღმერთი მოკვდაო“, ნიცმემ,
კაციც მიეცა დუმილს,
ის გააღმერთეს, ვინც შენ
ჯვარზე გიკლავდა წყურვილს,
ღრუბელს ალბობდა ძმარში
მაგ შენს სისხლიან ბაგეს,
გულს ველარ ვუდებ ქმარ-მვილს,
სახლის გზას ველარ ვაგნებ...
„ღმერთი მოკვდაო“, ნიცმემ,
ფაუსტი მეფისტოფელს
სულს უცილობლად მისცემს
და ამა წუთისოფელს...
წყალნი წამოვლენ, წავლენ,
შენ ისევ გადევს ჯვარი.
ამ ჩემს ხამხამა თვალებს
არ ეძინება ჯავრით.
„ღმერთი მოკვდაო“, წუთუ?
იქნებ ჩვენსავე ჰადესს
ვერ ვტოვებთ, უფლის ჩურჩულს
არ ვიმჩნევთ, თუნდაც აღდგეს.
„ღმერთი მოკვდაო“ უკვე,
ეს გამორიცხავს სიკვდილს,
ეს თეზა გააუქმე,
ნიცმევ, ახლავე მიდი...

ოთხმოცდაათიანიები —
დილაადრიანი,
ავდრიანი,
მაღიანი, მაგრამ მშვიერი...
ხელები ნავთიანი,
დახეულჩანთიანი,
ხათრიანი,
სიბნელე...
დედა, მამა დარდიანი,
ქუჩები ტანკიანი
და ჩვენ უმწეო...
უპურო, უშუქო, უიმედო
ოთხმოცდაათიანის მგზავრი მე...

ღმერთო, იქნებ მითხრა, გაღმა ნაპირს როგორ
გავიდე?...
გავედი, მორჩა... მაგრამ ისა ვარ?
ეს ის ცხოვრებაა, რომელიც ვერაფრით დამისუფთავა
აბდა-უბდა „მე“ მო, მემ...

პირამიდები დრო-ჟამთა მიღმა
საუკუნეთა მოჰგავს აკლდამას.
იქ, სიჩუმეში, ჩაგესმის ის ხმა,
რაც უჩურჩულა ევას ადამმა...
და მათი სუნთქვა, სიტყვების ართქმა,
მიმების სპექტაკლს ესწრება ქვიშა,
ევას თითებით იკვრება არფა,
კაცის ტანიდან რომ ისევ იშვას
და ეს ზღაპარი, და უფრო მითი,
მიხმობს თავისკენ ორგანის ხმებით
და მე თამამი, ვით ნეფერტიტი,
ჩემს ფარაონთან უჩუმრად ვჩნდები...
მერე ნილოსით განვიბან სხეულს
ქვიშისგან უცხოოდ დაკანრულს,
დალლილს
და მივეყრდნობი ისევ ჩემს რჩეულს,
ვით ნადირობის ქალღმერთი დალი...

ბაბუ აკლია ბაბუის ეზოს,
ვენახს პატრონი და გამრჯე ხელი,
ღმერთო, ბაბუსთან არ დამაბეზლო,
ვენახი ტირის, ვერაფერს ვშველი...
ბაბუ აკლია ბაბუის ოთახს,
მის ნაცვამ ჩოხას ისევ ის სუნი...
ჩვენი კავშირი სულ იყო ორთა,
ლოტბარო ჩემო, ამ საუკუნის.
ბაბუ აკლია ბაბუის მარანს,
ჭურთან ვზივარ და ჩაყურებ სიღრმეს,
დრო რამდენ რამეს და ვინმეს გვპარავს,
სიზმრებში მაინც მოდის, მიმღერის...
ბაბუ აკლია მისსავე მოდგმას,
შვილიშვილებში ჩამდგარა ცრემლი,
ჩემს იმერეთში ქვის სახლი რომ დგას,
ბაბუასავით, ვიცი, რომ მელის...
ბაბუ აკლია ჩემს დიდრონ თვალებს,
ძველ ალბომს ვშლი და სურათებს ვეტრფი,
ეს მონატრება ისეა მწარე,
როგორც იესოს ნალურსმნი ტერფი...
ბაბუ აკლია ბაბუის ეზოს,
ვენახს პატრონი და გამრჯე ხელი,
ღმერთო, ბაბუსთან არ დამაბეზლო,
ვენახი ტირის, მე კი ვერ ვშველი...

*ვუძღვნი მეგობარ მარი ჩაკვეტაძეს,
რომელსაც ასე ენატრება თავისი აფხაზეთი.*

გამარჯობა სახლო, ბაბუის სახლო,
როგორ მენატრებოდი...
მე ნაოჭებს ვითვლი ჩემს სახეზე.
შენ ისევ ისეთი ახალგაზრდა ხარ,
როგორც მაშინ, ჩემს ბავშვობაში.
პალმები?
უნინდებურად მიჩრდილავენ სახეს,
როგორც მაშინ, სულ პატარას...
მხოლოდ მისი გრძელი წამწამებიდან ჩემს წამწამებზე
გორდება ცრემლი, რომელიც სიხარულისაა უფრო.
მივრბივარ ჭასთან,
რომელიც რატომღაც უფრო ღრმა მეჩვენება,
ამომაქვს წყალი და ხარბად ვეწაფები.
ახლა ვხვდები, რომ წყურვილით დავმხრჩვალვარ.
შევდივარ სახლში, მიხარია, რომ ისევ ისეთია —
ჩემი ოთახი —
ნივთები, წიგნები, ინტერიერი, სურნელი...
გავდივარ ქუჩაში და ვეძებ თანატოლებს
წრეში ბურთის სათამაშოდ.
რატომღაც არავინაა,
ალბათ სკოლაში არიან, ვფიქრობ...
ვბრუნდები ეზოში, ჰამაკში ვწვები და
ვტკბები ამ ცის და ამ ზღვის ცქერით.
სრულყოფილ ბედნიერებას ვგრძნობ, სისავსეს,
მოზღვავებულ ენერგიას,
ყვირილი მინდა —
ხტუნაობა, ცეკვა, თამაში, ალტკინება.
ასეთი რამ, წლებია, არ განმიცდია.
„შეჩერდი, წამო, მშვენიერი ხარ“ — აღმომხდა.
უცებ ჩემი ბავშვობის ეზოდან ხიდზე ვინაცვლებ,
ენგურის ხიდზე.
იქიდან კი მანძილი ისევ გრძელდება და
ჩემი სახლიც წერტილივით მოსჩანს.
თითქმის აღარ ჩანს, იკარგება...
ყველა ჭრილობა მესხნება,
თავზე ტყვიებმაც გადამიფრინეს,
მეშინია, ვკანკალებ, ვტირი, ვკივი და
ვჩნდები ჩემს ოთახში, რომელიც ჩემი ოთახი არაა,
არც სახლია ჩემი სახლი.
დედის ხმა მამშვიდებს:

„კოშმარი გესიზმრა, შვილო, გაიღვიძე“ ...
რა იცის დედამ, რომ
ამ ძილიდან არ მსურს გაღვიძება?...
„ჩემს ბავშვობას დაობებული ჰამაკი ჩაუნყდა...
ბავშვობა გამოვტოვე“.

ჩაიქოლე თავი, ოთარაანტ ქვრივო...
რა ბედენაა ტკბილი სიტყვების უგზო-უკვლოდ ფანტვა?
ჭირსაც ნაულია შენი ბჟუტური.
საქმით უნდა შეენიო სამშობლოს,
კაცი ხარ თუ დედაკაცი.
განა შემთხვევით დაარქვი შვილს გიორგი?
შენი სამშობლო მინათმოქმედების ქვეყანაა.
ალბათ ამიტომაა,
მინისტვის რომ გვეომებიან ოდითგან...
ღმერთმა შეგაჩვენოს, ოთარაანტ ქვრივო!
შენი წინაკამოყრილი მადლისა რა ვთქვი.
ადექი, გახსენი ზარდახმა და
ამოილე წინაპრებისგან ნაჩუქარი ხმალი.
მოიქნე იგი სიმართლისათვის.
დღეს შენს სამშობლოს ისე უნდა შევლა,
როგორც არასდროს.
წყაროზე ჩაღი და მოიკალი წყურვილი,
„ნეტარ არიანო“, გამიგია.
ჩაიქოლე თავი, ოთარაანტ ქვრივო,
სანამ შენს მიწებს ჩრდილოელი მიიტაცებდეს და
მონად გაგიხდიდეს.
გადმოსწევდეს საზღვრებს, შეგიწყვნიდეს ენას და
ნაბილწავდეს ყველაფერს,
რაც ესოდენ წმინდაა შენთვის.
ვაი, უბედურებავ, როცა ამას შეეგუები და
დათვს „ბაბაიას დაუძახებ“,
ამას არ გაპატიებ, ოთარაანტ ქვრივო!..
ჩაიქოლე თავი, ჰო, ჩაიქოლე,
როცა შეგეძლება, „ბატონს“ მადლიერი გაუხდე
იმ პურისთვის, რის სანაცვლოდაც სულს გამოგთხოვს
და შენც ალტყინებული იყვირებ:
„პოლიქრონიონ“,
ჩაიქოლე, მონავ, თავი, ჩაიქოლე...
დროა, ადგე, ჩაიხედო სარკეში,
თვალი გაუსწორო შენს ამაყ სახეს,
დედაკაცურ მხრებს და
ქართულ, არწივივით აზიდულ წარბებს.
დაიხ, ეს შენ ხარ, ოთარაანტ ქალო —
საქართველოსავით ნატანჯო, წელში გამწყდარო,
მაგრამ ამაყო...
ფერფლიდან უნდა აღსდგე და
ლაზარესავით შეხვდე უფალს,
რომელმაც დაგიძახა და კვლავ დაგიძახებს
„გამოდი“...
შენ იმდენჯერ მოკვდი,
სიკვდილის უკვე აღარ გეშინია.
თანაც ღირსება?
ხმა აღიმალე, ქალო, ნუ დადუმდები.
წყევლა-კრულვით მოიგერიე მტერი
შენი სამოსახლოდან, რომ
ველარასოდეს დაარღვიოს საზღვრები და
მისაკუთროს ობლის კვერი, რომელიც გვიან ცხვება...
ეს მიწა შენია.
ჰა, ჰა, ქორო, ქმა, ქმა...
აილე შენი წკეპლა მოსეს კვერთხივით და
დაედევნე ყვავ-ყორნებს...
აი, უფალიც დავლანდე
ღრუბლებზე თავის ანგელოზებთან ერთად.
აღსდგე, საქართველო.
შენ კი, ოთარაანტ ქალო, გაიხადე ძაძები,
ქვრივი აღარ გქვია...

ლომბარდში
ქორწინების ბეჭდის გამოსახსნელად მისულ წყვილს
ბეჭედი ისე შეეგება, როგორც
ბალიდან გამოსაყვანად მისულ მშობელს შვილი.
ორივე დედის თითებს ჩამოეკიდა...

ბაბუის საფლავზე მისულ შვილიშვილს ბაბუ კანფეტით
შეეგება. მეეზოვის ხელიდან ოღონდ...

ხელოვანი, რომელიც „ხელმწიფეს ნავში ჩაუჯდა“,
ისტორიამ ნავიდან გადაისროლა...

ათეისტმა თქვა: „ღმერთი არ არის“ ...
ფარისეველმა დაუდასტურა საქმით...

„სიყვარული თავისას არ ეძიებს“,
არადა, ყველა თავისას ითხოვს.
ეჰ...



ნატო ქარბაძე

საით მიგყავარ, ღრუბელო,
ქარები ქარებს აებნენ,
ქარები ქარებს მიჰყვენენ...

ვითვლი შორეულ ვარსკვლავებს,
რომ ცის ქაოსით გავერთო
ოკეანეთა მიღმა

და უმიზნობის ტყვეობით
უდაბნოს ქარებს ვეომო,
დრო ვიდრე ენას მომკვეთს.

ვითვლი ღამეებს, უძილოს,
მიმათრევს ტალღა, უძირო,
სურს, ხელმეორედ მოვკვდე.

ეს უხმაურო დუმილი
და მდუმარების საუფლო
ჰგავს მეგაპოლისს, უცნობს.

ვემშვიდობები ძველ დღეებს,
ვემშვიდობები ღამეებს,
გზას ვესალმები, უცხოს.

ვგზავნი ცრემლიან ბარათებს,
სევდის უძირო მღვიმიდან
ნუთუ ვერასდროს გაგაღ?!

სიცარიელით დაკბენილს
მიღიმის მთვარე, გრძნეული,
ფიქრების ჩრდილში ვდგავარ.

ტკივილის ორი ბოლოდან
მოუშუშებელ იარებს
მიმართულებას ვუცვლი

და ახლებური მოტივით
ხატვას ცხოვრების რუკაზე
ვინყებ ახალი ფურცლით.

ვითვლი შორეულ ვარსკვლავებს,
რომ ცის ქაოსით გავერთო
ოკეანეთა მიღმა.

საით მიგყავარ, ღრუბელო,
ქარები ქარებს აებნენ,
ქარები ქარებს მიჰყვენენ...

გიამბობ, თოვლით ძლიერ დაღლილი,
ფიფქებმა ქარში როგორ მარბიეს.
გაბრიელ, როცა მოვა აპრილი,
როცა აპრილი მოვა, გაბრიელ!

და ვიდრე მთვარე მომიყვანს შენთან,
მე ისევ სული მიჭირავს კბილით
და როგორ მინდა, რომ ვიყოთ ერთად,
როდესაც თვალებს გაგახელ დილით.

მიაბმე, თოვლით ძლიერ დაღლილმა,
ფიფქებმა ქარში როგორ გარბიეს.
გაბრიელ, როცა მოვა აპრილი,
როცა აპრილი მოვა, გაბრიელ!

განეზისი

იქნებ, დრო არის, დავხატო
ომი ცხოვრების რუკაზე,
არ დავიხიო უკან,

ან, იქნებ, დროა, ამღვრეულ
წყალს გავაყოლო უკვალოდ
ჩემი ცხოვრების რუკა.

იქნებ, დრო არის, დავმუნჯდე,
ფიქრებს გავექცე, გესლიანს,
ზეცას მივანდო თავი,

იქნებ, დრო არის, შევნიშნო,
ზურგს უკან როგორ მესვრიან
და იძირება ნავი.

იქნებ, ოდესმე ავიხსნა
ეს ბორკილები ხელიდან
და ძირს დავემხო პირქვე,

დავიღრიალო ლომივით,
ან გააფთრებულ ბრძოლაში
მოვკვდე, გავთავდე იქვე!

იქნებ, აღმომხდეს ძაბილი
თავგანწირული ვედრებით,
„ქვეყნად ვერავის ვენდე!“

და სულ ყოველთვის მახსოვდეს,
ეკალ-ბარდიან ბილიკით
როგორ მოვედი დღემდე.

იქნებ, მეორედ სიკვდილსაც
ალარც სიკვდილი ჰქვია და,
უბრალოდ, ჰქვია ძილი,

იქნებ, მე დაბადებიდან
ქვეყნად პოეტად გაჩენილს,
მქვია სიკვდილის შვილი.

სიცოცხლეც, იქნებ, მადროვო,
რომ შევიმეცნო ბოლომდე
შენი ანი და ჰაე,

რადგან მუზების საუფლო
სხვა სამყაროა სრულიად,
სხვაგვარს მასუთნოებს ჰაერს.

იმედს ჩავყევი ქვესკნელში,
იქნებ, აზრიდან აზრამდე
კვლავ ბენვის გავდო ხიდი,

იქნებ, სულ დაშრეს, ან სულაც
სადმე შეგუბდეს ერთ დღესაც
ყველა მდინარე დიდი.

იქნებ, დრო არის, დავხატო
ომი ცხოვრების რუკაზე,
არ დავიხიო უკან,

ან, იქნებ, დროა, ამღვრეულ
წყალს გავაყოლო უკვალოდ
ჩემი ცხოვრების რუკა.

ქარია. ბუდე დაენგრათ
მერცხლებს
და ელავს ცაზე ენები
ცეცხლის.
მომაგნო აქაც სიკვდილმა
მეცხრედ
და ცაზე მთვარე ჰკიდია
ვერცხლის.

გაივლის უდაბნოს ჩადრებით
სიგიჟე, ცრემლიან სლუკუნით.
ქუჩაში ხმებიან ჭადრები
და გარეთ ღამეა, უკუნი.
სადა ხარ, თუ უნდა ვენამო,
ხერხემალს მიმსხვრევენ ელვები
და ჰგვანან დღეები მენამულ
ბილიკებს, ზღვაური ღელევებით.

სიგიჟეც, რამდენად ახლოს ვარ
სიკვდილთან, როდესაც ღამდება,
როდესაც არავის ვახსოვარ,
სიჩუმე გაივლის ღანდებად.
გაივლის უდაბნოს ჩადრებით,
გაივლის ცრემლიან სლუკუნით.
ქუჩაში ხმებიან ჭადრები
და გარეთ ღამეა, უკუნი.

მოლოდინს ველარ გაფუძელი,
მოლოდინს, ენით აღუწერელს,
ლოდინმა გული დასერა.

სული ზეცამდე აიწვერა,
ჩუმი ფიქრით გაიძვერა,
დაბადებიდან ასე ვარ.

დედის მუცლიდან ნაგრძნობ ბედით
მაინც არაფერს არვის ვყვდრი,
ვილაც მზის სხივებს მამადლის.

მაინც სამოთხის მივდექ ქარებს,
მაინც ვილაცას ვუღებ კარებს,
მაინც სიცოცხლე ამაღ ღირს.

ალარაფერი შემრჩა ძველი,
კვლავ დანაღმული ბრძოლის ველზე
მივდექ ეკლიან ბილიკებს.

დროდადრო დროის მჩხიბავები
საღღაც უდაბნოს მიბარებენ,
ისმის უცხოთა ქილიკი.

არ მახსოვს ხელი, გამონვდილი,
დავალ მებრძოლი, გამოცდილი,
განრიდებული ქაოსთან.

ჰეი, უდაბნოც უსახურო,
ტყეც, უსიერო, უდაბურო,
ლოდინით სული დაოსდა.

ვიცი, ოდესმე გამიხსენებ,
ღმერთო, ტანჯვისგან დამიხსენი,
ღმერთო, ჩემს ფიქრებს ენამლე.

ო, რა ამაოდ რეკდა ზარი,
ო, რა ამაოდ ქროდა ქარი,
ო, რა ამაოდ ვენამე!..

ტრიალ მინდორში მირჩენია, ვინვე, ზამთარო,
მსურს, თოვლი მერქვას,
თოვლი იყოს ჩემი სახელი.
თვალს რომ ვხუჭავდი, სხვანაირი იყო სამყარო
და სულ სხვაგვარად ვჭერეტიდ მინას,
თვალს რომ ვახელდი...

ყოველ აღმაფრენის მერე
ეშვებოდა სევდის ფარდა
და ნუგეში ისევ სურდა სულს...

ტკივილებზე ბევრი ვწერე,
მტერი სიხარულში მყავდა,
მტერი სიხარულში მყავდა სულ...

გულო, უნდა იყო მშვიდად,
ისევ აღმაფრენა მინდა,
ისევ აღმაფრენა მინდა მე!

ოცნებებო, ჩემო წმინდა,
დამანახეთ, ისევ მინდა
ჩემს თვალთაგან უხილავი მზე!

ნისლებმა ტყეებს გადაუარეს,
წვიმს... ეელოდები ამინდს, უარესს.

გრიგალი ვიდრე ხეებს დაღენწავს,
გავექცე საით დღეებს, გარენარს?!

როცა არსაით მიხმობენ გზები,
კვიპაროსები... პალმები... ბუბები...

ეჰ, მარგალიტო, ჩირად რომ ფასობ...
გზავ, არეულო და უკომპასო...

ვიცი, რამდენჯერ გავარდა ტყვია,
მახსოვს, რამდენი აფეთქდა ნალმი...
გამოღმით ცივი ცხედრები ყრია
და ვილაც გიჟი იცინის გაღმით.

ნელ-ნელა სამტრედიის გარეთაც ცნობილი ხდება გალაკტიონის უსათაურო მიძღვნა ჩვენი მშობლიური ქალაქისადმი, რომელსაც მისივე ლექსის ბოლო ტაეპიდან დავარქმევდი „ქალაქი ლექსი“-ს.

სამტრედიის თემზე დაწერილი ოდა მიეკუთვნება გალაკტიონის „ინდუსტრიული ლექსების“ ციკლს. სახოტბო პოეტური ნაწარმოები მოცულობის მხრივ შედგება 3 სტროფისგან, თუმცა ინტერნეტში უფრო ხშირად პირველი ორი სტროფია გავრცელებული.

აღნიშნული ლექსი გალაკტიონის ლექსების ზოგადლიტერატურულ ხარისხთან შედარებით განსაკუთრებული მხატვრული ღირსებებით არ გამოირჩევა, მაგრამ სამტრედიელთათვის მნიშვნელოვანი მიძღვნაა, რომელიც ტრადიციული ათმარცვლიანი(5/5) სალექსო საზომით არის დაწერილი და მხოლოდ მეორე და მეოთხე სტრიქონებია შერითმული.

ლექსში ათვისებულია 3 სარიტმო წყვილი: 1. ჰიპერდაქტილური, — 5 მარცვლიანი რითმა: „აღბათ ბეღია — და სამტრე-
დია“.

პირველი სტროფი:

*შენთვის არავის უძღვნია ლექსი,
რომ ვერ გამჩნევდეს აღბათ ბეღია,
შენ ხომ სახელი ატარე დაბა —
თან მხოლოდ დაბა და სამტრედია.*

პოეტი ლექსის პირველ ორ სტრიქონში ამბობს, რომ სამტრედიისთვის ლექსი ჯერ არავის უძღვნია და ამ მხრივ უბედო და დაჩაგრულიაო, თუმცა სამტრედიის თემზე არაერთი ლექსია დაბეჭდილი, გასული საუკუნის პირველი მესამედის იუმორისტულ ჟურნალ-გაზეთებში.

ჩამოვთვალოთ რამდენიმე მათგანი:

„პურიშკევიჩის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულია იუმორისტული ლექსი — „სამტრედია“.

(„შუამავალი“ 1907. N7. გვ.4.)

„შხანკოლას“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულია იუმორისტული ლექსი — „მგზავრის თავგადასავალი“.

(„ეშმაკის მათრაზი“ 1908. N31. გვ.8.)

„პ. ახვის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულია იუმორისტული ლექსი — „სამტრედია“.

(„ეშმაკის სალამური“, 1909. N2. გვ.11.)

„ლი-კი“-ს ფსევდონიმით გამოქვეყნებულია სატირული ლექსი — „სახალწლო მილოცვები სამტრედიის რაიონისთვის“.

(„მათრაზი და სალამური“, 1910. N1.)

„ლამი ვარ“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულია ვარლამ ძიძიგურის სატირული ლექსი — „სამტრედია“.

(„ეშმაკის მათრაზი“, 1915. N3.)

„ალის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულია ლექსი „სამტრედიდან“.

(„ეშმაკის მათრაზი“, 1915. N16.)

გამოქვეყნებულია ნესტორ შენგელიას (ჭაგენელი ბზიკი) ლექსი — „სამტრედია“ (ბრძოლის ველზე მიღებული წერილის გამო).

(„ხათაბალა“ — 1920. N8. გვ.7)

გამოქვეყნებულია ნესტორ შენგელიას (ჭაგენელი ბზიკი) ლექსი — „სამტრედია“.

(„ეშმაკის მათრაზი“. 1920. N14. გვ.15.)

გამოქვეყნებულია ნესტორ შენგელიას (ჭაგენელი ბზიკი) ლექსი „სამტრედია“.

(„ტარტაროზი“, 1928. N134. გვ.12.)

ზემოაღნიშნულ ლექსთაგან ყველა სატირულ-იუმორისტული ხასიათისაა, შიგრაღაცას ან ვიღაცას კილავენ სატირიკოსი ლექსმწერები. მხოლოდ ნესტორ შენგელიას ლექსებს აქვს სერიოზული ტონი. აღნიშნულ ავტორს პოეტი იცნობდა და აფასებდა, რაზეც 1957 წელს დღიურში მისი ჩანაწერი მეტყველებს:


„კარგი იქნება მოგონებათა საღამოები, მაგრამ არა იმ ხალხისა, დღეს რომ მწერალთა კავშირში თარეშობენ. კარგი იქნება ძალიან, არა მწერალთა, არამედ მწერლებთან ახლო მყოფ ადამიანების მოგონებები. ოო, ეს ძლიერ კარგი იქნება, მაგრამ არიან კი ისინი ეხლა ცოცხალნი? სად არიან? ვინ მოსძებნის მათ? ვინც გადარჩა... გადარჩა... ვინაა მომგონებელი?“

შემდეგ ჩამოთვლილი აქვს 33 კოლეგის გვარ-სახელი, მათ შორის ახსენებს: გრანელს, საგანელს, ეთიმა გურჯს, შიო მღვიმელს, შალვა ამირეჯიბს, ტიციან ტაბიძეს, პაოლო იაშვილს, ალი არსენიშვილს და ფსევდონიმით ჭაგენელ ბზიკს (ნესტორ შენგელია).

გალაკტიონი ეცნობოდა იმჟამინდელ ლიტერატურულ პერიოდიკას და უდავოდ

ეცოდინებოდა ამ ლექსთა შესახებ, თუმცა იაზრებდა, რომ მოცემული ლექსები არ ეძღვნებოდა უშუალოდ ქალაქ სამტრედიას, მათ უფრო საღლაბუცო და სოციალურ-სამოქალაქო ბუნება ჰქონდა, სადაც ქალაქისა თუ მისი პერიფერიების პრობლემებზე და საჭირობოტო საკითხებზე იყო ყურადღება გამახვილებული და სატირული შუბიც ამ მიმართულებით მიმართული.

მათ გარდა, 30-იანი წლების შემდეგ სამტრედიისადმი მიძღვნილი 50-მდე ლექსია გამოქვეყნებული გალაკტიონის სიცოცხლეში.



პირველი სტროფის მომდევნო ნაწილში პოეტი სამტრედიის წარსულს იხსენებს, როცა ამ დასახლებას დაბის სტატუსი ჰქონდა. მიხეილ ნიკოლეიშვილის 2005 წელს ხელმოწერულ გამოცემულ წიგნში „სამტრედიის ისტორიიდან“, ვიგებთ, რომ სამტრედია რკინიგზის გაყვანის შემდეგ, 1870 წლიდან გახდა დაბა. დოკუმენტური წყაროებით დაბა სამტრედიის ქალაქად გარდაქმნის თემა დაძრულა 1890 წლის 10 იანვრის წერილით. ეს დოკუმენტი გვამცნობს დაბადების პერიოდს, რომლის სიყმაწვილეში სამტრედიას უკვე სრულფასოვანი ქალაქის ყველა ნიშან-თვისება ჰქონდა. 1917 წლის 15 აპრილის დადგენილებით სამტრედიამ შემოიღეს საქალაქო მმართველობა. მაშინ გალაკტიონი გახლდათ 25 წლის, რომელიც მომდევნო წლიდან გადავიდა საცხოვრებლად თბილისში. საქართველოს გასაბჭოების ტრაგიკულ 1921 წელს სამტრედიას ოფიციალურად მიენიჭა ქალაქის სტატუსი. თუ პოეტი ისტორიულ სინამდვილეს ითვალისწინებს, მისი ლექსი ლოგიკურად ვერ იქნება 1921 წლამდე შეთხზული, რადგან ქვემოთ მოცემულ სტროფში „დაბას“ წარსულში ახსენებს პოეტი და მაშინ არც ინდუსტრიული თემები იყო შემოჭრილი ქართულ პოეზიაში.

რაც შეეხება ლექსის შინაარსსა და იდეურ მხარეს, აშკარად იგრძნობა პოეტის სიყვარული და პატივისცემა სამტრედიისადმი, რაზეც არაერთი ფაქტი მეტყველებს. ამ თემაზე 2019 წელს მშვენიერი სტატია — „გალაკტიონი და სამტრედია“ — აქვს გამოქვეყნებული ანვარდაცვლილ მალხაზ კობრეიძეს, რომელიც მიმოიხილავს არაერთ ბიოგრაფიულ-ცხოვრებისეულ შტრიხს, რაც დიდ პოეტს პატარა სარკინიგზო ქალაქთან აკავშირებდა. გარკვეულწილად ამ თემას ეხება ჩემი გამოქვეყნებული წერილი — „ძმები ტაბიძეები და სამტრედია“.

ნოდარ ტაბიძის 1982 წელს გამოცემულ დოკუმენტურ წიგნში „გალაკტიონი“, რომელიც პოეტის სიყრმის, სიჭაბუკისა და ახალგაზრდობის წლებს შეეხება, დაბეჭდილია პოეტის აღნიშნული მიძღვნა სამტრედიისადმი.

სწორედ ამ წიგნში უნდა გამოქვეყნებულიყო ლექსი პირველად, სხვაგან დაბეჭდილი ჯერჯერობით ვერსად ვიპოვე. ვახტანგ ჯავახიძის აზრით, ნოდარ ტაბიძემ გალაკტიონის არქივში იპოვა ლექსის ხელნაწერი და წიგნში გამოაქვეყნა.

ზემოთხსენებულ ნოდარ ტაბიძის ნაშრომში ვკითხულობთ:

„გალაკტიონისათვის მახლობელი იყო სამტრედია. მას აქ არაერთი ლიტერატურული საღამო გაუმართავს. მაგრამ მთავარი ის არის, რომ პოეტის ბავშვობის, ყრმობისა და სიჭაბუკის ხანა აღსავსეა ამ ქალაქთან დაკავშირებული შთაბეჭდილებებითა და მძაფრი განცდებით.“

გაზეთ „ერთობის“ 1919 წლის 216-ე ნომერში დაბეჭდილია შემდეგი ცნობა: „16-25 სექტემბერი, გალაკტიონმა მონაწილეობა მიიღო სალიტერატურო დილა-სალამოებში, ზამურში, ქუთაისში, ხონში, სამტრედიამი, ახალსენაკში და ოზურგეთში.“

პოეტის დღიურში არაერთ ჩანაწერს ვპოულობთ სამტრედიზე. 1927 წელს ჩაუწერია: „სამტრედია გაიზარდა 114 %!!! საქართველოს ოცდაექვს ქალაქში სამტრედიას მოსახლეობით უჭირავს — ადგილი 4. სამტრედია — 13,794.“

1950-იანი წლების დღიურში, სადაც პოეტი სახელგამს უყენებს 19 მოთხოვნას, ნუსხაში მე-7 ადგილას წერს: „დაერქვას ქ. სამტრედიას სახელწოდება „საგალაკტიონო“. აღნიშნულ ტერმინს 1957 წლის დღიურშიც იმეორებს.

1955 წლით ათარილებს ამ ჩანაწერს: „ერთად მივდივართ ქუთაისში: 1. გალაკტიონ ტაბიძე, 2. კარლო ჩიხლაძე, 3. ივანე რუხაძე — 7 ნომბერს ქუთაისის სახელმწიფო თეატრის გახსნასთან დაკავშირებით. ივანე შალვას ძე რუხაძე ვალდებულებას იღებს მოაწყოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის მიწვევა ქ. სამტრედიამი.“

*ბაღდათის, ვანის,
სამტრედიის, ხონის არეზე
თავდადებული შრომა არის
მოასპარეზე
მეზნებარე — ალად.*

ასე უწერია 1956 წელს ერთ-ერთი ლექსის სამუშაო ვერსიაში.

1897 წელს ივერიაში გამოქვეყნებულია სტატია, სადაც წერია: „ს. ჭყუშიდგან, რომელიც შეადგენს ტობანიერის საზოგადოებას, გადასახლდა ენერის საზოგადოებაში 30-ზედ მეტი მცხოვრებელი. ამ გვარად დაშორდნენ თავის საზოგადოებას რვა ვერსის მანძილით. დღეს ისინი მეტად გაჭირვებულნი არიან, რადგანაც ვერ მიენერნენ იმ საზოგადოებას, სადაც დასახლდნენ, და თავიანთი საზოგადოებაც დაუშორდათ.“

(გაზეთი „ივერია“, 1897. N216. ლადო ბზანელი (ვლადიმერ ნაცვლიშვილი)) სამტრედიის მკვიდრის ქალბატონ ნათელა გელეიშვილის წერილში — „საგალაკტიონო“, ვკითხულობთ სამტრედიამი გალაკტიონის უახლოესი ნათესავების მოღვაწეობის შესახებ:

„ახალ სოფელში დასახლებულთა შორის აღმოჩნდა გალაკტიონის ბიძაშვილი, ჩვენს რაიონში მოღვაწე მსახიობი და რეჟისორი, მრავალი თაობის აღმზრდელი და ერთ ტაბიძე, მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა მშობლიურ სოფელთან და გალაკტიონთან. ბუნებრივია, პოეტის სიახლოვე სამტრედიასთან ამ მიზეზებითაც უნდა აიხსნას.“

ასევე საყურადღებოა პოეტის უფროსი ძმის პროკლე ტაბიძის და რძლის ტატიანა ცინცაძე-ტაბიძის ნაყოფიერი პედაგოგი-

ური მოღვაწეობა ა/კ რკინიგზის სამტრედიის N14 და N13 საშუალო სკოლებში. აქვე, რკ/გზ-ის N13 საშუალო სკოლაში სწავლობდა გალაკტიონის ძმის შვილი — ნოდარ ტაბიძე, რომელმაც ოქროს მედალზე დამთავრა აღნიშნული სკოლის სრული კურსი. (სამტრედიის მატიაწე, 2017. გვ.107)

სამტრედიის სოფელ ახალსოფელში მდინარე რიონზე არსებობს ძველი ბორანი, სავარაუდოდ, 1918 წლიდან, რომელიც სამტრედიისა და ვანის მუნიციპალიტეტებს აკავშირებს ერთმანეთთან, უხუცესთა გადმოცემით გალაკტიონს ბევრჯერ უმგზავრია აღნიშნული სამდინარო, პოეტური ტრანსპორტით, რომელიც მისი დაბადების პერიოდიდან გახდა პოპულარული და მის სიჭაბუკეში რიონზე ბევრგან იყო მოწყობილი.

1903 წელს „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილ სტატიაში სამტრედიის ბორნებზე ვკითხულობთ:

„აგერ 10 წელიწადი სრულდება, რაც სამტრედიელებმა, თავიანთ ადგილში მდ. რიონზე ბორანი გააბეს, 800 მანეთამდე დაუჯდათ. ეს ბორანი იცემოდა იჯარით წელიწადში 200-250 მანეთამდე, რაცა ყოველ წლიურად არა ურიგო წყარო იყო აქაურებისათვის. 1900 წელს ერთმა გლეხმა უღალატა საზოგადოებას და სხვა გლეხებთან ერთად გააბა ბორანი, საკუთარ ადგილში, საამხანაგო ბორნის მახლობლად. ამ გლეხს მიჰპაძა მეორემ, მესამემ და ამნაირად საამხანაგო ბორნის საქმე წახდა.“

(ცნობის ფურცელი, სილ. სამტრედიელი, 1903. N161. გვ.3.) 2022 წელს „კვირის პალიტრა“-ში გამოქვეყნდა მანანა გაბრიჭიძის ჩანერილი ინტერვიუ სამტრედიელ მეზორნე გენო კალაძესთან, რომელიც 1990 წლიდან მართავს ახალსოფლის ბორანს და მამამისიც ცნობილი მეზორნე იყო. ნავიკითხობთ ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი ინტერვიუდან:

„3 კილომეტრში სოფელ ჭყვიშში გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმი... მოსწავლეები, დამთვლიერებლები გადაწყვეტენ თავად გალაკტიონ ტაბიძეს უყვარდა ბორნით გადასვლა. მაშინ ის ორჯერ გადაიყვანა... მე მისი ძმისშვილი, ნოდარ ტაბიძე, გადამიყვანია ხშირად. ძალიან უყვარდა ბორნით მგზავრობა, გალაკტიონზე მიყვებოდა. ბევრს ვსაუბრობდით, ახლოს ვიცნობდით.“

(„კვირის პალიტრა“. 2022. 19-25 დეკემბერი. N 51. გვ. 19.)

დავუბრუნდეთ გალაკტიონის ლექსს, რომელშიც პოეტს ნახსენები აქვს 3 ტოპონიმი: სამტრედია, საჩინო და ტობა — ამ უკანასკნელში გულისხმობს სოფელ ტობანიერს.

დღიურში, სადაც რითმების ნუსხებს აკეთებდა, ერთგან 1923 წელს უწერია „ტობა ტობანიერი“. ეს ის დროა, როდესაც მისი უფროსი ძმა პროკლე ტაბიძე ტობანიერის სკოლების გამგეა. პროკლე (აბესალომი) 1930-იანი წლებიდან 1947 წლამდე მუშაობდა ქართული ენის მასწავლებლად სამტრედიამი, სადაც გალაკტიონი ხშირად აკითხავდა და წერილებს სწერდა. ტობანიერისადმი დიდ სიყვარულს ამჟღავნებს პოეტი.

მეორე სტროფი:

*წინათ ბორბლები დილიჟანსების
გაიძახოდნენ: ტობა, საჩინო,
ეხლა კი მინდა უზარმაზარი
შენში ქალაქი აღმოვაჩინო.*

1925 წელს დღიურში წერს: „მე დავიბადე 1892 წელს, (სოფელ) ტობანიერში (ქუთაისის გუბ. და მაზრა), გურიის საზღვართან“. რეალურად დაბადების წელსაც და ადგილსაც მცდარად აღნიშნავს, რადგან როგორც ნოდარ ტაბიძემ გამოიკვლია, გალაკტიონი 1891 წელს დაიბადა.

1935-იან წლებშიც ჩანერს დღიურში: „ტაბიძე გალაკტიონ ვასილის ძე (1892 წ. 28/9) — რესპუბლიკის სახალხო მგოსანი, ორდენოსანი, პოეტების მეფედ ნოდებულის, იმერეთიდან (დაიბადა სოფ. ტობანიერს, ქუთაისის მაზრაში, მამა — მასწავლებელი, დედა — მაკრინე ადგიშვილის ასული). სწავლობდა ტობანიერის პირველდანიებით სკოლაში.“

1921 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებულ ქორწინების ჩასაწერ წიგნში კი წერს, რომ სამტრედიიდან არის და 1892 წელს დაიბადა.

ქვემოთ მოტანილი ნიმუშებით მინდა, აღვნიშნო ერთი გარემოება, პოეტი თავის დაბადებასა და სიყმაწვილეს უკავშირებს

სამტრედიას, ტობანიერს და ჭყვიშს, ეს უკანასკნელი მამინ სამტრედიის საბოქაულოში შედიოდა, ერთი პერიოდი კი ტობანიერის საზოგადოებას მიეკუთვნებოდა. ამ ყველაფერში გალაკტიონისეული ირონიაც შეიძლება ამოვიკითხოთ, პოეზიის ღმერთებს ხომ დაბადების კონკრეტული ადგილი არ აქვთ.

ვახტანგ ჯავახაძე აღნიშნავს, რომ პოეტი ერთგან ფსევდონიმით წერს „გალაკტიონ ტობანიერი“. ჟღერადობით რატომღაც „დანტი ალიგიერი“ მოგვაგონდება. პოეტის სხვა ლექსებშიც ვპოულობთ ტობანიერს:

*მე გამახსენდა ქარი პირველი,
მთებში რომ მღერის,
სალამო ჩქარი და გამწირველი
ტობანიერის.*

1930

*მახსოვს ზაფხული ტობანიერის,
ჩვენი მდინარე და მეფის-ჭალა.
დედა სათუთად შლის „ივერიას“,
მდინარის ქარი ჰქრის ჩალა-ჩალა.*

1923-1950

1958 წელს თვითმკვლელობამდე ერთი წლით ადრე დღიურში ჩაუწერია, რომ საურს, ტობანიერში გახსნან მისი სახელობის ბიბლიოთეკა.

ამჟამად სოფელი ტობანიერი რიონისპირა სოფელ ჭყვიშიდან დაახლოებით 5 კილომეტრში მდებარეობს.

გალაკტიონი მოგვიანებით, 1950-იან წლების ავტობიოგრაფიულ დღიურში წერს: „დავიბადე 1892 წელს, (როდესაც მე დავიბადე) მამის, სახალხო მასწავლებლის გარდაცვალებიდან შვიდი თვის შემდეგ, დასავლეთ საქართველოში, ვანის რაიონში, სოფელ ჭყვიშში. როგორც წერა-კითხვა, ისე ნაოსნობა, ცურვა, მეთევზეობა, არ მახსოვს, როდის ვისწავლე. კუნძული „მეფის ჭალა“, რომელიც ჩვენი სახლს ეკეროდა, იყო ჩემი საყვარელი ადგილი.“

ლექსში გალაკტიონის მიერ ნახსენები „საჩინო“ ამჟამად აღარ არსებობს. საჩინო ისტორიული მხარეა, მოიცავდა ამჟამინდელი ქალაქი ვანისა და მისი მოსაზღვრე სოფლების ვრცელ ტერიტორიას. გაზეთ „ივერიის“ 1894 წლის მე-60 ნომერში ვკითხულობთ: „საჩინო (ქუთაისის მაზრა). სიტყვა-საჩინო ვგონებ იქედან უნდა იყოს წარმომდგარი, რომ ეს ქვემო იმერეთის კუთხე, შესამჩნევი, „თვალ-საჩინო“ უნდა ყოფილიყო ოდესმე. „საჩინო“, ესე იგი, საჩვენებელი, სანახავად ღირსიო. დიდად არ შემცდარან ჩვენი ძველთა-ძველნი, რომ ამ კუთხისათვის „საჩინო“ დაურქმევიათ (საჩინო. შესდგება ხუთი სასოფლო საზოგადოებისაგან: ტობანიერისა, ვანისა, დვალისელებისა, უხუთისა და გორასი).“

ნოდარ ტაბიძე ზემოთ აღნიშნულ წიგნში წერს:

„ჭყვიშზე გადიოდა სამტრედია-ვანის საფოსტო გზა — საჩინოს თემის ძირითადი არტერია. ყოველდღე ზანზალუკების ნკარუხით ჩაიქროლებდა დილით-ღამის გალაკტიონის ეზოს წინ, ჭრიჭინით ჩაივლიდნენ დატვირთული ურემები. გარემოს აცოცხლებდა ჩალვადრების ჩვეული სიმღერა.“

დავუბრუნდეთ გალაკტიონის ლექსს, რომლის დაწერის ზუსტი თარიღის დადგენა ამ ეტაპისთვის ვერ ხერხდება, კატალოგებში არ იძებნება. სათაურის არქონაც აძნელებს პოვნის საკითხს. იქნებ ძველ პერიოდიკაში საერთოდ არ დაუბეჭდავს. მიუხედავად ამისა, შეგვიძლია ლექსის შეთხზვის სავარაუდო წლები განვსაზღვროთ.


მეორე სტროფში გალაკტიონი იხსენებს დილით-ღამისა და მის მშობლიურ ადგილებს. მას შემდეგ დიდი დროა გასული. სამტრედია უკვე ცნობილი ქალაქია. თვითონ დედაქალაქში ცხოვრობს და სახელმწიფო-ქილი პოეტია. დილი-ღამის ძველ დროში იყო გადახურული სატრანსპორტო საშუალება, რომელშიც ცხენებს აბამდნენ. გამოიყენებოდა მგზავრობისთვის და ფოსტისთვის.

პროფესორი ვაჟა თვალავაძე სამტრედიაზე დაწერილ მონოგრაფიაში წერს:

„1897 წ. ვანიდან სამტრედიაში „დილი-ღამის“ და „ლინეიკა“ დაიბეჭდა, შემდეგ მათ 1898 წ. დაემატა ორი ომნიბუსი. 1900 წელს სამტრედია-ტობანიერის გზას სამი დილი-ღამის ემსახურებოდა, სამტრედია-კულამის დამაკავშირებელ გზაზე ეტლებით და „ლინეიკებით“ გადაჰყავდათ მგზავრები და ა.შ. სატრანსპორტო საშუალებათა მიმოსვლის გრაფიკი ძირითადად გა-

სნაზღვრული იყო სადგურ სამტრედიაში სახალხო მატარებლების შემოსვლის გრაფიკით, რათა მგზავრებს კარგად მომსახურებოდნენ. 1914 წლისათვის სამტრედიაში 100-მდე მეეტლე ემსახურებოდა მგზავრებს.

(სამტრედია 1870-1914. 2001. გვ.45.)



*და განცდილი ლექსივით
ტყე არ გაიზიარებს,
ტანჯვით და რეფლექსიით
ჩაღრმავებულ იარებს.*

1926

*მატარებელში მე ამ სტრიქონებს
ვსწერდი რეფლექსით,*

*სალამი ტფილისს, პოეტებს,
ათასი ლექსით!!!“*

1928

*აბა რას გავს ეს?
მაგრამ ავტორი
„ინტერნაციონალი“-ს
გრძნობდა, რომ წავა
ასე რეფლექსი.
შრომის მავალი
თავისუფლება
ნინასწარ იგრძნო;
აი, ეს ლექსი:*

1930

ცოტა ხანი შეეჩერდეთ სარიტმო წყვილზე „ლექსი-რეფლექსი“, რომელიც პირველად ათვისებული აქვს გიორგი გვაზავას 1905 წელს.

იოსებ გრიშაშვილის კატალოგების წიგნში ვკითხულობთ მის მიწაწერებს წიგნებზე, რომელიც შეეხება ცისფერყანწელი შალვა კარმელის სონეტს:

„კარმელი შ. ბაბილონი. (ლექსები). ტფ., 1921.

კანზე: „ი. გრ. 8 დეკემბ. 1921 წ.“
ავტორის ფსევდონიმთან წერია: „შალვა გოგიაშვილი“.

შეუცტიტულზე: „ამ პოეტმა ლექსი ისე გაიგო. როგორც რითმის მიგნება“.

„თავფურცელზე: „შალვა გოგიაშვილი გარდაიცვალა 1922 წელს თებერვალს“.

გვ. 7. სონეტში „ავტოპორტრეტი პროფილში“ პირველი ტაეპის მე-4 სტრიქონი ხაზგასმულია, არშიაზე: „ასე ვილაცას აქვს. მოვიგონებ ალბად“. მე-3 სტროფის ორი სტრიქონი მოხაზულია, მიწერილია: „ჩემი საქართ. მტრებს“. მე-4 სტროფის ბოლო სტრიქონი ხაზგასმულია, გვერდზე კითხვის ნიშანი, ქვეშ მიწერილია: „ჯერ ერთი ეს რითმა: „ლექსი, რეფლექსი“ — გვაზავას აქვს (იხილე: „მისი პოემა „შალვა ოდიშელა“, გვ. 38) და მეორე როცა ამბობს — პირველად რითმა მე გავმართეთ ქართულ ლექსებში, არც ერთი სხვისი რითმა არ უნდა იკადროს..., ი. გრ.“

(ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგი, 1977, გვ.218/219). ნავიკითხით ორივე ნიმუში, სადაც ზემოთ ნათქვამი რითმა ათვისებული.

*მაგრამ სუსტია ყრმისა რეფლექსი,
ვით მანიფესტი ურატხო მეფის,
დროთა ხუმრობით*

*ხელდანაკრეფის,
ან ვით პოეტის პირველი ლექსი:
იმას გავლენა არა აქვს მეტი*

*და თვითვე პრჩება გადაუწყვეტი.
(„შალვა ოდიშელია“: (პოემა) გვ.38,
გიორგი გვაზავა, თფილისი, 1905
(გუტენბურგი-ს სტ))*

*ვტრიალებ დამწვარ არაბებში
მზიურ ელლინად.*

*ვიცი, უთუოდ საამაყო მაქვს
რეფლექსებში:*

*პირველად რითმა რომ გავმართე
ქართულ ლექსებში!*

(კარმელი შალვა (გოგიაშვილი), ბაბილონი. ავტოპორტრეტი პროფილში, ტფილისი: გამოც. იოსებ ბერიშვილისა, 1921).

რომელ ისტორიულ დროსა და სივრცეში უნდა იყოს დაწერილი ჩვენთვის საინტერესო ლექსი? მაღალი ალბათობით 1925-1930 წლების შუალედში. რა გვაძლევს ამის თქმის მყარ საფუძველს? დაკვირვება გალაკტიონის იმდროინდელ ლექსებზე, რომლებშიც ინდუსტრიულ-აგრონომიულ ეპოქის ჭარბი ხოტბაა გამოხატული.

გალაკტიონის სოციალისტური ციკლის 25-მდე ლექსში აქვს ნახსენები სიტყვა „ინდუსტრიალური“ და „ინდუსტრია“. უმრავლესობა დაწერილია 1925-იან წლებში. იგივე ტერმინს — „ინდუსტრიალური“, ვპოულობთ პოეტის დღიურებში 55 ადგილას.

ერთ-ერთ ჩანაწერში, რომელსაც 1927 წლით ათარილებს პოეტი და მისი ლექსების რჩეულის გამოცემაზე საუბრობს, წერს: „რაც შეეხება აქ მოთავსებული ლექსების კლასიფიკაციას, საჭიროდ ვსცანი ისინი, დამენახილებია (ასეთნა.) (მათი) თემების მიხედვით ჩვენი (საუკუნის) ეპოქას (თანდათანობითი) მომენტებთან ქრონოლოგიურად დაკავშირებით. წიგნი იწყება რეაქციის წლებიდან და თავდება დღევანდელი დღით: I. რეაქცია 1905 წ. შემდეგ; II. ქალაქი და სოფელი; III. მსოფლიო კაპიტ. ომი; IV. რევოლუცია; V. სამოქალაქო ომები; VI. ლექსები შრომისა, ამშენებლობის, ინდუსტრიალური, აღმოსავლეთის, ევროპისა და VII. თანამედროვე ეპოქის ხელოვნებათა შესახებ.“

1930 წელს დღიურში ჩაუწერია: მე ვაპირებდი ინდუსტრიალური პოემის დაწერას, ამ პოემას უნდა რქმევოდა „აბრეშუმი და ძონძები“.

1935-იან წლებში ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში ვკითხულობთ: „პოეტი-ლირიკოსი, რომანტიკოსი, რევოლუციამდე სიმბოლისტი, გასაბჭოების შემდეგ — ოპტიმისტი, სტიქიურობის მაღიდებელი, თანამგზავრთაგან ინდუსტრიალურ თემებზე პირველი მწერალი“.

იგივე წელს წერს: „ქართული ლიტერატურის განვითარების ახალი ეტაპი ხასიათდება მდიდარი თემატიკით, ჟანრთა სხვადასხვაობით და მხატვრული შემოქმედების ფორმათა სიმდიდრით. ბრძოლა საკულ-მეურნეო მშენებლობისათვის, სოციალისტური ინდუსტრიის ზრდა, ახალი სოციალისტური ყოფა, პროლეტარიატისა და მთელი გლეხობის გამიჯნული წარსული, აი, თანამედროვე ქართული ლიტერატურის (ინტერნაციონალური) იდეურ-თემატური შინაარსის მთავარი მომენტები. ქართული ლიტერატურის ძირითადი პრობლემა — ახალი ადამიანის ჩვენებაა.“

ნავიკითხით ნიმუშები „ინდუსტრიალური ლექსების“ ციკლიდან, რომლებიც იდეურ-შინაარსობრივად ენათესავებიან სამტრედიისადმი მიძღვნილ ლექს-აპოლოგიას.

*იგი ჩვენ მაინც
უსათუოდ გავვაცამტვერებს,
სანამ ჩვენ მხოლოდ
აზია ვართ ჩამორჩენილი.
სანამდე მათ არ დავეწვეით და
არ გავასწრებთ
ძლევაშოსილი ინდუსტრიის
ახალ კულტურით!*

1924

*მიჰყევ, გაუგონე ბორბლებს სიარული,
არის საუკუნე ინდუსტრიალური.*

1928

*ვინ არ დაფიქრდეს ან არ აღელდეს,
გრიალი შენი რომელმაც ნახოს,
ინდუსტრიალურ აღფრთოვანებით
რაც მებრძოლ გრძნობას
სურს შეინახოს.*

1928

*ეს სულ არ არის ისე ადგილი,
როგორც ჰგონია თვალგ-მხიარულს,
უცებ დააძხოს ბურჟუაზია
და შეხედეს მხარეს ინდუსტრიალურს!*

1928

*გადაფარა საქართველოს გზებს
ინდუსტრიალურ რიცხვების გეგმა,
მისი ზრახვები და გატაცება
მიიღოს ქროლვამ გამოსადეგმა.*

1928



თემო ჭახნაკია

ინდუსტრიული ლაქსების რკალში

დასასრული

*მრავალმა წელმა გაასწრო ჩარჩოს,
დრო ისევ ცდილობს ძალთა მოკრებას;
ინდუსტრიულურ აღს გაუმარჯოს
და პროლეტარულ აბოპოქრებას!*

1929

*უნდა შეავსოს
ხვალემ და ზეგმა
ოთხ წელიწადში
ხუთი წლის გეგმა.
ინდუსტრიულური
იგრძნოს ეს წელი
რუსმა, ქართველმა,
ყირგიზმა, ლეკმა.*

1930

*მოდის ტრიალი ინდუსტრიულურ
აღმშენებლობის.
ნინ, ნინ! მაღალი, მშრომელი ხალხის
დროშა აქ არი.*

1930

*ცოცხლობს ის კომუნა, ბევრგან რომ
დახვრიტეს,
ცოცხლობს იგი აქ?
ინდუსტრიულური, კოლექტივისტური
ხელში დროშა აქვს!*

1930

*სოციალისტურ ინდუსტრიის ნიადაგს
მიჰყვა,
თუჯი, ნახშირი და ფოლადი
ამოაქვს გულით
და სახელმწიფოს მესაქე კლასს
აბარებს იგი.*

1930

*ეპოქა არის ნამგლის, ქურების,
ეპოქა, რამაც ძველი შეთოკა,
ეპოქა ძველის განადგურების,
ინდუსტრიული დროის ეპოქა.
არა თუ წლები გადესა ტყდომად,
წამიც კი გატყდა და*

რეკავს ცხარედ...

*ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ —
დროის, ეპოქის და სივრცის გარეთ!*

1931

*ფერო-მარგანეცს და ელსადგურებს,
მსხვილ ინდუსტრიის განვითარებას.*

1931

*ჩვენ ვიბრძვით — იქცეს ტყე-ველი
ინდუსტრიულურ ბაღებად.*

1930-1935

*თქვენი ქალაქის და თქვენი დაბის
რომ სცვლის სიარულს,
დე, გაუმარჯოს იმ მტკიცე ნაბიჯს
ინდუსტრიულურს.*

1935

ამ არემარეზე

*სულ ამ არემარეზე უცნაური ის არის:
გადაწევა უქმია რკინისგ ზეგის ისარის.
საბარგო მატარებელს*

თვალი ვერ დაინახავს.

ალბათ ინდუსტრიულურ

საიდუმლოს ინახავს.

ჩვენში, აბა, უსმინეთ,

ალტაცებას მიცემულს —

მრავალთ-მრავალ ბორბლების

გრავინვას გრიგალისებურს.

1935

სამტრედიისადმი მიძღვნილი დიტირა-
მბული ლექსის ბოლო ფაზაში სამტრედი-
ას პოეზიის ქალაქს უწოდებს პოეტი. მოგე-
იანებით, 1950-იან წლებში კი ისურვებს
„სამტრედია“ დიდ პოეტთან დაკავშირებუ-
ლი სახელით — „საგალაკტიონო“-თი ჩაა-
ნაცვლონ, რომელ თხოვნასაც ველარ შეუს-
რულებენ ჩვენს სასიქადულო პოეტს, თუმ-
ცა აღსანიშნავია, რომ 1991 წელს, პოეტის
100 წლისთავზე, კარიკატურისტ ბეჟან
გოგიას მერობის დროს უზუცესთა საბჭოს
გადაწყვეტილებით ქალაქის ერთ-ერთ ქუ-
ჩას ეწოდა გალაკტიონ ტაბიძის სახელი,
მის ახლომდებარე ქუჩას კი — ტიცინან ტა-
ბიძის.

2026 წელს ქალაქ სამტრედიის დაარსე-
ბიდან 105, ხოლო პოეტის დაბადებიდან 135
წელი გადის და სამტრედიელები მოვალე-
ნი ვართ, რკინიგზის სადგურის მიმდებარ-
ედ გაშენებულ მშენიერ სკვერში დიდი
პოეტის ბიუსტი დავდგათ...

პოეტი შოთა ჩანტლაძე, უნივერსიტე-
ტის ბალის უცვლელი ბინადარი, თვალში-
საცემი, მოხდენილი კაცი იყო. ასეთად და-
მამახსოვრდა პირველკურსელს 1957 წელს.
ჩვენზე 11 წლით უფროსს, ფილოლოგიის
ფაკულტეტი 1952 წელს დაემთავრებინა.
მელიქიშვილის 45 ნომერში ცხოვრობდა.
შეიძლება ამიტომაც ვერ ელეოდა ასიოდე
ნაბიჯით დაშორებულ ბაღს; მაგრამ ისიც
გავითვალისწინოთ, მაშინ რა მაგნეტიზმ-
ით იყო აღჭურვილი საქართველოს ერთა-
დერთი უნივერსიტეტი. მისი მშვენიერი
ბალი — პლატონის აკადემიის შორეულ და,
რამდენადმე, პაროდულ ანალოგიად მე-
სახება დღეს. შესაძლოა ნოსტალგია მომე-
ძალა, მაგრამ „წითელი პროფესორები“ ნა-
კლებად ეტანებოდნენ ბაღს. სკამებზე საა-
თობით მოკალათებულ პროფესორ-მასწა-
ვლებლებს თუ სტუდენტებს ხან ინტელექ-
ტუალური საუბრები და ზოგჯერ ცხარე
დებატები იზიდავდა, ხანაც „ტკბილი უსაქ-
მურობა“, ეგ ზომ დამახასიათებელი ქართ-
ველებისათვის.

შოთას მსმენელი არ ელეოდა: უფროსი,
მისი კბილა თუ უმცროსი მეგობრები, პოე-
ტები, ახალგაცნობილი ან სულაც უცნობი
სტუდენტები. მე მათ რიცხვს არ მივეკუთ-
ვნებოდი. ხან მისი აღმაცერი, დამცინავი
ლიმილი მაკრთობდა, ხანაც მოარული ლე-
გენდები, რაც თავადვე გადმოსცა შემდეგ-
ში („ჩემზე ამბობენ, გადარეულიაო, გადა-
რეულიაო, გადარეულიაო“...); ისიც, „გენი-
ოსობას“ რომ იჩემებდა. საკუთარ ლექსებს
მეგობრებს ხშირად კი უკითხავდა, მაგრამ
სიცოცხლეში არამცთუ პოეტური კრებუ-
ლი, ლექსიც არ გამოუქვეყნებია. შემდეგში
გავიგე, რომ დაბეჭდვას შეეცადა, მაგრამ
მრავალგზისი უარით შეურაცხყოფილი
გენიოსის ნიღაბს ამოეფარა და საბოლო-
ოდ გადაბარგდა „ანდერგრაუნდში“. ეს
თავის გადარჩენისათვის საუკეთესო ფა-
დი აღმოჩნდა. 1949-1952 წლებით დათარი-
ლებული ზოგი ლექსი რომც დაბეჭდილი-
ყო, მის ავტორს დახვრეტა თუ არა, გადა-
სახლება მაინც ელოდა. შესაძლოა ვივა-
რაუდოთ, რომ სწორედ ამის გამო მისი პო-
ეზია მხოლოდ „განდობილთათვის“ იყო
ცნობილი, რადგან ლექსების თუნდაც ხე-
ლწანერის სახით გავრცელებაც კი არ და-
რჩებოდა დაუსჯელი.

ახალგაზრდობიდანვე ოდიოზური პი-
როვნების სახელი ჰქონდა — სულ ტყუილ-
ად: ნიჭიერი, ერთგული, საუკეთესო მეგო-
ბრები ჰყავდა, სწორედ ისინი ცდილობდ-
ნენ, დახმარებოდნენ სულიერად და მატე-
რიალურადაც — ხან „წინაგმა“ უბეჭდავდ-
ნენ მინიატიურებს, ხანაც, შესაძლოა, აიძუ-
ლებდნენ კიდევ ჰონორარიანი თარგმნი-
სათვის მიეყო ხელი. თარგმნას დიდი პასუ-
ხისმგებლობით ეკიდებოდა.

საოცარია, რომ პოეტის ლექსებს პირ-
ველად 60-იანი წლების დასაწყისში გავე-
ცანი — ისიც ფრაგმენტულად: „მეპაპი-
როსე ბიჭო, ბიჭო ხალასო ნიჭო“ — გენია-
ლურია!“ — ეს თამაზ ჩხეკელის სიტყვე-
ბია. შოთას მეგობარი, ავანგარდიზმის
ერთ-ერთი პიონერი, მხატვარი და პოეტი
თემო ჯაფარიძე ხშირად ზეპირად გვიკი-
თხავდა შოთას ერთ-ერთ საუკეთესო ლე-
ქსს „მე, გულანშაროში“. „მეპაპიროსე ბი-
ჭის“ ფრაგმენტს კი ვერ მივაგენი: „პაპირო-
სის გამყიდველიც“ და „მეპაპიროსეც“ (იხ-
ილეთ შოთა ჩანტლაძის ყველაზე სრული
კრებული, საარქივო გამოცემა „მე მოვ-
ალ...“, 1998) მოხუც კაცზე. ვინ იცის, მისი
რამდენი ლექსია უკვალოდ გამქრალი!

შოთა ჩანტლაძის ადრინდელი ლექსე-
ბის გაურანდავობა შესაძლოა მივანეროთ
„ლიტერატურული მემკვიდრეობის“ თითქოს-
და უცილობელ გამოვლენას. მაგრამ საქმე
ის გახლავთ, რომ შემდგომში, კონვენციუ-
რი ლექსის ზეობის ხანაში, პოეტმა ეს „გაუ-
რანდავობა“ (განსხვავებული სალექსო სა-
ზომი, არცთუ ოსტატურად შერჩეული სა-
რითმო სიტყვები, თეთრი თუ თავისუფა-
ლი ლექსისა ან ვერლიბრისკენ სწრაფვა)
ფორმისა და შინაარსის თანხმიერებისათ-
ვის გამოიყენა. სწორედ ეს იყო შოთა ჩანტ-
ლაძის ინოვაციური „მეთოდი“, რამაც სხ-
ვათაგან გამორჩეული ნიშა დაუშკვიდრა.

მისი პოეზიის დაუხვეწავ სპონტანურო-
ბას მხოლოდ თვითნაბადი თუ „თვითნას-
ნავლი“ ნიკო სამადაშვილის დიდებულ შე-
მოქმედებას თუ შევადარებდი. ისიც მგო-
ნია, რომ გურამ რჩეულიშვილს რომ დას-
ცლოდა, პოეზიაში ამავე გზას ირჩევდა —
„ირიბს, აღმაცერს“.

თავისუფალ პოეტს თავისუფალი სივ-



ლალი ავალიანი

„უსაბუთო პოეტი“

რცე ესაჭიროებოდა და კიდევაც მიაღწია
სანადელს: ღია ცისქვეშეთი, ქუჩა, ბაღები,
ქუჩის ბინადრები, შეჭირვებული, მაგრამ
თავის გუნებისად მოხეტიალე და, რა თქ-
მა უნდა, თბილისი იყო მისი პოეზიის უმ-
თავრესი არეალი:

*სხვის ხარჯზე მოვილხენ ყოველდღე,
საკუთარი არა მაქვს რადგანაც,
თუმცა მთელ ქალაქს მოვედე
და კიდევ გაგნვდები ათ ქალაქს.*

თბილისი მისთვის „გაშლილი წიგნი“
იყო; თავად პოეტს („მოხეტიალეს“) სად არ
შეხვდებოდი — ქუჩაში, უნივერსიტეტის
ბაღში, ზოოპარკში, კიროვის პარკის (ვერ-
ის ბაღის) „საფიხვნოზე“, მეგობრების ოჯ-
ახში...

ვაჟა გიგაშვილის გადმოცემით, უფულ-
ობის მიუხედავად (უნივერსიტეტის დამ-
თავრების შემდეგ მხოლოდ 1 წელი იმუშა-
ვა მასწავლებლად ძირითადად ბერძნებით
დასახლებულ სოფელში), ხელგაშლილი და
გულღია მასპინძელი იყო; ვაჟა იგონებს,
როგორ მიირთვეს ნაბახუსევმა მეგობრებ-
მა დედამისის გაკეთებული უგემრიელები
ფითი. თუ სახლში არაფერი ებადა, შოთა
უშაღვე საწოლაგისათვის ჩანთას დასტა-
ცებდა ხელს და ცარიელი ბოთლებით სავსე
ბადურასაც წაიყოლებდა.

ემზარ კვიტაიშვილმა მართებულად შე-
ნიშნა, რომ კლასიკური ფორმების შეგნე-
ბული უგულებელყოფა, რაც მის ადრინდელ
ლექსებშივე შეინიშნება, უწინარესად, რთი-
მისადმი „აგრესიული დამოკიდებულებით“
მჟღავნდება.

*ვხედავ — გრძნობებში ვინთქმები,
რითმა გავტყორცნე შორეთს,
არა, არ მინდა რითმები
მისთვის მცალია სწორედ.*

ეს ერთადერთი „გამოხდომა“ არ არის
რითმის წინააღმდეგ. შოთა ჩანტლაძის პო-
ეზიაში შეინიშნება კონვენციური ლექსი-
საგან განდგომა, რაც არარელევანტური
სარითმო სიტყვების „დაკანონების“ ტენ-
დენციაში ცნაურდება; თუმცა მისი სხვა-
დასხვა დროის ბევრი ლექსი ჩინებული რი-
თმებით არის აკინძული.

ემზარ კვიტაიშვილის თქმით, „შოთა ჩა-
ნტლაძის ადრინდელ ლირიკაში, იქ, სადაც
ინყება ნამდვილი ფორმის ფლობა, საკმა-
ოდ ჭარბადაა ერთგვარი ნაგვიანევი ბოჰე-
მის გამოცახილი. ეს სამყარო და ეს განწყ-
ობილებანი, ძირითადად, ვალერიან გაფრ-
ინდაშვილის „დაისებიდან“ იღებს სათავე-
ს“.

შოთა ჩანტლაძის ადრინდელ ლექსებ-
ში (ძირითადად, 40-იანი წლების დამლევ-
ი) აღბეჭდილი „ცისფერყანწელთა“ მიმართ
უეჭველი პიეტეტი; ეს კი „შიშინაობის დრ-
ოს“ აკრძალული და რეპრესირებული პოე-
ტების შემოქმედების ჩინებულ ცოდნაზეც
მიგვანიშნებს.

„ბოჰემის მონოლოგის“ ავტორს ვალე-
რიან გაფრინდაშვილს ერთგან ნათქვამი
აქვს: „ვის შეუძლია დაიტრახახოს და სთქვ-
ას, რომ არ ჰყოლია ორეული და პირველ-

ად მოველინა კაცობრიობას?“ მართლაც
ასეა და არც შოთა ჩანტლაძე ყოფილა
გამონაკლისი, მის ლექსებში ალუზიები და
რემინისცენციები ამკარად იკვეთება.

„მთვარე მერცხლის ბუდეში“ — ასეა
დასათაურებული 1949 წლით დათარილე-
ბული ლექსი:

*...დაღამდა თუმცა,
მთვარე მაინც გათენებულა
და მონატრებულ მერცხლის ბუდეს
კვლავ მივაგენი.
...მერცხლის ბუდეში*

ჩაფრინდა მთვარე...

ახლა კი პაოლო იაშვილის „არგვეთის
ლამეების“ ფრაგმენტები მოვიხმოთ:

*ცაზე ვერცხლის მერცხლები
სხედან ლურჯ ბუდეებში,
მთვარე ცივად ეცემა
შქერის ტყეში გამართულ
ტოტების ბაღეებში.*

...

*მთვარე — თეთრი ხოხობი
გაეხიზა ტოტებში...*

ერთ ლექსში ახლა უკვე პაოლო იაშვი-
ლის ციტატა ჩნდება:

*რომ არ თქმულიყო გულის ტეხილი,
რაიც კი ითქვა უკვე ჩემამდე,
ყველას ვიტყვოდი...
...ყველას ვიტყვოდი
გარდა ერთისა, გარდა ამისა:
„დადის ქუჩაში*

ბევრის მსგავსი ჩემი სხეული“.

„დადის ქალაქში ბევრის მსგავსი ჩემი
სხეული“ — ეს ტაეპი პაოლო იაშვილის
ლექსიდან „პოეზია“ არის. არადა, შოთა ჩა-
ნტლაძის „ქალაქური“ ლექსების ლაიტმო-
ტივადაც შეიძლება ჩაითვალოს. იქნებ ას-
ეთი ჩანართი ეგოტიზმსაც მიენეროს:
„...ყველას ვიტყვოდი გარდა ერთისა, გარ-
და ამისა: „დადის ქუჩაში ბევრის მსგავსი
ჩემი სხეული“ — ის ხომ არავის მსგავსი.
„გენიოსი“ იყო!

ქართული და რუსული პოეზიის უზად-
ლო მცოდნეს „გალაკტიონი გამორჩეულ-
ად უყვარდა. ვგონებ ანგარიშმიუცემლად
ეტოტებოდა კიდევ“ (იზა ორჯონიკიძე).
მის კონვენციურ ლექსებში ადვილად შეიძ-
ლება მივაკვლიოთ გენიალური პოეტის ინ-
ტონაციას, მასაც ისევე აწვალბდა და არ
ასვენებდა ქარი, შემოდგომა და მარტოო-
ბა. თუმცა უფრო ტიცინა ტაბიძისაგან იყო
„დავალებული“. შესაძლოა, ერთი „ციტაც-
ია“ გამოეპარა კიდევ შოთა ჩანტლაძის
დღემდე ყველაზე სრულყოფილი საარქი-
ვო გამოცემის შემდგენელ იზა ორჯონიკი-
ძეს, როცა ვრცელი ბოლოთქმა ასე დაასა-
თაურა: „მე ვმღერი, როგორც დამსხვრეუ-
ლი ლერწამის ღერი“ (ესკიზი შოთა ჩანტ-
ლაძის პორტრეტისათვის).

*მე ვმღერი, როგორც
დამსხვრეული ლერწამის ღერი
და შენ კი გალობ ხმით ნარნარითა...*

*მივალ, მივდივარ და მივიმღერი,
თან საქართველოს მიმაქვს ოცნება,*

ვარ გაუთლელი ღერწამის ღერი,
ტუჩმიუდებლად რომ იკოცნება.
უსათაურო ლექსის პირველივე სტრო-
ფი კვლავ ტიცინან ტაბიძეს ეხმინება:
ცისფერ ვაზაში წითელი ყვავილი...
დააკვირდით:

გაფიზის ვარდი მე პრუდომის
ჩაედვ ვაზაში.

იქნებ უპრიანია ტიცინანის ერთი ნათქ-
ვამიც გავიხსენოთ — საქართველოში ცი-
სფერ ყვავილს ღერო წითელი ჰქონდაო...
როგორც ჩანს, შოთა ჩანტლაძე „ცის-
ფერყანწელგებთან“ სისხლით მონათესა-
ობას გრძნობდა:

როცა მუზები შემომესევა
ძარღვებში სისხლი ზღვისებრ ნავა და
გაცოფებული იკივლებს ლექსი...

დაფასთან ვდგავარ და
ვშლი ძველ ლექსებს,
ცარცით კი არა —
სისხლით რომ ვწერდი...

ტიცინან ტაბიძე

შენს ალაყაფთან მსურს დაეღაგო
ლექსები, როგორც სისხლის წვეთები...

პაოლო იაშვილი

იმავდროულად, შოთა ჩანტლაძე გულ-
გრილი იყო „ცისფერყანწელთან“ ფორმალ-
ისტურ ძიებათა მიმართ: რითმის გაფეტი-
შება, სონეტისა და ტრიოლეტის დაწერვა
ქართულ პოეზიაში, მათი ეკლექტიკურობა
(ფუტურისმისა თუ დადაიზმის ელემენტე-
ბი), სიტყვის მაგია, ბგერწერა, სიტყვათქმ-
ნადობა, „წმინდა ხელოვნება“ — მისთვის
სრულიად უინტერესო და მიუღებელი აღ-
მოჩნდა.

ქართული მოდერნიზმის მძლავრი ნა-
კადის (პოეზიასა თუ პროზაში) იძულებითი
წყვეტის მიუხედავად, ახალგაზრდა პოეტს
სწორედ ქართული მოდერნიზმი და ავან-
გარდისმი აძლევს სტიმულს, 50-იან წლებ-
ში 10-20-იანი წლების უკვე „ხანმოთუელი“
მიმართულებანი უარყოს და ვერსიფიკა-
ციის განსხვავებული, უახლესი ტენდენცი-
ები წარმოაჩინოს.

„70-იანი წლების დამდეგს კი ვერლიბ-
რი ქართულ პოეზიაში ისე დაბრუნდება,
რომ ტრადიციული მეტრული პოეზიის ად-
ეპტების მხრიდან პოლემიკაც მოჰყვება.
შოთა ჩანტლაძის სახელი ამ დებატებში არ
იქნება გახსენებული“ — დანაწებით შენიშ-
ნავს ბელა ნიფურია.

გარდა იმისა, რომ შოთა ჩანტლაძეს აქ-
ვს ავტოპორტრეტთა მთელი სერია (ემზარ
კვიტაიშვილი), მის პოეზიას ასულდგმუ-
ლებს „ეგო“ — „მე“ (ხან ირონიულად, ხანაც
ნარცისულად). პოეტის გარდაცვალების
შემდეგაც კი გამომცემლები ცდილობდნ-
ენ მისი ამოჩენებული თვითდახასიათების
(„მე გენიოსი ვარ“) იგნორირებას, რა თქმა
უნდა — ცენზურის შიშით.

პირველი, რომელმაც 1984 წელს გაბედა
ამის თქმა, მისი მეგობარი ემზარ კვიტაიშ-
ვილი იყო.

შოთა ჩანტლაძეზე უკვე ბევრი რამ დან-
ერილა (ტყუილ-მართალი), ბარემ აქვე შე-
ვნიშნავ, რომ მათ შორის გამოვარჩევი
ემზარ კვიტაიშვილისა და იზა ორჯონიკი-
ძის შესანიშნავ წერილებს.

„უცხო საზოგადოებაში თავი მუდამ ღი-
რსეულად, ერთსა და იმავე დროს მოკრძა-
ლებულადაც და ოდნავ გამომწვევადაც
ეჭირა. ქალებს აუცილებლად ეტყოდა რა-
იმე უცნაურს, თან დასძენდა — „იცით თუ
არა, რომ მე გენიოსი ვარ?“ ბევრს იმ წამსვე
დააფრთხობდა. ზოგი, ამ სიტყვის მიუწე-
დომელი შინაარსითა და მაგიით მოწუხხუ-
ლი, ინტერესით აკვირდებოდა“ (იზა ორ-
ჯონიკიძე).

მისი ამბივალენტური პიროვნებაც და
შემოქმედებაც თითქოს ორად იყო გახლე-
ჩილი: ენამწარე სიამაყე, პოზა, ეპატაჟი,
სარკაზმი, თვითგანდიდება, ტრაგიკული
მსოფლალქმა, თანაღმობა, სიყვარული,
კეთილმოსურნეობა, სიბრალული, თვითი-
რონია, იუმორი, სისადავე...

„იმ დროს შოთა ჩანტლაძე პირველი
პოეტი, რომელმაც „მე“ და საკუთარი „გე-
ნიოსობა“ ხმაურთანად გადმოსცა“ (ბელა
ნიფურია).

ამ ლექსების არასრული ჩამონათვალ-
ია: „შოთას“, „მე როგორც მისანნი“, „მე გუ-
ლანშაროში“, „მე“, „მე რომ მიყურებ, ღმე-
რთი ვარ“, „ჰვი გამაქანეთ“. ლექსები დაწე-
რილია 1949-1952 წლებში.

ძნელი წარმოსადგენია, რას განიცდი-
და ჯერ კიდევ ახალგაზრდა შოთა ჩანტ-

ლაძე, ვისთვისაც პოეზია იყო პური და წყა-
ლი, ხოლო მის გარეშე ცხოვრება წარმოუ-
დგენელი („მანიფესტი“), როცა ველარ ან
ალარ წერდა ლექსებს; ხუთიოდე წლის შემ-
დეგ კი მისი უდროო აღსასრული იყო ჩასა-
ფრებული...

ბოლო წლებში, თუმცა თარგმანებს უბ-
ექდავდნენ, როგორც ჩანს, სკეფსისი და
უიმედობა გაუმძაფრდა; თავის ლექსებს
მეგობრების წრეშიც კი აღარ კითხულობდა
— ამისი მოწმე მეც ვარ: უახლოეს მეგო-
ბართან, პოეზიით რომ სულდგმულობდა
— ელზა დოკვაძესთან ვიყავი, როცა მოუ-
ლოდნელად ჩვენი ახლობლები, მხატვარი
თემო ჯაფარიძე (ავტორი შოთას ჩინებუ-
ლი პორტრეტისა, მის 1998 წლის საარქივო
კრებულის გარეკანს რომ ამშვენებს), პრო-
ზაიკოსი და „ცისკრის“ თანამშრომელი
ლევან მალაზონია და უცხო სტუმარი შო-
თა ჩანტლაძე მოვიდნენ. ღარიბულ სუფრ-
ასთან (ლობიო, პური, არყის პატარა გრა-
ფინი) თბილად და ტკბილად მოვილხინეთ,
როცა თავისი ლექსების ნაკითხვა ვთხოვ-
ეთ, შოთამ აღექსანდრე საჯიას მიერ თა-
რგმნილი ინგლისური ხალხური ბალადა —
დედის დატირება — „შვილო ჩემო, ღო-
რ რენდალ“... ნაგვიკითხა. უბადლო დეკ-
ლამატორი გახლდათ. ეს იყო და ეს... ზუს-
ტად არ მახსოვს: იქნებოდა 1966 ან 1967
წელი.

შოთა ჩანტლაძის სადარ პოეტებზე ამ-
ბობენ — დროს გაუსწროო. მისი თუნდაც
ორი „საკულტო“ ლექსის „მანიფესტისა“
და „სიკვდილის როკვა ანუ სხეულის აგონ-
ია ანუ მიზეზი მოკვდინების (სიმფონია მე-
დიცინურის)“ დათარიღება (1952 და 1953)
იკმარებს, რომ დავასკვნათ: მისი საპროგ-
რამო ლექსები დღესაც უნიკალურია.

ამაზე ბევრი უკვე თქვა და მომავალ-
შიც დაინერება. ამ ლექსთა ავტორი XXI
საუკუნის პოეტი.

ეგოტიზმი, ექსპიზიციონიზმი, ნარცი-
სიზმი — „აბსოლუტურად თავისუფალი
სიტყვისათვის“ და პიროვნული თავისუფ-
ლებისათვის უიმედო წყვეტები — პოეტის
შინაგანი უცილობელი მოთხოვნილება გა-
ხლდათ — ერთადერთი გზა „მეს“ გადასა-
რჩენად.

გლობალიზაციისა და „ხელოვნური ინ-
ტელექტის“ არნახული წარმატების ხანა-
ში, როცა არამცთუ ეროვნული, არამედ
პიროვნული იდენტობის შენარჩუნებაც
საეჭვო გახდა, — შოთა ჩანტლაძე ჩვენს
თანამედროვედ აღიქმება.

„რაც ნაღდია, შესაძლოა, ძირფსვიან-
ად ვერ გაიგო, მაგრამ შეუძლებელია არ
იგრძნო“ (მუხრან მაჭავარიანი).

1947 წლის 22 აპრილს „ლათ. პრაქტიკა-
ზე“ (ანუ ლათინური ენის პრაქტიკულ მეც-
ადინეობაზე), 10 საათსა და 35 წუთზე, „ბე-
ჯით“ სტუდენტ შოთა ჩანტლაძეს მუზა
სწვევია და ლექსში „პოეტ N-ს“ დაუწერია:

თქვენ რაც გიგრძნობთ,

იმას ვერ გრძნობენ

და რაც ვერ იგრძნეს,

დარჩა უგრძნობი,

რასაც ვერ ცნობენ, იმას არ ცნობენ,

რასაც არ ცნობენ, რჩება უცნობი.

ვიმედოვნებ, რომ შოთა ჩანტლაძის „ნა-
გრძნობი“ მომავალშიც არ დარჩება „უგ-
რძნობი“ ან „უცნობი“.

ბედის მწარე ირონიით, მისი 1963 წლით
დათარიღებული უსათაურო — „გენერა-
ლი დამპირდა გასახლებას“ — საარქივო
მასალების მიხედვით უკანასკნელი აღმო-
ჩნდა. მომყავს ამ ლექსის ფრაგმენტი:

გენერალი ქალაქიდან

დამპირდა გასახლებას,

გენერალი მილიციის.

ვინ იცის, ცხოვრებაში

ვის რა გადახდება,

ვის გაასახლებენ, ვინ იცის?

მე ერთი კაცი ვარ უდანაშაულო,

ჯიბეში არ მიღვეს ჯაყვაც კი,

მაგრამ ორშაურსაც

მუდამ ვერ ვმოულობ,

თუმც მნიშვნელოვანი ვარ მოღვაწე.

გენერალმა არა, მაგრამ ხუთიოდე წლ-
ის შემდეგ 40 წლის პოეტი, რომლის ლექსე-
ბი გაჟღენთილი იყო უდროო სიკვდილის
მოლოდინით, ფატალურმა, „უწყინარმა“,
შემთხვევითმა ავადობამ — ბრძანალავის
დაგვიანებულმა ოპერაციამ იმსხვერპლა
და „გაასახლა“ კიდევ! დაკრძალვის დღეს
მელიქიშვილის ქუჩაზე ხალხმრავლობის
გამო ერთხანს ტრანსპორტის მოძრაობაც
კი შეწყდა. თითქმის მთელი თბილისი გუ-
ლმოკლული ემშვიდობებოდა „უსაბუთო
პოეტს“.



ბადანშიება ულანში

წვინმს, წვინმს, წვინმს, მთელი დღე წვინმს.
ჩაღბა წვინმასა და ნესტში უდაბური ტყე.
მერე ჭექა-ქუხილიც დაიწყო. შეერთა მდე-
ლოზე გამოსული შველი, შეწყვიტა ძოვა
და ტყის სიღრმეში შევიდა. იქ ერთი დიდი
წიფლის ფულურო ეგულეობდა, შევაფარებ
ცოტა ხანს თავს, გავერები და წვინმა რომ
გადაიღებს, შვილებს მივაკითხავო.

დაძრწოდა, დაცანცალებდა, ეძებდა
საკბილოს ერთი მარტოხელა მელა, მაგ-
რამ იმ თავსხმამი ვერაფერი მოიხადირა,
ყველა ფრინველი საიმედოდ იყო შეყუჟუ-
ლი. მერე ტყის პირას კარგად ჩამწიფებუ-
ლი მაცვლის ბურქები ნახა, მიაძღა დაღლი-
ლი და წვინმისგან თავმოებრებულმა დიდი
წიფლის ფულუროსკენ გასწია.

იხეტილა ანცმა დათვის ბელმა წვინმა-
ნი ტყის ბილიკებზე, ხან პანტა ახრამუნა,
ხან დიდ-დიდი სოკოები გადასანსლა, მერე
ქუხილისგან ოდნავ შემკრთალი ღელეში
ჩავიდა, წყალს დაენაფა და ტყის სიღრმის-
აკენ გასწია — ჩემი ბუნაგი შორსაა აქედან
და დროებით დიდი წიფლის ფულუროში
გადავინვიმებო.

ჰოდა, მიადგა მელაკუდა ფულუროს.
შველი კი უკვე შეჰფარებოდა, სიმშრალეში
ინვა და მშვიდად იცოხნებოდა.

— ოჰ, მობრძანებულა ქალბატონი, —
უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა თავისთვის
და მორიდებით მიუახლოვდა. დიდად არც
შველს ეამა ეშმაკი ულრანელის დანახვა,
მაგრამ რას იზამდა, გვერდით მიიწია და
მასაც დაუთმო ადგილი.

მელა შველს მიესალმა, ფულუროში შეი-
ძურწა ირონიული ღიმილით და მოპირდა-
პირე მხარეს დასკუბდა.

— ხომ კარგადა ხარ, მეზობელო? წვინ-
იანი ზაფხული გვაქვს და მშვენიერი ბალა-
ხი მოვიდა, კმაყოფილი უნდა იყოთ, საკვე-
ბი არ მოგაკლდებათ მთელი წელი.

— რა გითხრა, ჩემო მელაკუდა? კი, ბა-
ლახი მუდამ გვაქვს ამ ჩვენს მშვენიერ ტყე-
მინდვრებში, შინაური და გარეული მტერი
რომ არ გვახუტებდეს, აი, მაშინ ჩვენს ბედს
ძალი არ დაჰყევდეს...

ძაღლის ხსენებაზე მელა უსიამოვნოდ
შეიმშუმნა.

— ჰო, კარგია მშვიდად ბალახის ძოვა,
რა გიჭირს, ჩემსავით დიდხანს არ გჭირდე-
ბა საკვების ძებნა. მე ხუთიოდე ფრინველი
თუ არ მოვინადირე დღეში, ისე რა გამაჩე-
რებს? — დაიტრაბახა მელაკუდამ.

შველს ჩაელიმა და მორიდებით მიუგო.
— ჰო, ფრინველი თუ ვერ მოინადირე,
მაცვალს მაინც იშოვი, აკი გაცხია კიდევ
ტუჩებზე მაცვლის წვენი...

მელამ დაირცხვინა და ტუჩზე თათი
მოისვა.

— ჰო, ფრინველით რომ ვისადილებ, მე-
რე ხილის დაყოლება მიყვარს.

იქვე, ფულუროს მოპირდაპირედ, წიფ-
ლის ტოტებში შეფარებული ჩხიკი შველისა
და მელას საუბარს უსმენდა თურმე.
— გეყოფა ტრაბახი, მელაკუდა, დღეს
მარტო მაცვლით ხარ ნასადილევი, მუცელ-
ზე გეტყობა, — ჩაიცინა და მეორე ტოტზე
შეფრთხილდა.

ამასობაში ფულუროს ბელი მიადგა და
იქ მყოფები რომ დაინახა, ერთხანს პირდა-
ღებული გაჩერდა, მერე კი მორიდებით წა-
ვიდა მათკენ.

— ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდ-
აო, — ჩაიცინა მელამ, — აი, მოვიდა ისიც.
შველსაც ჩაელიმა.

— ჯოჯოხეთი ღმერთმა გვაშოროს! ჩე-
ვნი ტყე სამოთხეს უნდა შევადართო, —
მერე ბელს გახედა, — მოდი, ბელიკო, შემო-
დი! ეჰ, პატარები რა კარგები ხართ ყველა-
ნი, კეთილები, მოალერსენი, გულუბრე-
ვილონი... მერე, რომ გაიზრდებით, აღა-
რავის ზოგავთ...

— ჰო, ასეა სწორედ, ამის მაგივრად
რომ დედა დათვი მოგვდგომოდა აქ, ხომ
უნდა გავქცეულიყავით. რა უცნაურია ცხ-
ოვრება, ჩემი ლექვები ჯერ ყველას კეთილი
თვალთ უყურებენ, არადა რომ იცხ-
ოვრონ, ნადირობა, ტაცება, უკაცრაული
პასუხია და, ქურდობა უნდა ვასწავლო...

— შენც სიკეთე ასწავლე, მელაკუდა, ნუ

მოიპარავენ, ნუ მოიტაცებენ, სხვას ნურას
დაუშავენ...

— მერე შენსავით ბალახი, ფოთლები
და ნეკერი დაგვკამაყოფილებს? სამაგიე-
როდ თქვენ უწყინარი, კეთილი, მშვიდობი-
ანი ცხოველის სახელი გაქვთ, ჩვენ კი ცხ-
იერს, ავსა და მტაცებელს გვეძახიან.

— თქვენი გამოსწორება როგორ შეიძ-
ლება, მაგრამ იქნებ ეცადოთ, თქვენც მშვი-
დობიანად იცხოვროთ, მელაკუდა, ასე არ
აჯობებს? აი, ამ ფულუროში ადგილი ორ-
ივეს გვეყოფნის და რომ გვეჩხუბა აქ შემოს-
ვლის დროს, რას მოვიგებდით?!

— მაგამი მართალი ხარ, ვერაფერს მო-
ვიგებდით, ყველა მშვიდობიან ცხოვრებას
უნდა ვეცადოთ, წყნარად ჩაილაპარაკა
დაფიქრებულმა მელამ...

— ჰა, ჰა, ჰა, მტაცებლობაზე ხელი არ
აიღოს უცებ, მგლის თავზე სახარების კი-
თხვაა ეგ, ჩემომშვიდობის მოყვარულ მოშ-
ელო, — ჩამოსძახა ჩხიკვმა შველს.

ბელი შემოვიდა და მელასა და შველს
შორის დანვა მორიდებით. ხან ერთისკენ
გააპარებდა თვალს, ხან მეორისკენ...

— როგორა ხარ, ბელიკო, ხომ არ შეგ-
ცივდა, იმედია, მშვიდარი არა ხარ, — ალერს-
ით უთხრა შველმა და მიეხუტა.

— მშვიდარი რომ იყოს, აქ შემოიყვანდი
მაგას? სანამ ყველა პანტის ძირს არ მოივ-
ლის და მუცელს არ ამოიყორავს, მანამ
ტყეში დაძრწის, — გაიღიმა მელამ.

— ჰა, ჰა, ჰა, მშვიდარი? — ახმაურდა
ისევ წიფლის ტოტზე ჩხიკვი, — მშვიდარი კი
არა, ლამის ერთი კალათი პანტა შეჭამა

დღეს, მერე რამდენი სოკოც ნახა, ყველა
გადასანსლა, ერთმა კი გაამწარა და უკან
გადმოყარა, მაგრამ მოცვი დააყოლა და
ისევ ჩაიტკბარუნა პირი. ახლა წვინმამ მოა-
ბეზრა თავი და მაგ ფულუროში გამოძინება
უნდა.

— კი ბატონო, დაიძინოს, მე ხელს არ
შევუშლი, — ჩაილაპარაკა შველმა.

— ისე, იავნანა რომ გემღერათ, უკეთ
დაიძინებდა, — ჩაიხიხითა ჩხიკვმა...

ბელი ჯერ ხმას არ იღებდა, მერე ჩაი-
ბურტყუნა:

— მადლობელი ვარ, რომ ადგილი მეც
დამითმეთ. ჩემი ბუნაგი შორსაა, აქ გადა-
ვინვიმებ და დაღამებამდე მოვასწრებ შინ
მისვლას. იქ ჩემს ძმებთან ჩაუტებული და-
ვიძინებ...

— გადაინვიმე, ჩემო ბელიკო, მეც ჩემს
ნუკრებთან მირჩენია ჩახუტება, საიმედო
ადგილას მყავს დატოვებული, იქნება ეს
ჭექა-ქუხილი შეწყდეს და დაღამებამდე მა-
თთან მივიდე.

— რამდენი ნუკრი გყავს? — შველისაკენ
გაიხედა მელამ და ამჯერად კეთილად გა-
იღიმა.

— სამი მყავს, დედა ენაცვალოთ, ბევრი
რძე სჭირდებათ, ამიტომ გამოვედი კარგი
ბალახისთვის ტყის პირას, თორემ საკვები
ულრანშიაც იშოვება.

— მეც სამი ლეკვი მყავს, ძალიან ცელქ-
ები არიან, იმიტომ ვერ წამოვიყვანე აქეთ.
დაღამებამდე მივალ მათთან...

ამასობაში მოსალამოვდა, წვინმამ იკ-
ლო. იქვე რცხილაზე შაშვი შემოჯდა და
საამური გალობა დაიწყო.

— ესეც შენ იავნანა, — ბელს გადახედა
ღიმილით შველმა.

მართლაც გალობით მოხიბლულ ბელს
თვლებმა მოერია. მელა და შველი სხვადას-
ხვა მხრიდან ეხუტებოდნენ დათვის ნაშიე-
რს, კარგა ხანს იყვნენ ასე. ნაწვიმარი ტყე
მშვიდდებოდა შაშვის საამო გალობით, ფუ-
ლუროს მდგმურებიც უერთდებოდნენ ამ
სიმშვიდეს და ნეტარებით ევსებოდნენ გუ-
ლი...

მერე შველი და მელა ნელა წამოდგნენ,
ბელი გააღვიძეს, ერთმანეთს დაემშვიდო-
ნენ და თავ-თავიანთი შვილებისკენ გაიქც-
ნენ, დაღამებამდე რომ მისულიყვნენ მათ-
თან. ბელმაც თვალბეზე მოისვა პატარა
ტორები, ეს შველი და მელაც რა თბილად
მეხუტებოდნენო, გაიფიქრა და შინისკენ
ნელა წაბანდალდა.

ამ ხნის განმავლობაში დიდი წიფელი
კმაყოფილი უცქერდა ჯერ ერთმანეთთან
ჩახუტებულ ტყის შვილებს, მერე მათ დამშ-
ვიდობება-დაცილებას და ირგვლივ მდე-
ბარე სხვა ხეებს ეწურჩულებოდა:

— აი, ასე მშვიდობიანად უნდა ექცე-
ოდნენ მუდამ ერთმანეთისო, — რაზედაც
რცხილა, თელა და სოჭი თანხმობის ნიშ-
ნად ტოტებს ოდნავ არხევდნენ...



თამაში „ადამიანობა“

ტყის პირას, წყაროსთან, დიდი რცხილის ძირას, გარეულ ცხოველთა ნაშიერები იკრიბებიან ხოლმე სათამაშოდ. ახლაც, სალამოს, ჯერ მელაკუდას ლეკვი, მერე შვლის ნუკრი და კურდღლის ბაჭია მიცუნცუნდნენ, ბოლოს დათვის ბელი მიბაჯბაჯდა. მას სამი ციყვი მიჰყვა. იქვე ბუჩქიდან პატარა ზღარბიც გამოძვრა და ბუმაც გამოიხედა თავის ფულუროდან. უნდათ, რაიმე თამაში დაიწყონ, მაგრამ რომელზე შეაჩერონ არჩევანი, ვერ შეთანხმებულან. დამალოზანა შვლის ნუკრსა და ბაჭიას არ მოეწონათ, ისედაც სულ ვიმაღლებითო. ასკინკილაზე ბელმა თქვა უარი, ხტუნვისას ვინმეს ფეხს დაგაბიჯებთ და დაგაშვებთო. კენჭაობაზე ისევ ნუკრი არ დასთანხმდა დანარჩენებს, თქვენიან შედარებით დავიჩაგრები, ჩლიქებით კენჭები როგორ უნდა დავიჭიროო.

— მოდი, ადამიანობანა ვითამაშოთ, — ნამოიძახა უცებ ბუმ.

— ეგ რაღაა, მე ჯერ არ მითამაშია, — ჩაიბურტყუნა დათვის ბელმა.

— ადამიანი ხომ იცი, — უთხრა ბუმ, — აი, მისი საქმე უნდა გავიმეოროთ, — რასაც ის აკეთებს ტყეში, ჩვენც ხომ არ გავაკეთებდით იმას, რასაც ის კადრულობს, ჩვენც იმავეს ხომ არ ჩავიდენდით...

— ვაითუ ბოროტების ჩადენა გამოგვივიდეს, — აიმრიაზა შვლის ნუკრი.

— არა, რატომ? ეს მართლა კი არაა, ვითომ-ვითომ გაკეთებული იქნება, მართლა ადამიანით ხომ არ დავაშვებთ რაიმეს, — მასაც დაუნყო დამშვიდება ღამის ფრინველმა, — უბრალოდ, ვეცადოთ და ვისწავლით, რა არის ჩვენთვის მიუღებელი ადამიანის საქმიანობიდან, ან როგორ უნდა შევუშალოთ ხელი ცუდი საქმეების კეთებაში.

— ჰო, მაგრამ ისეთი ადამიანებიც ხომ არიან, რომლებიც ტყესა და მის ბინადრებს არაფერს უშავებენ, პირიქით, ეხმარებიან? — გამოთქვა აზრი ბაჭიამ.

— რა ვიცი, ჩემო ყურცქვიტა, სანამ მაგას გავარკვევ, ადამიანი სამეტროდა მოსული ტყეში თუ სამოყვროდ, მე ჩემი დამემართება. ამიტომ ყოველთვის გაქცევას ვამჯობინებ, — ჩაილაპარაკა შვლის ნუკრმა.

— კარგი, გვეყოფა კამათი, დავიწყოთ თამაში და ნახავთ რა არის „ადამიანობა“. მე გუწდის უფროსი ვიქნები, გავითვალოთ, ვითომ ადამიანები ვართ და თქვენ ტყეში მიდიხართ საქმეებზე. მე გეტყვით, ვინ რა საქმეზე წავა, — თქვა ბუმ.

გაითვალეს და ბუმ გამოაცხადა, ვის რა უნდა გაეკეთებინა:

— ბელიკო, შენ ვითომ შეშაზე მიდიხარ.

— ნუკრო, შენ სათიბად წახვალ.

— ციყვებო, თქვენ ვითომ პატარა გოგონები ხართ და ნაბლი, თხილი და წინიბო უნდა შეაგროვოთ, ნაცნობი საქმე გამოგიძებნეთ.

— ბაჭია, შენ ვითომ სანადიროდ მიდიხარ.

— ზღარბუნია, შენ სოკო უნდა შეაგროვო.

— მელაკუდა, შენ ხაფანგები უნდა დააგო დათვის, მგლის და თავად შენს დასაჭერად. აბა, გაიქეციოთ ახლა და მალე ისევ აქ უნდა შეიკრიბოთ. გახსოვდეთ, რომ ვითომ ადამიანები ხართ, მაგრამ თქვენ თვითონ გადანყვითეთ, რომელი საქმე როგორ შეასრულოთ.


ცოტა ხნის შემდეგ მეგობრებმა ისევ დაიწყეს შეკრება და მალე ყველამ მოიყარა თავი.

— აბა, ვინ როგორ მოიქცა? — იკითხა ბუმ, — ბელიკო-ადამიანო, დაამზადე შეშა?

— კი, დავამზადე, მხოლოდ ცოცხალი ხეები არ მომიჭრია, განა ცოტაა ტყეში მოტეხილი, მოთხრილი ან სიბერისგან წაქცეული ხე? შევაგროვე და ერთ ადგილას დავდგი ხორად.

— კარგია, ყოჩაღ. ნუკრო-ადამიანო, გათიბე თივა?

— გავითბე, ვითომ-ვითომ... დიახ, თიბოს ადამიანმა რამდენიც უნდა, კვებოს თა-



ვისი შინაური ცხოველები, მაგრამ ნუ დაკლავს მერე, რძეს რომ ჰპარავს და ამუშავებს, ის იკმაროს. სანყალი ძროხები და ხარები ცოდონი არ არიან?!

— მართალია. ციყვო-გოგონებო, შეაგროვეთ ტყის ხილი? თქვენ ვითომ ადამიანები იყავით და ტყის ხილი — ნაბლი, თხილი და წინიბო უნდა შეგეგროვებინათ.

— შევაგროვეთ, — ციყვებმა მართლა გამოაჩინეს ნაბლი, თხილი და წინიბო, იქვე უცებ აუკრეფიათ, — ტყის ხილს ყველაზე კარგად ჩვენ ვაგროვებთ, რატომ ინუხებს მისთვის ადამიანი თავს? — ჩაიცინეს მხიარულად, — ჰო, ადამიანის ადგილას ვიყავით ახლა და შევაგროვეთ, მაგრამ ტყის მკვიდრებსაც დავუტოვეთ სამყოფი... არა უშავს, ადამიანებმაც შეაგროვონ, ხანდახან მათი ეზოებიდანაც ხომ წამოგვიღია კაკალი... თუმცა ბოლომდე ვერ ვენდობით, ვაითუ დაგვიჭირონ, უყვართ ხოლმე ადამიანებს გარეული ცხოველებით გართობა. ჩვენ კი საკუთარი ცხოვრება გვაქვს, მათ გასართობად არ გავუჩენივართ ბუნებას.

— მართალია, ყოჩაღ, ციყვებო. ბაჭია-ადამიანო, შენ მიპასუხე, რა მოინადირე?

— მე გადავიფიქრე ნადირობა. თოფი გადავადე, მოისპო იმის მომგონი. დავჯერდები მცენარეულ საკვებს და სიცოცხლეს არ მოვუსპობ სულიერ არსებას...

— ყოჩაღ, ბაჭია. სოკოს შეგროვებაც ავუკრძალოთ მათ, ზღარბუნია-ადამიანო?

— არა, მთლად ნუ ავუკრძალოთ, მაგრამ ჩვენც დავგიტოვონ ნაწილი, ჩვენც ხომ ვიყენებთ სოკოს საკვებად? ზოგს აგერ ჩვენი ბელიკო შესასწავლავს, ზოგს მე გეახლებით. რაც დავგრჩება, ადამიანები იმას დასჯერდნენ, — ჩაიხიბითა ბოლოს ზღარბმა.

— მელაკუდა-ადამიანო, დააგე ხაფანგები?

— როგორ გეკადრება, ჩემო კარგო, ყველა ჩვენი ღელის გუბებში მოვისროლე. არ შეიძლება ცხოველთა წამება!..

აი, ეს შესწორებანი შეიტანეს ტყის მკვიდრებმა ადამიანის ქცევა-მოქმედების დამკვიდრებულ წესში. მათი აზრით, თუ კაცი საერთოდ არ გაეკარება ტყეს, უკეთესია, მაგრამ თუ მაინც მოხვდება იქ, ისე უნდა მოიქცეს, რომ იქაურებს არა დაუშავოს რა. როგორც გამოჩნდა, სიკეთე, სათნოება და

სიყვარული ტყის მკვიდრებს მეტი აქვთ, ვიდრე ზოგიერთ ადამიანს. ვიფიქროთ ხოლმე ამაზე...

ოინი ნაბლიანში

დასაპლემითი გადახრილი მზის სხივები შემოდგომის აფერადებულ ტყეს ჯერ კიდევ თბილად ეფინება. ნიფლის ტოტზე მოხტუნავე ციყვს იქვე ჩამომჯდარი ჩხიკვი ესიტყვება:

— ნეტავ რას დახტუნავ, ციყვუნია, წინიბოს ჩამოყრა გინდა?

— ჰო, მეზობელო, ვცდილობ, ყველა ტოტი დავარხიო, რომ დარჩენილი ნაყოფიც ჩამოცვიდეს. მერე დაბლა ჩავალ და შეგროვებას დავიწყებ. ბევრი შრომა გვინევს შემოდგომით, მაგრამ რა ვქნათ? შენ რას შერები, შეაგროვე უკვე ზამთრის სარჩო?

— მე ხომ ბევრი არ მჭირდება, ზამთარშიც ვშოულობ საკვებს, ცოტა კი დავაგროვე ბებერი მუხების ხაფანგში, ნახავდი სადმე.

— კი, შემხვდა რამდენიმე ხეზე რკო, ნაბლი და წინიბო, მივხვდი, შენი იყო. თუმცა ვისიც არ უნდა ყოფილიყო, პირს როგორ ვახლებდი?

— რა თქმა უნდა, ერთმანეთს რატომ უნდა წავართვათ? უამრავი ნაყოფია ამ ჩვენს ტყეში. შენ ისეთი მარჯვე ხარ, ტყის ყველა მკვიდრს ყოფა შენი თხილი, ნაბლი და წინიბო. იმასაც ამბობენ, სოფლიდან კაკალი ამოიტანაო.

— კი, ვიყავით იქ მე და ჩემი ორი ბიძაშვილი, სოფლის განაპირას ერთ ოჯახს დიდი კაკალი აქვს, რაც შეეძელით, წამოვიღეთ.

— იქაურები თუ ნახეთ?

— ადამიანებზე მეკითხები? კი, ეზოში ერთი კაცი გამოვიდა, რომ დაგვინახა, ღიმილით დაგვინყო ცქერა, მერე ბავშვებს დაუძახა. გამოცვიდნენ, ატეხეს ჟრიამული, ქალბატონიც გამოვიდა სახლიდან, სიხარულით გვიყურებდნენ და არ შეგვშინებია. კაცმა ჯიბიდან რაღაც პატარა ნივთი ამოიღო და ჩვენკენ ჰქონდა გამოშვებული. ჩემმა უფროსმა ბიძაშვილმა თქვა, ეგაო, ჩვენს ლანდებს იღებო, ქვეყანა გვნახავსო.

— ოჰო, საქვეყნოდ ცნობილი ციყვები გამხდარხართ, ესე იგი, არავინ დაგიშვავთ რამე?

— იქ არაა, ყველა სიყვარულით გვიყურებდა, მაგრამ აქ კი ის მსუნაგი მელაკუდა არ მასვენებს, ჩემო ჯაფარა, ჩავალ თუ არა დაბლა ხიდან, მითვალთვალეს და დაჭერას მიპირებს.

— მეც მაგას არ ვამბობ, ჩემო კუდბუთქუნა? დაბლა, მიწაზე, იშვიათად ვვდები, მაგრამ თუ მომკრა თვალი, მაშინვე ჩემს შეხრამუნებას ცდილობს. სანყალი შაშვები ხომ ძირითადად დაბლა ეძებენ საკვებს და მოსვენება არა აქვთ მაგ მსუნაგი მეზობლისგან. მოდი, ჩემო ციყვუნია, რამე ოინი მოვუწყოთ და ჭკუა ვასწავლოთ, მიხვდეს, რომ მასზე სუსტებსაც შეუძლიათ სამაგიეროს გადახდა. მოინი აქეთ, რაღაც უნდა გითხრა.

ჩხიკვი და ციყვი ერთ ტოტზე დასხდნენ და ჩურჩული გააბეს.

— ეშმაკის ფეხი ხარ, ჩემო ჯაფარა, ეს რა კარგი რამ მოიფიქრე, — იცინოდა ციყვი.

მეორე დღეს ნაბლიანში ჩხიკვი მიწაზე დახტოდა სკუპ-სკუპით, რომ მელას დაენახა, მერე ერთი ნაბლის ხის ქვედა ტოტზე დასკუპდა. დადარაჯებული მელა ნელა მიუახლოვდა. ამ დროს ხეზე ჩასაფრებულმა ციყვმა მელას ფულუროდან ნაბლის ბუძეები გადმოაყარა.

მსუნაგ მტაცებელს რამდენიმე ერთდროულად დაეცა მაღლა აშვერილ ცხვირზე. დრუნდაჩხვლეტილმა მელაკუდამ სიმნრით ხავილი დაიწყო და უცებ გაეცალა იქაურობას. გამარჯვებული ჩხიკვი და ციყვი კი დიდხანს იცინოდნენ მხიარულად...

ჩხიკვი, გუ და გულგული

მუხის მყუდრო ფოთლებში ჩათვლემილი ჩხიკვი ბუს ხმანობამ გააღვიძა.

— ჯანდაბა შენ, რა ჩვევა გაქვს, ღამით რომ იწყებ კივილს, ძლივს ჩამეძინა და არ კი გამაღვიძა! — ბუზლუნებდა თავისთვის ჩხიკვი, ადგილს იცვლიდა ტოტზე და კვლავ ჩამძინებას ცდილობდა.

— რას იზამ, მეზობელო, — ჩუმად გამოსძახა იქვე ცაცხვის ხიდან ბუზლუნმა, — ასეთია ბუნების წესი, ალბათ, არც ღამით ვარგა მთლიანად ტყის დაღუმება, რაიმე სულიერი უნდა ხმანობდეს ხანდახან.

— ხმანობდეს თორემ, ეგეც შენსავით საამოდ არ უსტვენდეს ან შამვივით არ გაალობდეს, ვის უნდა მაგის კივილი?!

— არა უშავს, მეც გამაღვიძა, მაგრამ მიჩუმდა უკვე. რადგან ჩემი სტვენა მოგწონს, ცოტას ნავიმღერებ და იქნებ ჩაგეძინოს, — გაეპასუხა ბუზლუნმა.

— დიდი მადლობა, მეზობელო, შენს სიმღერაზე ჩამძინება მართლაც საამო იქნება. თუ არ ატეხა ისევ კივილი, — თქვა ჩხიკვი და ბუზლუნს მშვიდობის ღამე უსურვა.

ბუზლუნმა იგივე უსურვა და წყნარად, დაბალ ხმაზე დაიწყო სტვენა. მისი ხალისიანი, სიმშვიდის მომგვრელი ხმით ტყის იდუმალი მუსიკა გაისმა თითქოს. ყოველი ფოთლის ჩქამი, ნიავის ჩურჩული და ნაკადულთა რაკრაკი ამ ფრინველის ხმაში ჩანურულიყო და ახლა სიჩუმეში დაბალ ხმაზე იღვრებოდა ღამეულ ტყეში.

სადღაც ისევ გაისმა ბუს შორეული კივილი, მაგრამ ჩხიკვს მისთვის აღარ მიუქცევია ყურადღება, რადგან სულ ახლოდან ბუზლუნის საამო სტვენა ესმოდა, რომელიც ფარავდა ბუს მწუნარე ხმას და უკვე თვალებდახუჭულ ჩხიკვს ღამის ბინდით მოცულ, მშობლიურ ტყეს ულამაზეს ფერებში წარმოუდგენდა, მერე თითქოს დაალივლივებდა ამ ნაირფერი ტყის თავზე ცის სიღრმეში და ძილის საამურ სიზმარეთში გადაჰყავდა.

მომხიბლავმა სიმღერამ ნაკლებად სასიამოვნო ხმანობა გადაფარა. რა თქმა უნდა, ბუზლუნის სტვენა არჩიეს ბუს კივილს. თუმცა ვინ იცის, იქნება ბუსაც ერთგვარ სიმღერად მიაჩნია თავისი ხმანობა. მაგრამ ბედნიერია ის, ვისაც, ჩვენი ჩხიკვივით, ერთმანეთისაგან წამდვილი და მოჩვენებითი სიმღერის გარჩევა შეუძლია.

ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურისა
და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მხარეთმცოდნეობის
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ყურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940

